



ციბეხანი

№ 29 / 3 - 9 მაისი / 2010

უგულავას დიეტა **83. 20**

საკრებულო სუბარის გარეშე **83. 15**

გირგვლიანი და ენუქიძე საქართველოს წინააღმდეგ **83. 37**

სომხეთი აღიარების მოლოდინში **83. 25**

არჩევნები დიდ ბრიტანეთში: სამი ერთ ნაწილი **83. 31**

უკრაინა: რუსული გაგზიბი **83. 28**

„იგელი“: ჩონჩხი 5 ვერსკვლავის ნაცვლად **83. 34**

ფატალური ნარკოტიკი **83. 39**

CNN-ის ილუზია **83. 43**

ფასი 2 ლარი



ISSN 1987-7528
9 177 1987 752008

სამიზნე - სანახევრი

"მოქალაქეობის ქონება" და საჩივრი ჰეზიდასის წინააღმდეგ

83. 17



თელავი, ყვარალი, ლაგოდეხი

გორი, ქარალი, ხაშური

ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია

ურაკი, ქობულეთი, ბათუმი

ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5

FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9



წყალდიდობა სოფელ გავაზში, 29 აპრილი 2010

ფოტოსურათი: ვახტანგ ჯაფარიძე

ნომერში:

- 02 რედაქტორი
- 04 მოკლედ
- 06 რეპორტაჟი
- 08 ფოტორეპორტაჟი
- 09 ვრცლად
- 10 **მედია მონიტორინგი**
ნაციონალური გამონვევა მედიას
- 12 **ორი აზრი**
მშვიდობის ხიდი რიყეზე
ნიკა ჩხაიძე v.s. ლადო ვარდოსანიძე
- 14 **თვალსაზრისი**
იდეფიქსი
მარკ მალენი
- 15 **ინტერვიუ**
საკრებულო სუბარის
გარეშე
სოზარ სუბარის
პოლიტიკა
- 17 სარჩელი
პრეზიდენტის
წინააღმდეგ

- 20 **თვითმმართველობის არჩევნები**
უგულავას დიეტა
საუბრები ლიბერალიზმზე
- 23 რატომ სჭირდება ოპოზიციას მეტად ტექნოკრატიული მიდგომა
მეზობლები: ფოკუსი სომხეთი
- 25 „საფეხბურთო დიპლომატიის“ დასასრული
- 26 **სომხეთი**
ალიარების მოლოდინში
უცხოეთი
- 28 რუსული გამბიტი
- 31 **არჩევნები დიდ ბრიტანეთში**
სამნი ერთ ნაგში
ჟურნალისტური გამოძიება
- 34 ჩონჩხი 5 ვარსკვლავის ნაცვლად
ადამიანის უფლებები და სამართალი

- 37 ყველაზე გახმაურებული საქმე საქართველოს წინააღმდეგ
საზოგადოება
- 39 სწრაფი სიკვდილი
- 41 **ნარკომანია, როგორც კრიმინალი**
დეფექტური ნარკოპოლიტიკა
- 43 **ქვეყნის საერთაშორისო რეკლამა**
CNN-ის ილუზია - საქართველოს ჯადოსნური გარდასახვა
- 45 **პრესის გავრცელება**
საგვრცელების თავისუფლება
სპორტი
- 47 ჩამორბენის კვირა
დღე
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 48 მომე პარკი!

ბარეკანზე:

სამიზნე - სააკაშვილი



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



გასული წლის ოქტომბერში, როცა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე „ალიანსის“ კანდიდატად დაასახელეს, სოზარ სუბარმა „ლიბერალთან“ ინტერვიუში თქვა, რომ „მხოლოდ ოპოზიციის „დამსახურება“ იქნება, თუ უგულავა ხელისუფლებაში დარჩება“.

თუ 30 მაისამდე არაფერი შეიცვალა, შესაძლოა, ეს სიტყვები წინასწარმეტყველებად იქცეს.

ყოფილი სახალხო დამცველი, რომელმაც საკრებულოს თავმჯდომარეობის საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, ამბობს, რომ ეს მისი უკანასკნელი მცდელობაა წინასწარჩვენოდ ოპოზიციური ერთობის მისაღწევად.

ის, რომ არჩევნებამდე 30 დღით ადრე ოპოზიციას ისევ გაერთიანების პრობლემა აქვს, მხოლოდ ირონიულ ღიმილსა ინვეს; განსაკუთრებით იმ გრანდიოზული საარჩევნო კამპანიის ფონზე, რომელიც გასულ კვირას ხელისუფლების კანდიდატმა გამალა. საქმე ისე მიდის, რომ ოპოზიცია რომც გაერთიანდეს, ამას ვერავინ გაიგებს, რადგან უგულავა სატელევიზიო სივრცეში სხვებისთვის ადგილს აღარ ტოვებს (თუ არ ჩავთვლით სტიქიებს, რომლებიც ბუნების ბრალია, მაგრამ მათაც ისევ ხელისუფლება ამარცხებს).

დაქუცმაცებული და უსუსური ოპოზიცია კი

არათუ ვერ უპირისპირდება სახელისუფლებო მანქანას, პირიქით, ორგანულად ჯდება უგულავას საარჩევნო სცენარში, როგორც მრავალფეროვანი და დემოკრატიული ფონი მისი ტრიუმფალური გამარჯვებისთვის. თბილისის მერის მორიგი გარდასახვისას ბენზინგასამართ სადგურზე დაჩივარების გამოჩენა ამის კარგი მაგალითი იყო.

მართალია, უგულავა შორეული, არასამეურნეო წარსულიდან დასმულმა კითხვებმა თავდაპირველად მცირედ დააბნია, მაგრამ მოგვიანებით ამ სცენამ ამომრჩევლებისთვის დადგმულ ტელემოუში რეალობის და დამაჯერებლობის ელემენტები შეიტანა.

ასე რომ, სახელისუფლებო კანდიდატის საარჩევნო კამპანიაში ყველანი ჩართულები ვართ – ისინი, ვინც მხარს ვუჭერთ, ვინც წინააღმდეგი ვართ და ისინიც, ვინც ვამბობთ, რომ ტელევიზორს აღარ ვუყურებთ.

**სოფო ბუკია,
კავკასიისა და კონფლიქტების
განყოფილების რედაქტორი
sopho.bukia@liberali.ge**

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდუაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯაფარიანი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / ჟურნალისტური გამოძიება ბესო კურტანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ადამიანის უფლებები და სამართალი ნინო ბუქიშვილი / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი რედაქცია: ფოტორედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე / მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია ბამონცემი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge სსსპ ბამონცემი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ბამონცე: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge გამოდის კვირასი ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ხელისუფლება საჯარო ინფორმაციას მალავს!

საქართველოს რეგიონებში დასაქმებული ჟურნალისტებისთვის უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების წესს არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუდმივად ირღვევა აღნიშნული კანონით დადგენილი ნორმები. ამ მხრივ - საჯარო ინფორმაციის დამალვით - განსაკუთრებით გამოირჩევიან ძალოვანი უწყებები: შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთავარი პროკურატურა და თავდაცვის სამინისტრო.

პრობლემებთანაა დაკავშირებული რეგიონებში მომუშავე ჟურნალისტების სხვა ცენტრალურ უწყებებთან ურთიერთობაც. კერძოდ, აღნიშნული უწყებების პრეს-სამსახურებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებების თანამშრომლები, ძირითადად, ინფორმაციის დამალვით არიან დაკავებულნი და ქმნიან დამატებით ბარიერებს ჟურნალისტებისთვის საჯარო ინფორმაციის მოპოვებისას. უფრო მეტიც, ცენტრალური უწყებების პრეს-სამსახურები (იშვიათი გამონაკლისის გარდა) თითქმის არ თანამშრომლობენ რეგიონულ მედიასთან, ან შერჩევითი თანამშრომლობის ფორმებს იყენებენ - ინფორმაციას აწვდიან მხოლოდ მათთვის „სასურველ“ ჟურნალისტებს, რომლებიც დასაქმებულები არიან ხელისუფლებისგან მართვად ან კონტროლირებად მედია-ორგანიზაციებში.

იქიდან გამომდინარე, რომ საჯარო ინფორმაციის დამალვა ნაბალისებულია ცენტრალური ხელისუფლების მიერ, ამას იგივე მონდომებით იყენებენ თვითმმართველობების წარმომადგენლებიც ადგილობრივ ჟურნალისტებთან ურთიერთობებისას.

ინფორმაციის ასეთი შეზღუდვის პირობებში, ვერ ვახერხებთ ჟურნალისტური საქმიანობის სრულად და შუუფერხებლად განხორციელებას. მედიისთვის საჯარო ინფორმაციის დაბლოკვით, ხელისუფლება ცდილობს საზოგადოებას წაართვას უფლება - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

მიემართავთ საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, მთავრობის წევრებს, უზრუნველყონ საჯარო დაწესებულებების რეალური და არა - ფასადური გამჭვირვალობა! დაუყოვნებლივ აღკვეთონ საჯარო მოხელეების თვითნებობა ჟურნალისტებისთვის საჯარო ინფორმაციის მიწოდებისას და იმოქმედონ მხოლოდ და მხოლოდ კანონით დადგენილი ნორმებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიწვევთ, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად ეწევა ქვეყანაში დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუტის - მედიის თავისუფლების შეზღუდვას.





ნანილობივ თვისუფალი ბელი

პრესის თავისუფლების ხარისხის მიხედვით, საქართველო „ნანილობრივ თავისუფალი“ და რეიტინგში 59 ქულით 196 ქვეყანას შორის 126-ე ადგილზეა. გასულ წელთან შედარებით, საქართველომ ერთი ქულით ნაკლები მიიღო (რაც ნაკლებია ქულა, მით მეტია ქვეყანაში პრესის თავისუფლების ხარისხი), თუმცა საერთო შედეგი მაინც არ შეუცვლია და 126-ე ადგილზე პონდურასთან, ნეპალთან და პარაგვაისთან ერთად მოხვდა. ორგანიზაციის რეიტინგის „პრესის თავისუფლება - 2010“-ის შედეგები უარესია, წინა წელთან შედარებით. 196 ქვეყნიდან „თავისუფალი“ კატეგორიაში

69 მათგანი მოხვდა, „ნანილობრივ თავისუფალი“ კატეგორიაში – 64, ხოლო „არათავისუფალი“ კატეგორიაში – 63. საუკეთესო მაჩვენებელი – 10 ქულა, ფინეთმა, ისლანდიამ, ნორვეგიამ და შვედეთმა მიიღეს. არათავისუფალი შორის რუსეთთან (88 ქულით) ერთად მოხვდნენ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც (ბალტიისპირეთის ქვეყნების, საქართველოს და უკრაინის გარდა). რეიტინგში სომხეთი 146-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი კი – 172-ზე. ყველაზე უარესი შედეგები ჩრდილოეთ კორეას, ბელორუსს, თურქმენეთსა და უზბეკეთს აქვთ.

ავსტრიის პროკურატურა ჩაიხივს ჩივის

ავსტრიის პროკურატურა რამზან კადიროვს ავსტრიაში მყოფი ჩეჩენი ემიგრანტის მოტაცების შესახებ დავლების გაცემაში ადანაშაულებს. 2009 წლის იანვარში ვენაში უმარ ისრაილოვის მოტაცებას მისი მკვლელობაც მოჰყვა. ავსტრიის პოლიციის ინფორმაციით, „როგორც ჩანს, მისი მოტაცება და არა მკვლელობა იყო დაგეგმილი. ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც მოტაცება ჩაიშალა“. ჩეჩენეთის პრეზიდენტი ავსტრიის პოლიციის ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ ის ოპონენტის მკვლელობასთან არანაირ კავშირში არ არის.

ჰიონჯიოხის ქაჩი სანიას

მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ „ვარსკვლავების აკადემიის“ გამოძიების განახლებაზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას უარი უთხრა. 2010 წლის იანვარში პროკურატურაში შეტანილ საია-ს განცხადებას თან ახლდა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც, შენობაში მიმდინარეობდა არა რემონტი, არამედ რეკონსტრუქცია. საია-ს მტკიცებით, მომხდარ უბედურ შემთხვევაზე პასუხისმგებლობა მშენებელ კომპანიასა და ტელევიზიის მაღალჩინოსნებსაც უნდა აეღოთ. „არტ-იქსი“ კანონით აუცილებელი დოკუმენტაციის გარეშე მუშაობდა, „რუსთავი 2“-ის ადმინისტრაციამ კი სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში ჩააყენა საკუთარი თანამშრომლები. საია-ს განცხადებით, სწორედ ამ დარღვევებისა და გაუფრთხილებლობის გამო ჩამოინგრა შენობა 2009 წლის 26 აპრილს. შედეგად დაიღუპნენ მემონტაჟეები ნიკა გელაშვილი და გიორგი გაბუნია. პროკურატურიდან უარის მიღების შემდეგ ადვოკატები სტრასბურგის სასამართლოსთვის ამზადებენ სარჩელს.



დაქაბიობა სინვანში

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტი საკუთარი მთავრობისა და პრემიერ ვადიმ ბროცვეისთვის უნდობლობის გამოცხადებას აპირებს. ამისთვის პარლამენტის დეპუტატების ერთმა ნაწილმა ხელმონერების შეგროვება დაიწყო და პარლამენტის თავმჯდომარეს მომავალი სესიის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანა მოსთხოვა. ოსი პარლამენტარები პრემიერ-მინისტრ ვადიმ ბროცვეს და მის გუნდს დე ფაქტო რესპუბლიკის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩაშლაში, რუსული ფინანსური დახმარების მითვისებასა და უმოქმედობაში სდებენ ბრალს. დე ფაქტო პარლამენტის გადაწყვეტილებით, მთავრობის საქმიანობას საპარლამენტო საგამოძიებო კომისია შეისწავლის. დე ფაქტო რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ იმ რუსი მოხელეების ჯგუფიც დააკავა, რომლებიც ცხინვალში ბროცვეის მონვევით მუშაობდნენ. მათ ბრალად ედებათ ფულის მითვისება და კორუფციულ სქემების შექმნაში თანამონაწილეობა. მოსკოვში რუს ფინოვნიკებთან შესახვედრად წასულ ბროცვეს კი ოსი დეპუტატები მედიით აკრიტიკებენ.

ტანიკონის დასახვის ბანხიკვა

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველო-რუსეთის ომის შედეგების განხილვა და ახალი რეზოლუციის შემუშავება ორი თანამომხსენებლის – მათიას იორშისა და დევიდ უილშაიერის ურთიერთგამომრიცხავი ანგარიშების გამო საშემოდგომო სესიისათვის გადაიდო. მანამდე ასამბლეაზე მოხსენებით ჰაიდი ტალიაინი გამოვიდა, რომელმაც 1150-გვერდიანი დასკვნის ძირითად დებულებებზე ილაპარაკა. მან 2008 წლის აგვისტოს ომის წამოწყებაში საქართველო დაადანაშაულა, ხოლო რუსეთი – სამხედრო პროვოკაციების მოწყობაში, სეპარატისტების მხარდაჭერაში, რუსული პასპორტების დარიგებასა და ბოლოს – გადაჭარბებული სამხედრო ძალით საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრაში.

ნაღიხოზა მალაჩინოსნაზე

ყირგიზეთის დროებითმა მთავრობამ ყოფილ პრეზიდენტს ხელშეუხებლობის სტატუსი მოუხსნა. სასამართლო მას კორუფციასა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაშიც სდებს ბრალს. იგივე ბრალდებით ყირგიზეთის სამართალდამცავები კიდევ 8 მაღალჩინოსანს ეძებენ – პრემიერ-მინისტრს, სპეცსამსახურების უფროსს, ამავე სტრუქტურაში მომუშავე ყოფილი პრეზიდენტის უფროს ვაჟს და ძმას. სამართალდამცავების ინფორმაციით, სწორედ ამ უკანასკნელმა გასცა დემონსტრაციის ძალით დაშლის ბრძანება. რამდენიმე მაღალჩინოსანი უკვე დაიჭირეს. მათ შორისაა კანიბეკ ჟაროევი, ყირგიზეთის ყოფილი მთავრობის აპარატის ხელმძღვანელი, რომელიც, ხელისუფლების სხვა წევრებისგან განსხვავებით, საკუთარი სურვილით გადადგა. დაპატიმრებულია ტელეკომპანია BBC-ს ყოფილი კორესპონდენტი ვუგარ კალილოვიც, რომელიც ერთხანს ყირგიზეთის პრეზიდენტის ყუმბანბეკ ბაკიევისთვის მუშაობდა. გამოძიებამ მას საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ყირგიზეთისთვის გამოყოფილი ფულის ფლანგვაში დასდო ბრალი. კიდევ ერთი მაღალჩინოსნის დაკავებაში დროებით მთავრობას რუსეთის ხელისუფლება დაეხმარა. რუსმა სამართალდამცავებმა მოსკოვში ყირგიზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი მოლდამუს კონგალტიევი დააპატიმრეს და ყირგიზეთს გადასცეს.



ჩინხვები

44 მილიონ აშშ დოლარად შეაფასა ყირგიზეთის პროკურატურამ ბაკიევის ოჯახის მიერ ქვეყნისთვის მიყენებული ზარალი.

187 მილიონ აშშ დოლარად ყიდულობს ICQ-ს mail.ru-ს მფლობელი რუსული საინვესტიციო ფონდი Digital Sky.

9 კანდიდატი იყრის კენჭს თბილისის მერის არჩევნებზე.

62.2 მილიონი ლარით გაიზარდა მარტის თვეში საქართველოს ბანკებში დეპოზიტები.

სიტახუბი



„ჩვენ ვისაუბრეთ [უკრაინასთან] ბირთვულ სფეროში ინტეგრაციაზე, იგივე შეგვიძლია გავაკეთოთ გაზის სფეროშიც. გთავაზობთ, გავაერთიანოთ „გაზრომი“ და „უკრაინის ნაფტოგაზი“.

ვლადიმირ პუტინი
30 აპრილი, სოჭი

„მისიის აზრით, ომი საქართველოს ქმედებამ გამოიწვია 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამით ცხინვალზე მძიმე არტილერიით იერიშის მიტანით. საქართველოს ხელისუფლების არც ერთი განმარტება, რომელიც მან წარმოადგინა იერიშის რაიმე ფორმით, სამართლებრივი თვალსაზრისით გასამართლებლად, არ იყო დამაჯერებელი განმარტება“.

ჰაიდი ტალიაინი
28 აპრილი, სტრასბურგი

„ის [რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ყირიმში] ბოსფორისა და დარდანელის გავლას ვერ შეძლებს, რადგან ამ სივრცეს ნატო აკონტროლებს. გეტყვით, რომ ფლოტი საქართველოსთან ომისთვის სჭირდებათ“.

ბორის ნემცოვი
რუსეთის დუმის ოპოზიციონერი დეპუტატი

„რაც შეეხება პრესის თავისუფლებას [თან დაკავშირებულ პრეტენზიებს], ეს სრული სისულელეა; ეს [ბრალდებები] ძირითადად, გულუბრყვილო უცხოელებისთვის კეთდება; ეს არის კლიშე, რომელიც კარგად სალდება“.

მიხეილ სააკაშვილი
27 აპრილი, ლოს ანჯელესი

ფოტოგრაფი: რუსუდან ფანოზიშვილი



სოფელ გავაზში წყალდიდობის შედეგად ილია ხუხუნაშვილის ეზო დაეტბორა, 29 აპრილი 2010



ზაურ ხუხუნაშვილის თავის საძინებელში შესასვლელ სკირდელ

მოულოდნელი, მოსალოდნელი და ახშობდბახი სხიქიები ხახეთში

ბოლო ორი კვირის განმავლობაში კახეთს რამდენიმე წყალდიდობა დაატყდა თავს. ყვარელი ისევ რისკის ქვეშ რჩება.

რუსუდან ფანოზიშვილი

ერთი კვირის წინ 78 წლის თამარ ალადოშვილი ღამის სამ საათზე საწოლიდან წამოდგა და მუხლამდე წყალში აღმოჩნდა. მას მერე, არა მარტო საძინებელში, სახლის პირველი სართულის ვერც ერთ ოთახში ვეღარ შედის. ერთი კვირაა, ალადოშვილები ღამეს გარეთ ათევენ და აივანთან სახელდახელოდ გამართულ ღუმელთან თბებიან. როცა სახლში შედიან, ბოტებს იცვამენ. მათი ავეჯის ნაწილი წყალში ტივტივებს.

ხანგრძლივმა წვიმამ კახეთში, ალაზნის ნაპირზე გაშენებულ სოფელ გავაზის მოსახლეობას სახლები დაუტბორა, პირუტყვი დაუხოცა და ნათესები დაუზიანა. წვიმის შედეგად ადიდებულმა მდინარეებმა ნათესები გაანადგურა სოფელ საბუესა და ენისელშიც. აქაურები ამბობენ, რომ მთელი წლის საკვები მარაგი დაკარგეს.

„ღვინო სულ გამიფუჭა, 400 ლიტრამდე იყო – მთელი წლის ნაშრომი“, – დანანებით ამბობს 84 წლის ლიონა ალადოშვილი. მათ მეზობლად ვარადოშვილების ოჯახს მთელი წლის მარაგი ჭაჭა წყლით გაევსო. სოფლის გასწვრივ

განლაგებული ნივრის, კარტოფილის, თხილის ნათესები დღემდე წყალში დგას. „გინდაც გამოიდაროს, ყველაფერი დაღუპება“, – ამბობს ილია ხახუნაშვილი, რომელიც დღეში რამდენჯერმე 2 ჰექტარზე გაშენებულ დატბორილ ბაღებს გადაჰყურებს.

გავაზი, 40 წლის წინ გაყვანილი, უკვე მწყობრიდან გამოსული არხების გამო დაიტბორა. წყალსადენები ბოლოს 1990-იანი წლების დასაწყისში განმინდეს. როგორც გავაზელები ამბობენ, მას შემდეგ სოფელი ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე იტბორება.

ყვარლის გამგებელი ამბობს, რომ ხელისუფლება უახლოეს მომავალში ახალი არხების გაყვანას დაიწყებს. მსგავს დაპირებას გავაზელები ყოველ წელს ისმენენ. ყოველი არჩევნების წინ მათ იმავეს ჰპირდება სხვადასხვა პოლიტიკური ძალაც.

მართალია, 28 აპრილს თელავში გამართული მთავრობის სხდომის მთავარი თემა კახეთში ბოლო ორი კვირის განმავლობაში მომხდარი სტიქიური მოვლენები იყო, გავაზის პრობლემა

არ განუხილავთ. პრემიერ-მინისტრის თქმით, ზარალის დასაფარად გამოყოფილი 130 მილიონი ლარიდან დიდი ნაწილი თბილისი-გომბორის გზაზე შექმნილი პრობლემების მოგვარებას მოხმარდება.

მაშინ, როცა გავაზელების სახლები წყლით ივსებოდა, კახეთის გუბერნატორის, გარემოს დაცვის, რეგიონული განვითარების და შსს-ს მინისტრების, საგანგებო სიტუაციათა, განსაკუთრებულ დავალებათა და სამაშველო რაზმების ყურადღება ველისციხის მოსალოდნელი წყალდიდობისკენ იყო მიმართული.

ველისციხეში ჭერმის ტბის გადმოსვლის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფო სამსახურებმა „უპრეცედენტო სპეცოპერაცია“ ჩატარეს. ველისციხიდან დაახლოებით 20 კილომეტრით დაშორებული, 28 მეტრის სიღრმის ტბის კალაპოტის გარღვევის და სავარაუდო წყალდიდობის მოლოდინში სოფელში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს, მოსახლეობა კი გახიზნეს. სოფელი ოთხი დღის განმავლობაში პანიკაში



ლად ბოტების ჩაცმა
ბუ, 29 აპრილი 2010



ერთი კვირა ალადოშვილების ოჯახი მთელ დღეს გარეთ ატარებს, რადგან მათ ოთახებში ნახევარმეტრიანი წყალი დგას, 29 აპრილი 2010

იყო. განგაშის პირველ ღამეს ერთი ქალბატონი გარდაიცვალა.

საფრთხე გადაუღებელმა წვიმებმა შექმნა. იმის გამო, რომ სადინარი შლამით გაივსო, წყალსაცავში წლის დონემ დასაშვებს გადააჭარბა და მისი მორღვევის საფრთხე გაჩნდა. მთავრობის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ამ შემთხვევაში 1.5 მილიონი კუბმეტრი წყალი ჭერმის ხევის დაახლოებით 300-მეტრიან კალაპოტს გააყვებდა და ტბიდან 20-მდე კილომეტრით დაშორებულ სოფელს 5-8-მეტრიანი ტალღები გადაუვლიდა.

საფრთხის აღსაკვეთად ტბაზე ორი დღის განმავლობაში მუშაობდა ექსპერტთა ჯგუფი. სამიშროების ჩავლის შემდეგ კი სადავო გახდა ველისციხის სტიქიის მასშტაბი. გაჩნდა კითხვა – ჭერმის ტბაზე შექმნილი სიტუაცია მოითხოვდა თუ არა რეალურად „უპრეცედენტო ოპერაციის“ ჩატარებას.

მასშტაბური ოპერაცია იმ დოკუმენტის საფუძველზე დაიწყო, რომელსაც ხელს აწერდნენ გუბერნატორის ადმინისტრაციის საგანგებო სიტუაციების მართვის უფროსი და გეოლოგები. მასში ეწერა, რომ დგას ჭერმის ტბის გადმოხეთქვისა და სოფლების, მუკუზანისა და ველისციხის წალეკვის საფრთხე, რასაც მსხვერპლიც მოჰყვება. თუმცა, გარემოსდაცვითი ორგანიზაციის CENN-ის კოორდინატორი რეზო გეთიაშვილი მიიჩნევს, რომ ეს პროგნოზი დაუსაბუთებელი იყო.

„საქწყალპროექტის“ დირექტორი გეიდარ ფალავანდიშვილიც, რომლის

თანამშრომელი ექსპერტები ჭერმის წყალსაცავზე მეორე დღიდანვე მუშაობდნენ, ამბობს, რომ გეოლოგების თავდაპირველი დასკვნა ოდნავ გაზვიადებული იყო. მისი თქმით, წყალსაცავის გახეთქვა თითქმის შეუძლებელი იყო, ამიტომ სოფლის წალეკვის და 5-მეტრიანი ტალღების წარმოქმნის შანსი თითქმის არ არსებობდა.

„კარგია, რომ ეს რეაგირება დაგვანახეს ველისციხეში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მომზადებულია სტიქიებთან საბრძოლველად“, – აცხადებს გეთიაშვილი. მისივე თქმით, სათანადო ორგანომ მოსალოდნელი ბუნებრივი სტიქიები ჯერ უნდა შეაფასოს, მერე აღწეროს და რეაგირება ამის შემდეგ მოახდინოს. მხოლოდ უკვე მომხდარ სტიქიაზე რეაქცია კი მოუმიზანდებლობას ნიშნავს.

„ჭერმის წყალსაცავი ერთია, სახელმწიფოს კი 350-მდე ასეთი ობიექტის საკითხი აქვს შესასწავლი. ამას ემატება ისიც, რომ სტიქიის პრევენციისთვის გამოყოფილი თანხებიც შეამცირეს. არადა, საფრთხის თავიდან ასაცილებლად მყისიერი მოქმედებაა საჭირო“, – ამბობს გეთიაშვილი.

ერთ-ერთ ყველაზე სარისკო ზონად დღემდე რჩება ყვარლის რაიონი, რომელსაც დურუჯის ადიდების საფრთხე ელის. თუკი დურუჯი კალაპოტიდან გადმოვა, მთელ ქალაქს წალეკავს. ამ საფრთხის რეალურობას როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ისე დამოუკიდებელ ექსპერტთა უმრავლესობა ხედავს. თუმცა, კალაპოტის

კედლების გამაგრებისთვის სამუშაოები ხანგრძლივი წვიმების პირობებშიც არ დაწყებულა.

28 აპრილს, გავაზის მსგავსად, მთავრობის სხდომაზე არც ყვარლის პრობლემაზე უმსჯელიათ.

„დურუჯზე რატომ მელაპარაკებით? დურუჯზე პრობლემა არ ყოფილა, – ამბობს კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი, რომელსაც გამოჩნა, რომ გადაუღებელი წვიმების დროს დურუჯმა ყვარელთან ახლოს ნათესები დატბორა, – არც გავაზში ყოფილა დიდი პრობლემა, იქ გრუნტის წყლები ამოვიდა. სხდომაზე იმ დღეს მხოლოდ ის საკითხები განვიხილეთ, რაც იმ მიმენტისთვის მწვევედ იდგა კახეთში“.

არადა, გავაზის არხების მსგავსად, დღეს დაზიანებულია დურუჯის კალაპოტის კედლები. რამდენიმე თვის წინ ყვარელში ექსპერტებთან და ჟურნალისტებთან ერთად ჩასულმა მთავრობის წევრებმა პირობა დადეს, რომ დურუჯის დამბების გამოსწორებას დაიწყებდნენ.

თუმცა დურუჯის ნაპირებზე, ყვარლის გასწვრივ ოფსლაკ გაკეთებული ჯებირების ნანგრევები ისევ მიწაშია ჩამალული. კალაპოტის ზემოთა მხარეს, საიდანაც ყველაზე მეტი საფრთხეა მოსალოდნელი, ორ ადგილას მიწის ჯებირიც კი აღარ არის შემორჩენილი. კალაპოტის კედლები დაახლოებით 20 მეტრის სიგანეზე მთლიანად გამოჭრილია და კალაპოტის ჯერ წყლით დაუფარავი ნაწილი პირდაპირ სოფლისკენ მიმავალ გზას უერთდება. დურუჯის ადიდების შემთხვევაში, ამ ადგილებამდე მოსულ მდინარეს ვერანაირი ბარიერი ვერ დაუდგება წინ და მაშინვე დასახლებული ადგილისკენ გაიკვალავს გზას. ყვარელი მდინარის კალაპოტიდან 8 მეტრით ქვევით მდებარეობს.

„შიში ყველას გვაქვს, დურუჯი ნებისმიერ დღეს შეიძლება ადიდდეს და გადმოვიდეს“, – თქვა ნინო კუთხაშვილმა, რომელიც ყვარლის მთავარ ქუჩაზე მცირეწლოვან ბავშვებს ასეირნებდა.

ყვარლები ამბობენ, რომ მუდმივად საფრთხის ქვეშ ცხოვრობენ. მათ არ იციან, როგორ უნდა გაუმკლავდნენ ადიდებულ დურუჯს. სახელმწიფოს პოლიტიკა კი დღემდე ასეთია – რეაგირება სტიქიის მხოლოდ ბოლო საფეხურზე. ☒



ფოტორეპორაჟი: თეიმურაზ მამუკაშვილი

"იბრანო" შენობა დაღს

თეთი ფუხსაღი

მაისის პირველ კვირას 14 რეგიონული გაზეთი, პროტესტის ნიშნად, პირველ გვერდზე მხოლოდ ერთ წინადადებას დაბეჭდავს: „მოგვეცით საჯარო ინფორმაცია!“

მარია ქონიაშვილი

გასული წლის 25 სექტემბერს მომღერალი ზუბა კიკაბიძე კონცერტით ზუგდიდს ეწვია. ღონისძიების დაფინანსება ადგილობრივმა ბიუჯეტმა იკისრა. გაზეთმა „სამეგრელოს ქრონიკამ“ კონცერტის ხარჯების, მომღერლისთვის გადასაცემი ჰონორარის ოდენობის, ტექნიკური სამუშაოებისთვის დახარჯული თანხების და საღამოს მთლიანი დანახარჯის შესახებ ინფორმაცია ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან გამოითხოვა. პასუხი მიიღეს, თუმცა ინფორმაცია სრულიად უსარგებლო გამოდგა. „უკვე ათეული წლებია, ზუგდიდელ მაყურებელს არ ახსოვს ამ დონის პროფესიონალი მომღერლის სტუმრობა, ამდენად კონცერტზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი და იხილა ჭეშმარიტი ხელოვნების ზეიმი“, – დოკუმენტში რიცხვების მაგივრად კონცერტის მათეული შეფასება ეწერა და მას ხელს ზუგდიდის გამგებელი, ალექსანდრე ქობალია აწერდა.

„სამეგრელოს ქრონიკის“ გამომცემლის, პაატა ლაგვილავას თქმით, მისმა გაზეთმა დაახლოებით 30 საჯარო დოკუმენტი გამოითხოვა, თუმცა პასუხი მხოლოდ 2 ან 3 მათგანზე მიიღო – ისიც სრულიად უსარგებლო, არაფრისმთქმელი და არასრულყოფილი.

ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის მიღება ადგილობრივი თვითმმართველობების და ცენტრალური ხელისუფლების სტრუქტურებიდან, როგორც წესი – გართულებული, ხშირ შემთხვევაში კი, სრულიად შეუძლებელია. მაგალითად, დეტალურ ინფორმაციას ბიუჯეტების შესახებ თითქმის ვერასოდეს იღებენ.

„თითქმის შეუძლებელია საჯარო

რო ინფორმაციის მიღება შინაგან საქმეთა სამინისტროდან, პროკურატურიდან, თავდაცვის სამინისტროდან. „მიუწვდომელია“ სატელეფონო ზარები, თითქმის ყველა სამინისტროს პრესამსახურში უპასუხო რჩება ელექტრონული წერილები, – ამბობს ია მამალაძე, გაზეთ „გურია ნიუსის“ გამომცემელი და ასოციაციის საბჭოს წევრი.

სწორედ ამიტომ, გაზეთები „გურია ნიუსი“, „ახალი გაზეთი“, „თავისუფალი სიტყვა“, „კახეთის ხმა“, „ბათუმელები“, „სპექტრი“, „ქართლის ხმა“, „ხალხის გაზეთი“, „ლანჩუთი +“, „ალიონი“, „ნალკის უწყებანი“, „ბორჯომი“, „ჩემი ხარაგაული“ და „სამეგრელოს ქრონიკა“ თავიანთი გაზეთების მეორე გვერდს ერთობლივ განცხადებას დაუთმობენ.

„...მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების წესს არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუდმივად ირღვევა აღნიშნული კანონით დადგენილი ნორმები... ინფორმაციის ასეთი შეზღუდვის პირობებში, ვერ ვახერხებთ ჟურნალისტური საქმიანობის სრულად და შეუფერხებლად განხორციელებას. მედიისთვის საჯარო ინფორმაციის დაბლოკვით ხელისუფლება ცდილობს, საზოგადოებას წაართვას უფლება – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“, – წერია განცხადებაში.

გაჯანჯლებული პროცესი, ერთი მხრივ, კანონის დარღვევაა, მეორე მხრივ კი, ჟურნალისტების სამუშაოს აფერხებს, რაც შეგნებულად კეთდება.

ჩივილის შემთხვევაში, ხშირად სასამართლოს პრესის სანინალმდეგოდ გამოაქვს გადანყევტილება. ადმი-

ნისტრაციული სარჩელის შეტანისას ღარიბი მედიაორგანიზაციებისთვის პრობლემა ხდება სავალდებულო სახელმწიფო მოსაკრებელი და ადვოკატის ხარჯები.

გაზეთ „კახეთის ხმის“ მთავარი რედაქტორი, მათა მამულაშვილი რამდენიმე მიზეზს ასახელებს, თუ რატომ არ მიმართავს სასამართლოს. „ინფორმაცია აქტუალობას მალე კარგავს, და ლოდინს ხშირად აზრი არ აქვს. ჩვენ არ გვყავს იურისტი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სახელმწიფო მოსაკრებელი რთული გადასახდელია ჩვენნაირი პატარა ორგანიზაციისათვის“.

რეგიონული მედიის ასოციაციის 24 წევრიდან პროტესტში მონაწილეობაზე ათმა ორგანიზაციამ თავი შეიკავა.

„ისინი შემოგვიერთდნენ, ვისაც ყველაზე მეტად აწუხებს საჯარო ინფორმაციის მიღების პრობლემა. ეს პრობლემა კი იმ დამოუკიდებელ მედიასაშუალებებს ექმნებათ, რომლებიც საბიუჯეტო მონიტორინგით და ჟურნალისტური გამოძიებებით სამოხელეო დანაშაულს ავლენენ და ამაზე წერენ. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში მედიასაშუალებათა დიდი ნაწილი დამოუკიდებელი არაა და ხელისუფლების გავლენის ქვეშაა“, – ამბობს გაზეთ „თავისუფალი სიტყვის“ გამომცემელი და ასოციაციის წევრი, ელისო ჯანაშია.

„თეთრი ფურცლების აქცია“ პარლამენტის წინ საპროტესტო დემონსტრაციის მოწყობას გეგმავს. რეგიონული მედია დახმარებისა და მხარდაჭერისთვის არასამთავრობო სექტორს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებსაც მიმართავს. **■**

ნაციონალური ბომბვა მდინარე

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამ სატელევიზიო ახალ ამბებში მნიშვნელოვანი დისბალანსი გამოიწვია.

რუსუდან რუსაძე



წინასაარჩევნო პერიოდის ოფიციალურად გამოცხადებიდან სამი კვირის განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ საინფორმაციო გამოშვებების ყველაზე ნაკლებად ციტირებული პარტია იყო. წინასაარჩევნო კამპანია სახელისუფლო პარტიამ ყველაზე გვიან დაიწყო. პირველად ისინი რეგიონებში გამოჩნდნენ – მაჟორიტარი კანდიდატები წარადგინეს და ადმინისტრაციული რესურსის თანაბრად გამოყენების შემორანდუმს ხელი მოაწერეს.

არაერთხელ გაცხადებული მოლოდინი – „ხოლო გიგი უგულავას კანდიდატურა ჯერ კიდევ არ წარუდგენია მმართველ პარტიას“ – მედიას 26 აპრილს გაუმართლდა. მანამდე კი გიგი უგულავამ, ჯერ კიდევ როგორც მხოლოდ მოქმედი მერმა, რამდენიმე საქმის მოთავება მოასწრო: დაამატა სამარშრუტო ხაზები, შეაკეთა ლიფტები, გახსნა განახლებული დიდუბის მეტროს სადგური – სიუჟეტები ამ რუტინული სამუშაოების აღწერის შესახებ სალამოს საინფორმაციო გამოშვებებშიც მოხვდა.

შემდეგი ეტაპი – უგულავას მერობის კანდიდატად წარდგენა – პირველი სერიოზული გამოწვევა გახდა წინასა-

არჩევნო მედიისთვის. კითხვა ასე ისმებოდა: შეძლებდნენ თუ არა ახალი სახელისუფლო საინფორმაციო ნაკადის დაბალანსებულად მიწოდებას ამომრჩევლებისთვის.

გიგი უგულავას კანდიდატურა წარადგინა ხათუნა კასრაძემ, რომელიც ზოგ გამოშვებაში – მრავალშვილიანად, ზოგან კი მერის მომხრე ორშვილიან დედად იყო მოხსენებული. ნაციონალური არხების სალამოს საინფორმაციო გამოშვებების პირველ ბლოკებში ამ ამბავს 15-დან 20 წუთამდე მასალა მიეძღვნა. არც ერთი სხვა კანდიდატის დარეგისტრირებას საინფორმაციო გამოშვებების ამხელა წილი არ დათმობია, მით უმეტეს – გამოშვებების პირველ ბლოკებში.

საინფორმაციოებში მოქმედი მერის მერობის კანდიდატურის გამოცხადება რამდენიმე ქვეთავად იყო დაშლილი: უგულავას კანდიდატურის წარდგენა გლდანში, უგულავას დარეგისტრირება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, უგულავა და „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარების სია, უგულავას კანდიდატურაზე პრეზიდენტის და სხვათა კომენტარები.

თვითონ მერობის კანდიდატი კი „სი-

■ თუკი „მაესტროზე“
„უგულავას ამინდის პროგნოზი არადამაიმედებელი იყო“,
„რუსთავი 2“-ზე „მის საქონელს წუნი არ დაედებოდა“ და
„სიფთაზეც კარგად ივაჭრა“.
უგულავას „ნავაჭრს“ 30 მაისს
„რუსთავი 2“-სა და „იმედის“
დაკვეთით ჩატარებული
ეგზიტპოლიც დაითვლის.

ტყუარუხვობითაც“ გამოირჩეოდა. თუკი საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე საინფორმაციოებების პირველ ბლოკებში „ჩასმული“ უგულავა ძირითადად „საქმეს აკეთებდა“ და თან ჩუმად, წარდგენის დღეს არანაკლებ დიდი დრო დაეთმო მისი საარჩევნო გზავნილების გავრცელებას. უგულავას შესახებ გადაღებული, საშუალოდ, 8-10-წუთიანი სიუჟეტების დაახლოებით ერთი მესამედი მისი 30-წუთიანი გამოსვლიდან ყველაზე შთამბეჭდავი ამონარიდების გადაცემას მიეძღვნა:

„თბილისს არ სჭირდება მერი, რომლისთვისაც მერობა მხოლოდ ტრამპლინია და სხვა არაფერი. თბილისს არ სჭირდება მერი, რომელიც ქალაქს პოლიტიკური კინკლაობის ცენტრად აქცევს. თბილისს სჭირდება მმართველი მერი, რომელიც თბილისს დასაქმების ცენტრად აქცევს“.

„მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში თბილისის მერია, მისი ყველა სტრუქტურული ერთეული, გამგებები და მუნიციპალიტეტები იქნება ერთგვარი დასაქმების ბიურო, ხოლო თბილისის მერი იქნება დასაქმების დამცველი“.

„თბილისს სჭირდება მერი, რომელმაც ბევრი გააკეთა, მაგრამ აღიარებს, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრი აქვს“.

გიგი უგულავამ საინფორმაციო გამოშვებებს იმდენად ცოცხალი მასალა შესთავაზა გასაშუქებლად, რომ „კურიერს“, „ქრონიკას“ და „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ „გასაფორმებლად“ დამატებითი ელემენტების მოძებნაზე დრო აღარ დაუხარჯავთ. სამაგიეროდ, „მაესტრომ“ გაამახვილა ყურადღება პრეზენტაციის ისეთ დეტალებზე, რაზეც არც ერთ სხვა მაუწყებელს არ უსაუბრია. „მაესტროს“ ფოკუსში უგულავას პრეზენტაციის ტექნიკური მხარე აღმოჩნდა, კერძოდ კი სპეციალური განათებები, რამდენიმე კამერა და სუფლიორები. უგულავას წარდგენის მომდევნო დღეს ამბავს ახალი დეტალები დაემატა: კომპანია, რომელიც მერის გამოსვლას იღებდა, ძირითადად პრეზიდენტის გამოსვლების ჩანაწერებზე მუშაობს. თუმცა, რა დაუჯდა „ჰორიზონ ტივის“ ეს მომსახურება უგულავას შტაბს, „მაესტროსთვის“ გაურკვეველი დარჩა. იმავე დღეს „მაესტრო“ უგულავას „პროფესიული გარდასახვების“ გასაშუქებლად აღარ მიიწვიეს. „მაესტროს“ განწყობებულმა ჟურნალისტმა ბოლოს თავად უგულავას ჰკითხა დაუპატიჟებლობის მიზეზი და იმავე დღეს მისი პრესმდიანისგან კონკრეტული პასუხიც მიიღო – ეს მხოლოდ ტექნიკური პრობლემა იყო და სხვა დროს აღარ განმეორდება. სამდურავის მიუხედავად, სიუჟეტში კადრების სიმწირე არ შეიმჩნეოდა. ღონისძიებაზე დაუპატიჟებლად სიუჟეტების მომზადება არხის „ნოუ-ჰაუდ“ რჩება.

გიგი უგულავას კანდიდატურის წარდგენას ვრცელი სიუჟეტი უძღვნა „კავკა-

სიამაც“. სხვა მაუწყებლებზე გასული სიუჟეტებისგან განსხვავებით, ის შეიცავდა ოპოზიციური პარტიების მოსაზრებებს უგულავას შესახებ:

„მას კიდევ ბევრი რამ დარჩა ქალაქში გასაფუჭებელი“, – გიორგი თარგამაძე; „ძირითადი კონკურენტი უგულავა იქნება“, – გია თორთლაძე;

„ეს ამ ხელისუფლების გაგრძელებაა, თბილისელებმა კი ერთხელ უკვე დამტკიცეს, რომ ეს ხელისუფლება არ უნდათ“, – ზურაბ ნოლაიძელი;

„მას მთავარ კონკურენტად ადმინისტრაციული რესურსი აქცევს და – არა პოლიტიკური იმიჯი“, – თინა ხიდაშელი.

მიხეილ სააკაშვილთან „რუსთავი 2“-ის ექსკლუზიური ინტერვიუდან ფრაგმენტები ყველა ნაციონალურმა არხმა გაავრცელა. პრეზიდენტი სააკაშვილი ამერიკის შეერთებული შტატებიდან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს შეეხო და გიგი უგულავასადმი მხარდაჭერა გამოხატა:

„ყველა თბილისელმა უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს: არის თუ არა თბილისი უკეთესი ქალაქი, ვიდრე ოთხი წლის წინ? მოსწონს თუ არა აღმშენებლობა, რომელსაც ყველა აღიარებს, მათ შორის ოპონენტებიც? უნდათ, თუ არა, იცხოვრონ იმ ქალაქში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და კომფორტული იქნება ევროპის ქალაქებს შორის? თუ ამ ყველაფერზე პასუხი არის დადებითი, მაშინ ამ არჩევნებში ამომრჩეველმა მხარი უნდა დაუჭიროს „ნაციონალურ მოძრაობას“ და მოქმედ მერს, გიგი უგულავას. მე ვფიქრობ, ჩვენ გვყავს ძალიან გონიერი ამომრჩეველი და ის მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას“, – სააკაშვილის ამ ღია მხარდაჭერამ ნაციონალური მაუწყებლებისთვის უგულავას კანდიდატად დარეგისტრირების მნიშვნელობა ერთი-ორად გაზარდა, რაც პირდაპირ აისახა თემის გაშუქების საერთო ქრონომეტრაჟზეც.

წინა კვირას „კავკასიას“ და „მაესტროზე“ უგულავას წარდგენაზე მნიშვნელოვანი ამბავი ბრიტანული ექსპერტიზის დასკვნა იყო – ეკა ნამალაშვილისა და გიორგი არველაძის სატელეფონო საუბრის ჩანაწერის შესახებ. ორივე არხზე ამ თემაზე მომზადებული ვრცელი სიუჟეტები უგულავას ახალ ამბავს წინ უსწრებდა. ნაციონა-

ლური არხების საღამოს ახალ ამბებში კი ბრიტანული ექსპერტიზის შედეგები საერთოდ ვერ მოხვდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დისბალანსია ყოველდღიური საარჩევნო ქრონიკა. ნაციონალურ არხებზე სახელისუფლებო პარტიის კანდიდატების წარდგენას უმეტესად ცალკე სიუჟეტი ეთმობა, მაშინ როცა დანარჩენი პარტიების აქტივობები ერთ სიუჟეტშია გაერთიანებული. „კავკასიას“ კი საარჩევნო ქრონიკაში „ნაციონალური“ წარმომადგენლების ამომრჩევლებთან შეხვედრა ყოველთვის არ ხვდება.

საზოგადოებრივი მაუწყებელი მხარეებს შორის ბალანსის პოვნას ახალი წინასაარჩევნო რუბრიკით ახერხებს. „კანდიდატის ერთი დღე“ – ამ რუბრიკით გააშუქა „მოამბე“ გიგი უგულავას ორდღიანი პროფესიული გარდასახვები. წინა დღეებში იმავე რუბრიკაში მერობის სხვა კანდიდატებზე მოხვდნენ თავიანთი „ერთი დღე“.

მოძრაობა „7 ნოემბრის“ წევრ დარჩი ცაგურისა და მერის გაბაასება ბენზინგასამართ სადგურზე „კავკასიას“ და „მაესტროზე“ გაცილებით ვრცლად იყო ნაჩვენები.

სამაგიეროდ, „კურიერმა“ ყველაზე ხატოვნად შეძლო წარმოეჩინა გიგი უგულავა, როგორც პურის მცხობელი, ყასაბი, ცნობათა ბიუროს ოპერატორი, მშენებელი და ფანჯრების მწმენდავი. თუკი „მაესტროზე“ უგულავას ამინდის პროგნოზი არადაამაიმედებელი აღმოჩნდა, „რუსთავი 2“-ზე „მის საქონელს წუნი არ დაედელობა“ და „სიფთაზეც კარგად ივაჭრა“. „ნავაჭრს“ 30 მაისს „რუსთავი 2“-სა და „იმედის“ დაკვეთით ჩატარებული ეგზიტპოლიც დაითვლის. □



სტატიის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის მხარდაჭერით. სტატიაში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ გამოხატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



მომხრე
ნიკა ჩხაიძე

არქიტექტორი, თბილისის საკრებულოს დეპუტატი

წლებია, მესმის კითხვა – რა გავაკეთოთ რიყეზე? ყველა მთავრობა თუ მუნიციპალიტეტი, რაც მანამდე არსებობდა, ატარებდა კონკურსს და ვერც ერთმა ვერ მიიღო გადაწყვეტილება. მე ვფიქრობ, ეს გაცილებით ღრმა საკითხია, რაც ფსიქოლოგიურ და ისტორიულ მომენტამდე მიგვიყვანს. რიყეზე იმდენ ხანს არ კეთდებოდა არაფერი, რომ ქვეცნობიერად გადაიქცა გადაუწყვეტელობის და დაუსრულებლობის სიმბოლოდ. თითქოს ეს მუდმივი დებატების ადგილი უნდა ყოფილიყო, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ქალაქის მთავარი არქიტექტორი ვიყავი იმ პერიოდში, როცა დაიწყო ამ ტერიტორიაზე ფიქრი და, ჩემი აზრით, საუკეთესო გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ გაკეთდეს საზოგადოებრივი პარკი. მთლიანი პროექტი არ ეკუთვნის ხიდის დამპროექტებელ დე ლუჩის. ხშირად მესმის ირონიულად, რომ ის დიზაინერი და დეკორატორია, და არა – არქიტექტორი. ეს პროვინციული მიდგომა და ობსკურანტიზმი და იმათი პრობლემაა, ვინც ასე ფიქრობს. დე ლუჩი თბილისის მერიის მუნიციპალიტეტიდან ძველი თბილისის განვითარების ფონდმა მოინვია.

ამბობენ, რომ ხიდი ძველი თბილისის კონტექსტში ვერ ჯდება. მილიონჯერ მაქვს უკვე ეს სიტყვა გაგონილი, – ბარათაშვილის ხიდიდან ხედს ფარავსო. რომელი ტურისტი გინახავთ ბარათაშვილის ხიდზე მოსეირნე? სინამდვილეში, თვითონ ეს ხიდი იქნება ფეხით სავალი, სადაც ტურისტები უნდა გადავიდნენ და იქიდან გადაიხედონ. ეს, უბრალოდ, ქაოსის პერიოდში დაბადებული და გაზრდილი ადამიანების რეაქციაა, რომელთაც სხვა სიბრტყეზე გადასვლა ალიზიანებთ. არ შეიძლება არ ვალიაროთ, რომ ლეგენდარულ პერიოდში ვცხოვრობთ, რაოდენობრივად იმდენი გარდატეხა მოხდა უკვე, გავა წლები და, ეს ავტომატურად ასე ჩაითვლება. ესთეტიკური შეხედულება კი სუბიექტურია ყველასთვის. ლამაზია და კარგია თუ არა ხიდი, მოდი, ეს თბილისის საზოგადოებას დაუფტოვოთ განსასჯელად. შეფასებას დრო სჭირდება.

რაც შეეხება საზოგადოების ინფორმირებულობას, სულაც არ დანაშაულებულა შენება მოულოდნელად. მერიის ვებგვერდზე პირველივე დღიდან იღო ხიდის პროექტი, გახსნილი იყო ცხელი ხაზიც. საბჭოს შეხვედრები ღიად ჩატარდა. პლაკატებიც დაიკიდა ქუჩაში.

პრიორიტეტულობაზე როცა ვსაუბრობთ, მინდა ვთქვა, რომ ტუალეტებით არ იწყება განვითარება. რა თქმა უნდა, ეგეც აუცილებელია. მაგრამ სისტემა მნიშვნელოვანიდან უნდა ააწყოს. ამ ხიდის აშენება უფრო მნიშვნელოვან ატრაქციას შექმნის, რასაც ავტომატურად მოჰყვებიან ის ინვესტორებიც, ვინც ტუალეტებსაც ააშენებს. ეს არაა უბრალოდ ხიდი, ესაა სიმბოლო, რომელიც ამ პერიოდის ნიშნად დარჩება საუკუნეების განმავლობაში.

საკონფერენციო დარბაზებს რაც შეეხება, ვფიქრობ, ეს



მუშაობის

ერთი ტერიტორია ყველაფრით ერთად არ უნდა გადაგვიერთოთ. ასეთი დარბაზები იმ ადგილას უნდა გავაკეთოთ, სადაც გარშემო მოსახლეობაა, რომელსაც ამით ეკონომიკურ სტიმულსაც მივცემთ. პარკინგის თემა კი კერძო ბიზნესის სფეროში გადადის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბიზნესი დღეს ძალიან მომგებიანია, ჩვენ ბიზნესის განვითარების პერიოდში ვართ, როცა გარისკვა უჭირთ, არადა ერთმა ბიზნესმენმა უნდა გარისკოს და გააკეთოს პარკინგი, რომ მერე სხვებიც აპყვინენ.

ზოგადად, სახელმწიფო პროექტები უნდა იყოს სტიმული კერძო ბიზნესისთვის და ეს ხიდი ერთ-ერთი ასეთი სტიმულია. გარდა ამისა, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელიცაა, ტურისტი როცა ხედავს ასეთ სიახლეს, ხვდება, რომ წარმატებულ ადგილასაა ჩამოსული და არა ქვეყანაში, რომელიც მე-12 საუკუნის იდეალებით ცხოვრობს. ამ ტერიტორიის ასეთი ცვლილება გამოიწვევს მთელი ამ უბნის რეაბილიტაციასაც. რიყე აღარ იქნება ადგილი, სადაც – მარტო მანქანების სატარებლად, ან რესტორნებში მიდიოდნენ. ამ ცვლილებებით ის სულ სხვა დატვირთვას იძენს. ■



ფოტო: სანაპიროს კონსტრუქციის სამსახური

ხიდი ხიყუზა



**მონინალმდევა
ლადო ვარდოსანიძე**
არქიტექტორი, ურბანისტი

ქალაქგანვითარებაზე საუბრისას მარტო კონკრეტული ხიდის მონონება-არმონონებით ვერ შემოვიფარგლებით. ამას უამრავი პლანი, ისტორია და გარემო აქვს, არა მარტო ფიზიკური ან ძეგლთა დაცვითი, არამედ სამართლებრივი და პროფესიულიც.

70-იან წლებში, როცა რიყე ნაილეკა, ეს ადგილი ღია ჭრილობად დარჩა ქალაქის სხეულზე. ამის შემდეგ ბევრი პროფესიული აზრი დატრიალდა ამ ტერიტორიის გარშემო, ბევრი არქიტექტურული კონკურსი იყო, იდეათა ბანკი სულ არსებობდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის ბოლო წლებში მაშინდელმა ხელისუფლებამ ვერ გაბედა რიყეზე რამე მნიშვნელოვანის აშენება. მერე იყო განუკითხაობის პერიოდი, კორუფცია, ძმაბიჭობა, ავტომატის ძალა და დაიწყო ამ სივრცის ეროზია და სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით მისაკუთრება. ამის წინააღმდეგ ვიბრძოდით არქიტექტორები,

თუმცა სივრცე დროთა განმავლობაში ცარიელი რჩებოდა, თუ არ ჩავთვლით იმ მახინჯ რესტორნებს, რომელიც ნელ-ნელა ჩალაგდა საყრდენი კედლის, ავლაბრის აღმართის ძირში.

იყო იდეა, რომ ეს ყოფილიყო საზოგადოებრივი სივრცე, ე.წ. public space. სხვათა შორის, რიყემ საზოგადოებრივი ფუნქცია ბუნებრივად მოიარგო ჩვენს ბოლოდროინდელ ისტორიაში, დაწყებული თბილისობის დღესასწაულით, დამთავრებული თუნდაც საპროტესტო პოლიტიკური დემონსტრაციებით.

ბევრი კითხვა ჩნდება ახალ პროექტთან დაკავშირებით. ჩატარდა თუ არა ტენდერი რიყის განვითარებაზე? რა მიზანს ემსახურება პირდაპირი დაკვეთის წესით მონვეული არქიტექტორის იდეა? არ ვარ დარწმუნებული, რომ კანონმდებლობა სრულად დაეცავით, როცა უცხოელი არქიტექტორი მოვიწვიეთ და ეს არ იყო სამართლიანი, თანაბარი ბრძოლა ქართველ არქიტექტორებთან.

თვითონ ხიდის ესთეტიკაზე რომ დავკონკრეტდეთ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, ძველი თბილისის მიმზიდველ სურათს ძალიან კარგ თანამედროვე ჩარჩოს შეუქმნიდა სიმებანი, ვანტური კონსტრუქცია, ასიმეტრიული, მარცხენა სანაპიროსკენ დახრილი. ქალაქის რამდენიმე მნიშვნელოვანი ხედვის წერტილიდან, ჩემი აზრით, ბარათაშვილის ხიდი კლასიკურ მეტეხის ხედზე არანაკლებ საინტერესოა. ახალი ხიდი კი ძალიან ტლანქია და ხორციანი. არატრანსპარანტულია, მიუხედავად იმისა, რომ ზემოდან მინითაა დაფარული, ბარათაშვილიდან ხედებს ფარავს.

თუ ქალაქს მტკვრით გაჭრილ ორგანიზმად განიხილავთ, განივი კავშირები ძალიან გაძნელებულია. საკვეთო ხიდის ამ ფილოსოფიიდან გამომდინარეობდა, მაგრამ ამ ადგილს დამატებით მნიშვნელოვანი, პარკინგის ფუნქციაც უნდა შეესრულებინა. ტურისტული სეზონების დროს ალბათ შეგიძინებიათ ეს პრობლემა. ამ შემთხვევაში, განივი კავშირი იქნებოდა ძველ ქალაქთანაც და დაემატებოდა პარკინგი. ასევე იყო ავლაბართან ვერტიკალური კავშირის იდეაც, გამჭვირვალე ლიფტების სახით ავლაბრის საყრდენ კედელზე. ეს კავშირი ძალიან ორგანულად ჩაენერგებოდა კონტექსტში. ახლა ასეთი რამ არაა გათვალისწინებული, ამის გარეშე კი ეს ხიდი აზრს კარგავს.

გარდა ამისა, ჩვენ არ გვაქვს კონგრეს ცენტრები. სად ტარდება დღეს თბილისში ღონისძიებები? ან ძვირადღირებულ სასტუმროებში, ან ქალაქგარეთ. არადა, შეიძლება ამ ტერიტორიაზე კონფერენციების ჩასატარებლად კომპლექსის გაკეთება. ეს ქალაქის ბრენდინგიცაა და ადამიანებისთვის შემოსავალი.

ვფიქრობ, მნიშვნელოვანია პრიორიტეტების საკითხიც.

თბილისში პრიორიტეტი თუ ტურიზმია, პირველი, რაც ელემენტარულად გვჭირდება ქალაქში, საზოგადოებრივი ტუალეტებია. ხიდამდე ამის გაკეთებაა საჭირო. მასშტაბური პროექტისთვის კი შემდეგ უნდა მოვემზადოთ; მოსახლეობას აუფხსნათ, რას ვაპირებთ. ჩვენ კი დიალოგი გვიჭირს. არ ვიცით თუნდაც ამ ხიდის პროექტის ბიუჯეტი. კანონით, თბილისელებს გვაქვს უფლება, ვიცოდეთ, რა ხდება ქალაქში და ამის საუკეთესო ანტიმაგალითი ამ ხიდთან ერთად გმირთა მოედანია, რომელიც, შეიძლება იდეალური პროექტია, მაგრამ მოსახლეობას წინასწარ არ აქვს ინფორმაცია და ეს ყოველი ასეთი ტიპის პროექტის დაწყებისას პრობლემაა.

რიყის შესახებ არსებული ძველი იდეათა ბანკიდან დღევანდელ პროექტში, მართალია, არის რაღაც გამომახილი, თუმცა ტრანსფორმირებულია და არა – უკეთესობისკენ. **ლ**

იდეფიქსი



ბევრი ოპოზიციონერი პოლიტიკოსისთვის მიმა იდეფიქსია. მათთვის ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვა სასაუბრო თემა არ არსებობს. საზოგადოება დაიღალა ამ ჯგუფით და სურს, რომ მათ სხვა საინტერესო და პროდუქტიულ თემებზეც იმსჯელონ.

მარკ მალენი

ალბათ ყველას გვეცნობა ეს სცენარი: ხანდახან ისეთი პრობლემა გვანუხებს, რომელიც ყველაფერს შთანთქავს. სერიოზული დაავადებების მქონე ადამიანები ბევრ დროს ხარჯავენ მხოლოდ იმაზე ფიქრში, თუ რამდენად გამოუვალ მდგომარეობაში არიან. ადამიანებს, რომლებსაც ერთ დროს ბევრი ფული ჰქონდათ და ახლა გროშიც არ აბადიათ, ეჩვენებათ, რომ მხოლოდ ფული გადანყვეტდა მათ ყველა პრობლემას.

თუ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია, მაშინ იდეფიქსის დადებითი მხარე ის არის, რომ იგი პრობლემაზე კონცენტრირების საშუალებას იძლევა. მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ იდეფიქსის გადანყვეტა შეუძლებელია?

განვიხილოთ ასეთი სიტუაცია: აქტიური, ჯანმრთელი ადამიანი ხვდება ავარიში და თავის ქვემოთ პარალიზებული რჩება. რა თქმა უნდა, თავიდან მას სასონარკვეთა და მრისხანება შეიპყრობს, რაღაც მომენტში კი არჩევანი ეძლევა – ან იგნორირება გაუკეთოს პრობლემას და ცხოვრება გააგრძელოს, ანდა უფლება მისცეს ბრახსა და სასონარკვეთას, ადამიანებთან ურთიერთობაში ხელი შეუშალოს. მეორე შემთხვევა შეიძლება მთელი ცხოვრება გაგრძელდეს.

იდეფიქსი რთულ მდგომარეობაში აგდებს მეგობრებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ პრობლემა ნამდვილად სერიოზულია. პარალიზებული მეგობრისთვის იმის თქმა, რომ ჯობს, საკუთარი პრობლემა დაივიწყოს, იმაზე კონცენტრირდეს, რის გაკეთებაც კვლავ შეუძლია და ცხოვრება გააგრძელოს, იოლი არ არის. მაშინაც კი, თუ ჩვენი რჩევა მართებულია, ეს შეიძლება ჩვენი მხრიდან პრობლემის სე-

რიოზულობის დაკნინებად მიიჩნიონ. ისინი, ვინც სოლიდარობის გამო, მსგავს სიტუაციებში მეგობართან გულწრფელ საუბარზე უარს ამბობენ, სინამდვილეში პრობლემას უფრო ართულებენ. პარალიზებულ ადამიანს მის ირგვლივ შეკრებილი ამდენი გულშემატკივარის არსებობა აფიქრებინებს, რომ საკუთარ პრობლემაზე მუდმივი კონცენტრირება ერთადერთი სწორი გამოსავალია.

ბევრი ოპოზიციონერი პოლიტიკოსისთვის მიმა იდეფიქსია. მათთვის ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვა სასაუბრო თემა არ არსებობს. საზოგადოება დაიღალა ამ ჯგუფით და სურს, რომ მათ სხვა საინტერესო და პროდუქტიულ თემებზეც იმსჯელონ. ზოგიერთისთვის იდეფიქსი რუსეთია. მინდა, რომ სწორად გამიგოთ: მე გულწრფელად მჯერა, რომ ყველაფერი რაც რუსეთმა საქართველოს გაუკეთა, უკანონო, ამორალური და უსამართლოა, და მიმართულია არა მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესების, არამედ აფხაზი და ოსი ხალხის, თავად რუსეთის და საერთაშორისო წესრიგის წინააღმდეგ.

და მაინც იმ იდეით შეპყრობილობა, რომ მსოფლიოს ეს აღიარებინო და გამოასწორობინო, საქართველოს უკან სწევს. საქართველოს ამჟამინდელი და მომავალი პარტნიორებისთვის ეს ხელის შემშლელი ფაქტორია. ერთადერთი ჯგუფი, რომელსაც ამგვარი მცდელობები მოსწონს, რუსეთია, რადგან მას საშუალება ეძლევა, დაბლოკოს საქართველოს მომავალი. **■**



ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ

სახელო სუბიხის ბაიშა

ინტერვიუ „ალიანსი საქართველოსთვის“ თანათავმჯდომარესთან,
სოზარ სუბართან

ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი ბარიკადებზე, მაგრამ ზოგჯერ საზოგადოება ვერ ხედავს სხვა გამოსავალს და ხელისუფლებამ არ უნდა ჩაკეტოს ეს გზები. ორთქლის გამოშვების გზა იქნებოდა სამართლიანი თვითმმართველობის არჩევნები.

სოზარ, რატომ ფიქრობთ, რომ საკრებულო არ არის სერიოზული ბერკეტი? იმის ფონზე, რომ პარლამენტი ფაქტობრივად ბუტაფორიულია, იქნებ სწორედ საკრებულო გამხდარიყო პოლიტიკური ეპიცენტრი?

პირველ რიგში, არ ვფიქრობ, რომ საკრებულო არ იქნება სერიოზული ბერკეტი, მას ნამდვილად აქვს შანსი, გახდეს პოლიტიკური ცენტრი.

ზოგადად, ამ არჩევნებს ორმაგი დატვირთვა აქვს, როგორც თვითმმართველობის არჩევნებს, რომელიც თავისთავად არის მნიშვნელოვანი, და როგორც ეტაპს სააკაშვილის ხელისუფლების დამარცხებისთვის.

მე ვერ გეტყვით, რომ ხალხის პრობლემების მოგვარების საუკეთესო სპეციალისტი ვარ, თუმცა არ არსებობს არც ერთი სფერო, რომელსაც შეიძლება შეეჭიდო და ვერ დაძლიო. მე არ ვარ იმ კასტის წარმომადგენელი, რომელსაც დაღმწევილი ეკონომიკური ცხოვრება აქვს, მე თბილისელთა იმ კატეგორიას განეკუთვნები, რომლებმაც საკუთარ თავზე ვიცით, რა არის ქალაქის პრობლემები. „ალიანსს“ ჰყავს მოტივირებული და ცნობილი ადამიანებისაგან შემდგარი გუნდი, რომელსაც შეუძლია ამ პრობლემების გამოსწორებისთვის ბრძოლა.

მიუხედავად ამისა, პირადად ჩემთვის ეს არჩევნები მნიშვნელოვანია მეორე დატვირთვის გამო – ეს არჩევნები უნდა იყოს სააკაშვილის ხელისუფლების დამარცხების დასაწყისი.

საკაშვილმა არ იცის, რა არის მარცხი, იმიტომ კი არა, რომ არ დამარცხებულა, ის მარცხს არ ცნობს, როგორც ასეთს. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი აგვისტოს ომია. სადაც მხოლოდ ქვეცნობიერში რომ აქვს ეს მარცხი აღიარებული, ეს გამოჩნდა „მოდელირებულ ქრონიკაში“. ხელისუფლების მარცხი ამ არჩევნებით უნდა დაიწყოს, მაგრამ აქ



ფოტო: ბარბაქაძე ქორიანთი

უკვე მნიშვნელობა არა აქვს, სოზარი შევა საკრებულოში, თუ ვინმე სხვა.

რას გააკეთებთ, რადგან საკრებულოში შესვლას არ აპირებთ?

ვაპირებ, რომ ვიარო მთელი საქართველოს მასშტაბით, მთელი ამ კამპანიის განმავლობაში, და ყველგან ვიყო, სადაც ბრძოლა არის საჭირო. არჩევნების შემდეგ უკვე არსებობს ბრძოლის უამრავი სხვა ფორმა. ის, რომ საკრებულოს ტრიბუნა იქნება ათვისებული მაღალ დონეზე, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ჩვენი სიის პირველ ათეულს თუ ოცეულს რომ გადახედოთ, ამაში თქვენც დარწმუნდებით. თინა ხიდაშელი, დავით ბერძენიშვილი, დავით საგანელიძე, მამუკა კაციტაძე, ფიქრია ჩიხრაძე, ზურაბ აბაშიძე..., რომლებიც შეძლებენ ამ ტრიბუნის გამოყენებას.

რა გეგმები გაქვთ არჩევნების შემდეგ? გამოჩნდება. გავაკეთებ ყველაფერ იმას, რაც საჭირო იქნება. დარწმუნ-

■ სააკაშვილმა არ იცის, რა არის მარცხი, იმიტომ კი არა, რომ არ დამარცხებულა, ის მარცხს არ ცნობს, როგორც ასეთს. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი აგვისტოს ომია.

ბული ვარ, ძალიან მალე იქნება სხვა არჩევნებიც.

რჩებთ თუ არა „ალიანსში“ არჩევნების შემდეგაც?

„ალიანსში“ ვრჩები.

როგორ ფიქრობთ, არჩევნების შემდეგ იქნება რაღაც საპროტესტო ტალღა, რომელმაც სერიოზული ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს?

ბევრ რამეზე დამოკიდებული. რამდენიმე ვარიანტი განვიხილოთ – თვითონ ოპოზიციის გამარჯვების



ცენტრი
ცივილიზაციის

იკითხეთ ლიბერალის პორტალზე www.liberali.ge

გალოგი: ნინო ბაქიშვილი ნაწილობრივ თავისუფალი სიტყვა

ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც პრესის მდგომარეობას 196 ქვეყანაში აღწერს, საქართველო 126-ე ადგილას მოხვდა – ტაილანდსა და ჰონდურასს შორის.

გალოგი: ნინო გოგუა გიგი უგულავას პრეზენტაცია

გლდანის მეორე მიკრორაიონის ეზო, სადაც გიგი უგულავას კანდიდატურის პრეზენტაცია გაიმართა, უკვე სტანდარტული ბაღია – მინაზე დატეხილი წითელი აგური, რამდენიმე საბავშვო საქანელა და ფერადი სკამები. გარშემო მალალი 12-16-სართულიანი კორპუსები. ეს ბაღი ამ უბანში ერთადერთი დასასვენებელი ადგილია.

მულტიმედია

პოდკასტი:

ნინო ჯანგირაშვილი

ტელეკომპანია „კავკასია“ არჩევნების გაშუქების შესახებ

შემთხვევაში, ეს იქნება ისეთი ტრიბუნა, ისეთი ძლიერი ბერკეტი ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც აიძულებს ხელისუფლებას, რომ გაცილებით მალე დანიშნოს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. ეს ერთი ვარიანტია. მეორე ვარიანტია, თუ ოპოზიცია პრაქტიკულად იმარჯვებს და ამ გამარჯვებას ართმევს ხელიდან ხელისუფლება თავისი მანიპულაციებით. დარწმუნებული ვარ, ხალხი, ვინც გამოვა არჩევნებზე, ამას არ შეეგუება.

კვლევები აჩვენებენ, რომ ხელისუფლებამ შეიძლება ობიექტურად მოიგოს ეს არჩევნები. ამას ემატება ოპოზიციის ბევრი წარუმატებლობაც ბოლო ერთი წლის მანძილზე.

პირველ რიგში – მოდით, კვლევებს ასე არ ვენდოთ... იმიტომ კი არა, რომ ეჭვი შემაქვს იმათში, ვინც კვლევას ატარებს. იმიტომ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოახერხა ერთი საოცარი რამ – ადამიანებს ეშინიათ და არ ამბობენ სიმართლეს. სადაც მამუკა კაციტაძის სიმამრი იტყვის, რომ ნაციონალებს აძლევს ხმას, იქ რაზე უნდა ვილაპარაკოთ. ეს კვლევები ბოლომდე დასაჯერებელი არ არის, თუმცა არც იმის თქმა მინდა, რომ რეალობას არ ასახავს.

მეორე – რა რაოდენობის ადამიანებში არის ეს განწყობა? ვიცით, რომ ხელისუფლების მხარდამჭერთა რიცხვი არ აღემატება 180 000-ს თბილისში. მთელი ამ წლების განმავლობაში ეს იყო ის რაოდენობა, რაც ხელისუფლებას აქვს და რამე განსაკუთრებული არ შეცვლილა. თუ საზოგადოება არ მოვა არჩევნებზე, ხელისუფლებას შეუძლია მოიგოს ეს ბრძოლა.

თუ ხალხი მოვა არჩევნებზე, მაგალითად იმდენი, რამდენიც მოვიდა 5 ანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე, მაშინ ამას ვერანაირი გაყალბების მანქანა ვერ გადაფარავს.

თუ ასეთ არჩევნებს წაართმევენ ხალხს, მაშინ მათ ვერაფერს გააჩერებს, ამომრჩევლები პრინციპულად დაიცავენ თავიანთ ხმებს.

არის მესამე ვარიანტიც – თუ ხალხი არ გამოვიდა არჩევნებზე. ნაციონალებმა გამოიყვანეს თავისი 180 000 ადამიანი, ან გულგატეხილობის ფონზე, 200 000-იც, მაშინ ამომრჩევლების 30% უცებ ხდება 50 ან 60%. ამ შემთხვევა-

ში, ცხადია, ხალხი ქუჩაში არ გამოვა, იმიტომ რომ ეს იქნება რეალური სურათი. და არც მეგულება ისეთი ლიდერი, ვინც ამ ფონზე ვინმეს გამოსვლისკენ მოუწოდებს. თუმცა, ამ ვარიანტმა შეიძლება კიდევ უფრო მეტად დააჩქაროს მომავალი ცვლილებები.

როდესაც ხელისუფლებაში არ არის ასახული საზოგადოების განწყობა, პარლამენტი შენი არ არის, და ერთი კაციც კი არ წარმოადგენს ხალხს, როცა თვითმმართველობაც არ გაქვს, პრეზიდენტი პრაქტიკულად უცხო ადამიანია ხალხისთვის, და როცა საზოგადოებას აღარ დარჩა პოლიტიკური ტრიბუნა, ამ შემთხვევაში, შეიძლება ის დაგროვილი ენერჯია, რომელიც გვგონია, რომ სადღაც მიჩუმათდა, უცებ წარმოუდგენელ რალაცაში გადაიზარდოს.

ეს არის ყველაზე დიდი საფრთხე ამ ქვეყნისთვის და ამ ხელისუფლებისთვის, პირველ რიგში. დღეს რომ საქართველოს ხელისუფლებას ჭკუა ჰქონდეს, უნდა მიიღოს რალაც განსაკუთრებული ზომა – ან საერთოდ არ უნდა იღებდეს არჩევნებში მონაწილეობას, ან მაჟორიტარები არ უნდა დაეყენებინა თბილისში და ოპოზიციისთვის მიეცა ასპარეზი, ან 50%-იანი ბარიერი უნდა შეემუშავებინა. მაშინ პოლიტიკური ბრძოლა გადავიდოდა საკრებულოში, მერიაში, თვითმმართველობებში. ეს იქნებოდა ამ ხელისუფლების და ქვეყნის გამოსავალი, მაგრამ ეს ხელისუფლება ამაზე არ ფიქრობს.

ისევ და ისევ, ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი ბარიკადებზე, მაგრამ ზოგჯერ საზოგადოება ვერ ხედავს სხვა გამოსავალს და ხელისუფლებამ არ უნდა ჩაეკეტოს ეს გზები. ორთქლის გამოშვების გზა იქნებოდა სამართლიანი თვითმმართველობის არჩევნები.

როგორ ფიქრობთ, არ მომწიფდა პოლიტიკური პროცესები იმისთვის, რომ ბრძოლა ქუჩიდან ინსტიტუტებში გადავიდეს?


ეს არ არის ჩვენი გზა, მაგრამ ზოგჯერ არის რალაცები რაზეც ვერ გაჩუმდები. როცა ქვეყანაში არიან პოლიტპატიმრები, და ადამიანებს იჭერენ მხოლოდ იმიტომ, რომ რომელიღაც პარტიის წევრია ან რომელიღაც მიტინგზე მივიდა, იქ გაჩუმება არ შეიძლება. ❑

ესაუბრა შორენა შავერდაშვილი

სახჩაი ჰეზიდენის ნინალობა

ბრიტანელი ექსპერტების დასკვნით, გიორგი არველაძისა და ეკა წამალაშვილის სატელეფონო საუბარი, რომელიც ინტერნეტში გამოქვეყნდა, ნამდვილია და ის თბილისში ჩაინერა.

მაია ნიკლაური



„სატელეფონო საუბართან ერთად გამოქვეყნებული ტრანსკრიპტის რუსული თარგმანის საშინელი ხარისხი მიუთითებს, რომ ეს გაკეთებული არაპროფესიონალურად, რუსული გრამატიკის ცუდად მცოდნეს მიერ, რაც დამატებით მარწმუნებს, რომ www.soroka.net-ზე არველაძისა და წამალაშვილის სატელეფონო საუბარი არა რუსებმა, არამედ ქართველებმა დადეს“, – გვწერს დონალდ რეიფელდი.

ამ სკანდალური სატელეფონო საუბრის ლინგვისტური ექსპერტიზა ლონდონის „ქინ მერის“ უნივერსიტეტის პროფესორმა და ქართველოლოგმა დონალდ რეიფელდმა, ლინგვისტიკაზე პიკორნელისთან ერთად ჩაატარა. პიკორნელი სასამართლო ლინგვისტური ანალიზის ცენტრის QED Limited-ის ხელმძღვანელია.

ეს სპეციალისტები ბრიტანულმა კომპანია GPW-მ დაიქირავა, რომელიც სხვადასხვა, მათ შორის სასამართლო ექსპერტიზებს ატარებს. ამ კომპანიას გიორგი არველაძისა და ეკა წამალაშვილის სატელეფონო ჩანაწერის ექსპერტიზა „ახალმა მემარჯვენეებმა“ შეუკვეთეს.

ჩანაწერის ტექნიკურ და ლინგვისტურ ანალიზს, რომელიც 5000 ფუნტი სტერლინგი (13 500 ლარი) დაჯდა, უნდა დაედგინა, იყო თუ არა ნამდვილი 2010 წლის 15 მარტს რუსულ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ჩანაწერი, რომელშიც საუბარი ეხება „მოდელირებულ ქრონიკას“.

თავად წამალაშვილმა და არველაძემ ამ სატელეფონო ჩანაწერს „ფაბრიკაცია“ უწოდეს. „ასეთი საუბარი არ შემდგარა, ეს არის რუსული სპეცსამსახურების მორიგი პროვოკაცია“, – განაცხადა გიორგი არველაძემ ჩანაწერის გამოქვეყნების დღეს. მიუხედავად ამისა, არც ერთ მათგანს ექსპერტიზით სიმართლის დადგენა არ უცდია.

GPW-სთვის აუდიო ფაილის ტექნიკური ექსპერტიზა სასამართლო ექსპერტიზის ბიურომ, BSB Forensic-მა ჩაატარა, რომლის მომსახურებასაც ბრიტანული სასამართლოც იყენებს.

ექსპერტიზამ დაადგინა, რომ საუბარი ნამდვილია და ჩანაწერში ჩანართების კვალი არ ჩანს. „მოსაუბრეთა ლექსიკური კავშირები საკმარისად მყარია საიმისოდ, რომ ვიფიქროთ – ეს ერთი მთლიანი საუბარია და არა

სხვადასხვა საუბრების მონტაჟი“, – ამბობს იზაბელ პიკორნელი.

თუმცა, პიკორნელიცა და რეიფელდიც აღნიშნავენ, რომ ჩანაწერში 3 ორაზროვანი მომენტია – როცა საუბარი ლოგიკურად არ გრძელდება. მათგან 2 ფრაგმენტში საუბარია „მიშაზე“. ექსპერტები კი არ ფრთხილობენ და ოფიციალურ დასკვნაში, „მიშას“ ნაცვლად, პირდაპირ მიხეილ სააკაშვილს წერენ.

„გიორგი არველაძე „მიშას“ ახსენებს მონივნებით, ისე, როგორც მაღალ ხელისუფალს. ამ დროს თავად „იმედის“ ხელმძღვანელია და ამ არგუმენტით წამალაშვილის დარწმუნებას ცდილობს. ყველამ ვიცით, რომ არველაძე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობდა. სხვა რომელ მიშაზე შეიძლება ყოფილიყო საუბარი, სხვა უფრო მაღალი რანგის მიშა არველაძის ზემოთ არ არსებობს. თქვენ რა, ასე არ ფიქრობთ?“ – მოგვწერა დონალდ რეიფელდმა საკითხის გარკვევისას.

ეს არის სატელეფონო ჩანაწერის ხარვეზებიანი ფრაგმენტები, სადაც წყვეტის მომენტები აღნიშნულია ციფრებით:

არველაძე: ეკუშ, როგორ ხარ?
ნამალაშვილი: რავი არა მიშავს, შენ?

№ 1

არველაძე: მეც კარგად, ვნახე ეხლა რალაცები და მგონი, კარგი გამოდის.

ნამალაშვილი: ისეთია ოღონდ, მეც მითხრეს გუშინ. ვინმემ რომ გადართოს, მართალი ეგონება, ხო?

არველაძე: ხო და ეგეთი უნდა იყოს და, ხომ იცი, მიშამ გუშინ...

№ 2

ნამალაშვილი: გიო, პროსტო იცი რა არის? რა უნდა გითხრა? გუშინ ვკითხულობდი იცი იმაში, ქვევის კოდექსი როა მაუწყებლობის.

არველაძე: ხო...

ამ დასკვნაზე დაყრდნობით, პოლიტიკური გაერთიანება „ალიანსი“ ერთდროულად პროკურატურაში, საკონსტიტუციო სასამართლოში, კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიასა და სახალხო დამცველის აპარატში აპირებს ჩივილს.

დავით უსუფაშვილის განცხადებით, ეს დოკუმენტი საკმარისი საფუძველია, რომ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას და პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს. დავით უსუფაშვილის განცხადებით, დაირღვა სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლი.

„ალიანსის“ ბრალდებების ნუსხა ასეთია:

უკანონოდ ხელის შეშლა.

4. სატელეფონო საუბრიდან ჩანს, რომ „მიშა“ (საყოველთაო შეფასებით, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი) უშუალოდ განსაზღვრავდა გადაცემის შინაარსს და ფორმას.

დაირღვა შემდეგი მუხლები: 190-ე – კანონიერი სამენარმო საქმიანობისთვის ხელის შეშლა და 337-ე – საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა სახელმწიფო მოხელის მიერ.

ამ ქმედებით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლიც: შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

კონსტიტუციის დარღვევა კი

■ თუ ეს ჩანანერი მართლაც შინაგან საქმეთა სამინისტროში გაკეთდა და ამავე სტრუქტურამ გახადა ის საჯარო, ლოგიკურად ჩნდება კითხვა: ვინ და რატომ დააყენა პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი ყოფილი მრჩეველის გიორგი არველაძის რეპუტაცია დარტყმის ქვეშ?

ნამალაშვილი: მანდ არის რა ვ პრინციპზე პირდაპირ, მეცამეტე მუხლია, რომ საზოგადოებაში უსაფუძვლო პანიკის შექმნა და ეგეთი რალაცები ურტყამს ლიცენზიას. გაფრთხილებ მაინც, რო იცოდე. ჯობია, რომ მივანეროთ, რო არის რალაც მოდელირება მთელ იმაზე, რო სადავო არ ექნება მაშინ არავის და, თუ არადა, შეიძლება გვიჩვილონ მერე ვილაცებმა.

№ 3

არველაძე: არა, და ისა რა ქვია, ეხლა რატომ გირეკავ, გეტყვი ეხლა და მიხვდები შენ თვითონ და დასკვნებს შენ თვითონ გამოიტან. მიშა მელაპარაკებოდა რა, გუშინ რა და, ხო და რას შვებითო, და ესე ვაკეთებთ-მეთქი. ხოდა, ხო ისე გავაო, როგორც შეთანხმებული გვქონდაო, და მე ვუთხარი, ხო-თქო, მაგრამ წინასწარ თოქ შოუში იტყვიან-თქო, რომ მოდელირება გავაკეთეთ და რალაცა-თქო; და აუ, ეგ არ თქვათო, ეგ მთელ მულამს დაუკარგავსო ...

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შეუთავსებლობას, შესაძლოა, განაპირობებს საუბრის ამ ადგილების ამოჭრა, ან, საკითხის დელიკატურობის გამო, მოსაუბრეთა მიერ თემის გააზრებულად შეცვლა.

1. ტელეკომპანია „იმედმა“ მოატყუა მაყურებელი და არ მიანოდა სრული ინფორმაცია. გადაცემას არ ჰქონდა სპეციალური გამაფრთხილებელი ტიტრი.

დაირღვა სისხლის სამართლის კოდექსის 219-ე მუხლი – მომხმარებლის მოტყუება. „ლობერალის“ 23-ე ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში გიორგი არველაძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე პასუხისმგებლობას თავად იღებს.

2. ზემოთ აღნიშნული ქმედებით არველაძემ საკუთარი თანამდებობა გამოიყენა ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, რამაც შელახა ტელეკომპანიის ნდობა და ზიანი მიაყენა „იმედს“.

დაირღვა 220-ე მუხლი – ორგანიზაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება კომპანიის საზიანოდ.

3. „იმედის“ პოლიტიკური პროგრამების ხელმძღვანელი ეკა ნამალაშვილი შიშობდა, რომ გადაცემა კანონსაწინააღმდეგო იქნებოდა. თუმცა, არველაძის გავლენით, კანონი დაარღვია და გადაცემა გამაფრთხილებელი ტიტრის გარეშე გაუშვა.

დაირღვა 154-ე მუხლი – ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში

„ალიანსს“ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დაყენების შესაძლებლობას აძლევს.

„დანაშაულის ნიშნები სახეზეა. ამ ჩანანერის არსებობა უკვე საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ ძიება დაიწყოს. საუბრის შინაარსი შეესაბამება თუ არა სიმართლეს, ეს უკვე სასამართლოს გასარკვევია“, – აცხადებს დავით უსუფაშვილი.

5. და ბოლოს: ალიანსი „მოდელირებულ ქრონიკას“ აფასებს როგორც ტერორისტულ აქტს, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა და გიორგი არველაძემ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ განახორციელეს.

დაირღვა კოდექსის 323-ე მუხლი, სადაც განმარტებულია, რომ ტერორიზმი არ არის მხოლოდ აფეთქება, ეს არის ქმედება, რომელიც ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის, ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას ქმნის.

სოფელ არაგვისპირში დაღუპული 51 წლის გაიოზ ოდიშელიძის ოჯახი მზადაა, სასამართლოს მიმართოს. ოჯახის წევრების მტკიცებით, გარდაცვალების მიზეზი „მოდელირებული ქრონიკა“ გახდა.

გორში გარდაცვლილი კიდეც ორი



ფოტო: ლევან ნაჩქაველი/კე

ადამიანის ოჯახის წევრები ფიქრობენ, რომ მათი ახლობლები „ქრონიკის“ შემდეგ ძლიერი შოკისგან გარდაიცვალნენ. თუმცა ისინი ანონიმურობას ამჯობინებენ და გასაჩივრებას არ აპირებენ.

ჯერჯერობით გახმაურებულია მხოლოდ ეს ფაქტები, და მათი დადასტურებაც ამ ეტაპზე შეუძლებელია.

მეორე საკითხი, რაც ექსპერტიზის შემდეგ გაირკვა, ჩანანერის დამზადების ადგილს ეხება. „მოდელირებული ქრონიკის“ ავტორები, ისევე როგორც სახელისუფლო გუნდის წარმომადგენლები, საუბრის ჩანერას რუსულ სპეცსამსახურს უკავშირებდნენ. თუმცა, დასკვნაში წერია, რომ „ეს ვერსია ექსპერტებში ღიმილს იწვევს“ და სატელეფონო საუბარი იმ ადგილზეა ჩანერილი, სადაც ქალი მოსაუბრე – ანუ ეკა წამალაშვილი იმყოფებოდა. დასკვნას შემდეგი არგუმენტებით ხსნიან:

1. „საუბარი 2 სიხშირეზეა ჩანერილი. ქალის ხმა (მარცხენა არხზე) უფრო სუფთად ისმის, ვიდრე მამაკაცის (მარჯვენა არხზე). სხვა მოვლენები და ხმები ისმინება მხოლოდ მარცხენა არხზე; მაგალითად, დასაწყისში ტელეფონის რეკვა მხოლოდ მარცხენა არხზეა“, – წერია დასკვნაში. ეს ნიშნავს, რომ სატელეფონო ჩანანერი იმ

ადგილის სიახლოვეს გაკეთდა, სადაც ქალი იმყოფებოდა.

2. „მრავალსიხშირიანი ფაილის გამოყენება სატელეფონო არხზე უჩვეულოა, თუმცა ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ასეთი ინფორმაციის ჩასანერად აუცილებელი იყო ჩამწერი აპარატის მთავარ სატელეფონო სადგურში განთავსება“, – წერია დასკვნაში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 13 მარტს გიორგი არველაძე – სტამბოლში, წამალაშვილი კი თბილისში იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩანანერი თბილისშია გაკეთებული. ასეთი შესაძლებლობა კი მხოლოდ ვანო მერაბიშვილის უწყებას აქვს.

„საქართველოში სატელეფონო ჩანანერი შეუძლია გააკეთოს მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს. თუმცა, არანაირი ექსპერტიზის შედეგებს არ ვიცნობთ, ასევე არ ვიცით, ვინ და რას გაუკეთა ექსპერტიზა“, – ამბობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა უტიანიშვილი.

თუ ეს ჩანანერი მართლაც შინაგან საქმეთა სამინისტროში გაკეთდა და ამავე სტრუქტურამ გახადა ის საჯარო, ლოგიკურად ჩნდება კითხვა: ვინ და რატომ დააყენა პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი ყოფილი მრჩე-

ვლის გიორგი არველაძის რეპუტაცია დარტყმის ქვეშ?

თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლები ექსპერტიზის შედეგებს არ ცნობენ და კვლავ აცხადებენ, რომ ეს ჩანანერი რუსული სპეცსამსახურების „ფაბრიკაციაა“.

„ექსპერტიზის ჩასატარებლად „ალიანსს“ ამ ფაილის ორიგინალი სჭირდებოდა. საინტერესოა, საიდან მოიპოვეს მათ ასეთი მასალა. თავისთავად ის, რომ ეს ჩანანერი რუსეთის სპეცსამსახურის მიერ გაკეთდა, ჩემთვის საკმარისია, ვიფიქრო, რომ მხოლოდ რუსეთის ინტერესშია ამ თემის ირგვლივ ხმაური“, – ამბობს პავლე კუბლაშვილი, რომელიც გამოირიცხავს ამ საკითხის პარლამენტში განხილვას.

ექსპერტიზის ავტორების განცხადებით, დედანი მათ მართლაც მისცემდა დეტალური დასკვნის გაკეთების საშუალებას, თუმცა ასლის პირობებშიც, უტყუარად დადასტურდა ორი რამ: ჩანანერი არ არის ფაბრიკაცია და ის საქართველოში გაკეთდა.

საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო ლინგვისტური ანალიზით სატელეფონო ჩანანერში ხმით იმის დადგენაც კი შეიძლება, ტყუის თუ არა მოსაუბრე. **□**

თვითმმართველობის არჩევნები

უბუნავს დიასა

30 მაისს გამარჯვების შემთხვევაში, გიგი უგულავა თავის მთავარ პოლიტიკურ ბრძოლას დაიწყებს.

სოფო ბუკია



ხაბაზის, ყასბის, შუშების მწმენდავის, ფარმაცევტის, მტვირთავისა თუ ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორის სპეცტანსაცმლის მორგება მხოლოდ დასაწყისია. წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც გიგი უგულავამ გასულ კვირას დაიწყო, 30 მაისამდე ბევრ სხვა გარდასახვას გულისხმობს.

„თანამდებობას ყოველთვის აქვს ერთი ცუდი თვისება. ეჩვევი და ყველაფერს ამ პრიზმიდან უყურებ... მინდა, ერთი თვე იმ ხალხის გვერდით გავატარო“, – განაცხადა დედაქალაქის მერმა კინოთეატრ „ამირანთან“ ვიტრაჟების განმენდის შემდეგ, ვიდრე ბაზარში ხორცის გასაყიდად წავიდოდა.

ამ საარჩევნო კარნავალის გაშუქების ექსკლუზიური უფლება მხოლოდ ნაციონალურ ტელეარხებს აქვთ. „არაჩვეულებრივად გაართვა თავი პურის გამოცხობას... არ მეგონა, თუ ოდესმე მოვიდოდა. ეს შეუსრულებელი ოცნება იყო“, – ტელეკამერების წინ განაცხადა ქეთევან სონღულაშვილმა, თონის მეპატრონემ, სადაც თბილისის მერმა პურები და ნაზუქები დააცხო.

მეორე დღესვე სახელისუფლებო ტელევიზიებში მერობის კანდიდატთა შეფასების ახალი კრიტერიუმები გაჩნდა. მაგალითად, ტელეკომპანია „რეალ ტვ“-ის ჟურნალისტმა თბილისის მერობის ერთ-ერთ კანდიდატს თამაზ ვაშაძეს ჰკითხა: „ბატონო თამაზ, თქვენ შეგიძლიათ, პური რომ გამოაცხოთ?“

უგულავას ტრანსფორმაცია ვადამდელი არჩევნების გამოცხადების დღესვე დაიწყო. 7 ნოემბერს პოლიტიკური

ოპონენტების მიმართ უხეში შეფასებით გამოჩენილი და აგვისტოს ომის დროს უმაღლესი სამხედრო ჩინოსნების გვერდით მდგომი უგულავა უცებ მზრუნველ მეურნედ იქცა, რომელსაც მხოლოდ დასუფთავებაზე და წყალმომარაგებაზე აქვს კომპეტენტური აზრი.

„გასაკეთებელი კიდევ ბევრია“ – მისი წინასაარჩევნო კამპანიის მოხერხებული სლოგანი პირველად გასულ ორშაბათს გლდანელემა მოისმინეს.

გლდანის მეორე მიკრორაიონის ერთ-ერთ სტანდარტულ ეზოში – საქანელებითა და ფერადი სკამებით – საზოგადოებას „ნაციონალების“ კანდიდატურა, არა პარტიამ, არამედ რიგითმა თბილისელმა მოქალაქემ, ხათუნა კასრაძემ წარუდგინა.

„პრეზენტაციამდე რამდენიმე დღით ადრე ქალბატონი თვითონ დაგვიკავშირდა. შემდეგ ოფისში მოვიდა. ჩავთვალეთ, რომ კარგი იქნებოდა, თუ გიგის რიგითი მოქალაქე წარადგენდა“, – ამბობს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი კოკი იონათამაშვილი.

ორმოცი წუთით იქაურობა გადასაღებ მოედანს დაემსგავსა. ტელეკომპანია „მაესტრო“ გადმოსცემდა, რომ მერობის კანდიდატი სიტყვას ტრიბუნის მარჯვნივ და მარცხნივ განთავსებულ სუფლიორზე კითხულობდა.

გლდანელემა თან შეხვედრავს თბილისის მერი უჰალსტუხოდ მივიდა. მის გარეგნობაში, ლექსიკასა თუ საუბრის მანერაში თვალმისაცემი ცვლილებები იყო.

გამოსვლისას ლელავდა და ცდილობდა, მისი ხმა ჩვეულებრივზე მეტად

მკაფიო და დამაჯერებელი ყოფილიყო. უგულავას კარგად დაგეგმილ და ძვირად ღირებულ წინასაარჩევნო კამპანიას პირველი შედეგი უკვე მოჰყვა – მან ყურადღება მიიქცია.

უგულავას გამოსვლამ თბილისელებს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გაახსენა: „რაც დრო გადის, მიშას ემსგავსება. ისიც მოჰყვა საზღვარგარეთ როგორ სწავლობდა“, – თქვა 53 წლის ქალბატონმა, რომელთანაც „ლიბერალმა“ ქუჩაში ჩაწერა ინტერვიუ.

სავარაუდოდ, ეს ასოციაცია ამ კამპანიის კიდევ ერთი შედეგია, რომელიც ასევე წინასწარ იყო გათვლილი.

„თბილისს სჭირდება მშრომელი მერი, რომელიც თბილისს დასაქმების ცენტრად აქცევს... თბილისს არ სჭირდება მერი, რომლისთვისაც მერობა მხოლოდ ტრამპლინია და მეტი არაფერი“, – განაცხადა უგულავამ გლდანში გამოსვლისას.

არადა, თუ თბილისის მოსახლეობა 30 მაისს გიგი უგულავას აირჩევს, მას სწორედ ამის საშუალება ეძლევა, რადგან ლოგიკურად უგულავას უნდა ჰქონდეს იმის ამბიცია, რომ 2013 წელს სააკაშვილის მემკვიდრე გახდეს.

თუმცა, მერსა და პრეზიდენტს შორის მსგავსებაზე მეტად, გლდანის პრეზენტაციამ მათ შორის განსხვავებები გამოკვეთა.

გიგი უგულავა ნაკლებად ქარიზმული და დამოუკიდებელია. დადგმულ საარჩევნო კამპანიაში მოქმედი მერის ინდივიდუალიზმი მინიმუმამდე დაყვანილი. განსხვავებით მისგან, პიარ-ტექნოლო-



ეს არჩევნები, სავარაუდოდ, ბოლო პოლიტიკური ბრძოლაა, რომელშიც სააკაშვილის გუნდი ამ შემადგენლობით ერთიანად გამოდის.

გების მთელი გუნდის მუშაობის პირობებში, სააკაშვილი ყოველთვის ახერხებდა საკუთარი ხასიათის შენარჩუნებას. გლდანში გამართულმა პრეზენტაციამ არჩენა, რომ უგულავამ ეს ვერ შეძლო.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ბოლო რეპეტიციამ მათთვის, ვისი პოლიტიკური ამბიციებიც პოსტ-საკაშვილის ეპოქას უკავშირდება. ამ არჩევნებში, მინიმუმ, ორი ასეთი კანდიდატია.

წინასაარჩევნოდ დედაქალაქში წამოწყებული გრანდიოზული მუნიციპალური პროექტებით, ადმინისტრაციული რესურსითა და ნაციონალური ტელევიზიებით მოქმედი მერი თავის მთავარ ოპოზიციონერ კანდიდატს – ირაკლი ალასანიას უპირისპირდება, რომელიც არ მალავს, რომ 30 მაისის არჩევნები მისთვის მხოლოდ „დიდ პოლიტიკაში“ მოსასვლელი გზაა; უგულავა ცდილობს, კონტრასტულად გამოიყურებოდეს იმ ოპოზიციის ფონზეც, რომელმაც მთელი წინასაარჩევნო პერიოდი მოსკოვში გაატარა.

ადგილობრივი თვითმმართველობებისა და თბილისის მერის არჩევის შემდეგ საქართველოს მოქალაქეები საარჩევნო ურნებთან მხოლოდ 2013 წელს, უკვე პრეზიდენტის ასარჩევად მივლენ.

არასამთავრობო აქტიუზიზმიდან მოსული, ყოფილი „კმარელი“ და სტიქა-

როსანი, გიგი უგულავა უფრო პრაგმატული პოლიტიკოსი აღმოჩნდა, ვიდრე – მისი თანაგუნდელები „თავისუფლების ინსტიტუტიდან“. „მათგან განსხვავებით, უგულავამ შეძლო ღირებულებებისა და პრინციპების პრაგმატიზმისთვის დაქვემდებარება, რამაც იგი მოსახლეობაში, პოპულარულ თუ არა, საძულველ პოლიტიკოსად მაინც არ აქცია“, – ამბობს პოლიტოლოგი, განათლების ყოფილი მინისტრი, გია ნოდია.

უგულავა პოლიტიკოსთა იმ ვიწრო წრეში შედის, რომლებიც დღეს არა მარტო დედაქალაქს, არამედ ქვეყანას მართავენ. ამ გუნდში უგულავა ყველაზე მეტად საჯარო ფიგურაა და სწორედ ეს განსაზღვრავს მის პოლიტიკურ წონას. ამიტომაც აქვს მას სხვებზე მეტი შანსი, პრეზიდენტის მემკვიდრედ იქცეს.

გასული წლის გაზაფხულზე ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში, ერთ-ერთ დახურულ შეხვედრაზე გიგი უგულავას ჰკითხეს, თუ რა იყო ხელისუფლების პროგრამა მაქსიმუმ 2013 წლისთვის? „ხელისუფლების უსისხლოდ და თანმიმდევრულად გადაცემა“, – უპასუხა მან.

უგულავას ეს პასუხიც და მისი, როგორც ამბიციური პოლიტიკოსის სახე, რომელიც ბოლომდე ვერ წაშალა ახალმა იმიჯმა, იმაზე მეტყველებს, რომ თავისი პოლიტიკური კარიერის ყველაზე

მთავარი გარდასახვისთვის იგი სწორედ 30 მაისის არჩევნების შემდეგ მოემზადება.

„იგი აბსოლუტური კონფორმისტია, შეუძლია ერთი პოზიციიდან მეორეზე უპრობლემოდ გადავიდეს. უყვარს უფროსობა, ფული და კარგი ცხოვრება. პიროვნული ბოღმები ნაკლებად აქვს. მისი დაყოლიება ადვილია, წინააღმდეგობას არ სწევს, ამიტომაც ნიშნავენ სულ უფრო მალალ და მალალ თანამდებობებზე“, – ამბობს უგულავას ყოფილი თანაგუნდელი და დღეს მისი პოლიტიკური ოპონენტი, დავით ზურაბიშვილი.

თბილისის მერის არჩევნების დღე მის პოლიტიკურ კარიერაში მნიშვნელოვანი თარიღია. გამარჯვება მემკვიდრის პოსტზე განაცხადი იქნება, წაგება კი – „ნაციონალური მოძრაობის“ რიგით წევრად ქცევა.

„უგულავა არის გუნდის შიგნით ბუნებრივი შერჩევის შედეგი, – ამბობს გია ნოდია, – მეტი სხვა ვერაფერ ვერ გამოდგა ამ გუნდში საჯარო პოლიტიკოსად. აი, უგულავა გამოდგა. ვინც მოიგებს ამ არჩევნებს, არ ნიშნავს, რომ მოიგებს პრეზიდენტობას, მაგრამ საზოგადოება აღიქვამს მას, როგორც პრეზიდენტობის მთავარ კანდიდატს“.

შესაძლოა, უგულავას პოლიტიკური აღზევების იდეას მმართველ გუნდში

მონინალმდეგეები ჰყავდეს, მაგრამ ამ ეტაპზე მის მხარდასაჭერად ხელისუფლება ერთიანია.

თუმცა, ეს არჩევნები, სავარაუდოდ, ბოლო პოლიტიკური ბრძოლაა, რომელშიც სააკაშვილის გუნდი ამ შემადგენლობით ერთიანად გამოდის.

ეს არჩევნები ოპოზიციისთვის ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, თუმცა 30 მაისამდე ერთი თვით ადრე იგი უფრო შორსაა გამარჯვებისგან, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

მერის არჩევნები ხელისუფლების დათმობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს იდეა უკვე დაიკარგა.

პირველი საჯარო განცხადება იმის შესახებ, რომ თბილისის მერის არჩევნები პირდაპირი წესით გაიმართება, უგულავამ გააკეთა. „ნაციონალურ მოძრაობაში“ ამ არაპოპულარული ინიციატივის გატანას იგი საკუთარ დამსახურებად მიიჩნევს.

ოპოზიციურად განწყობილ თბილისში ეს თამამი გადაწყვეტილება იყო. თუმცა, ჯილდო, რომელსაც უგულავა ამ რისკის ფასად მიიღებდა, ამად ღირდა.

უგულავას ბრძოლა თავის კონკურენტებთან უთანასწოროა. მოქმედი მერი მძლავრ ადმინისტრაციულ რესურსსა და შეუზღუდავ მედია მხარდაჭერას

ფლობს. დაქუცმაცებული ოპოზიცია კი ამ მექანიზმებთან საბრძოლველად სრულიად უუნარო აღმოჩნდა.

თუ ოპოზიციამ ეს ბრძოლაც წააგო, მაშინ იგი ხელახლა უნდა შეიქმნას, რადგან ამ შემადგენლობითა და რიტორიკით 2013 წლისთვის ბრძოლაში არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდება.

მათ კი, ვინც სახელისუფლებო გუნდის შიგნით განხეთქილებებს ეძებს, მეტი საბაზი სექტემბრიდან მიეცემათ. მომავალი პოლიტიკური შემოდგომის დღის წესრიგის მთავარი თემა უკვე პოსტსაკაშვილის ეპოქისთვის მზადება იქნება. □

ხანხის უხი: ჩნ უხის ხაიო ბიბი უბუკუნს საუხრუნო ხაუხანიუ?



45 წლის ქალბატონი, ექიმი-რეაბილიტატორი

თავის წინასაარჩევნო კამპანიით უგულავა ამბობს, რომ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. ჩემი აზრით, გულწრფელია. საქველმოქმედო საქმეებს ყოველდღე უნდა ვაკეთებდეთ – ქრისტიანები ვართ. მე პიროვნულად მომწონს გიგი, მაგრამ რა გარემოცვაში მოხვდება და რამდენად შეძლებს საკუთარი გვემის მიხედვით იმოქმედოს, ძნელია ამის თქმა.

გამო არ მივცემდი ხმას, მაგრამ არა უშავს – ზოგჯერ ოჯახის წევრებსაც ეშლება ხოლმე.



70 წლის ქალბატონი, იურისტი

გიგი უგულავას უშუალო საქციელი მეუბნება, რომ ის ხალხთანაა და არაფერს იუკადრისებს. შეიძლება, ამის გამო უფრო მეტი ხმა მიიღოს. აქამდე ხორცი რატომ უნდა გაეყიდა? მერი იყო. ახლა ამბობს, რომ ის ერის ნაწილია. მე ხომ პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მჯერა, რომ გულწრფელია.

თაბუკაშვილის ქუჩიდან. მაშინ რატომღაც ხალხთან უშუალო ურთიერთობა არ დაუწყია. არ შეიძლება ადამიანი ერთ დღეში გადასხვაფერდეს. თუ უგულავას კამპანია თბილისელებზე იმოქმედებს, ეს მხოლოდ ჩვენი ბრალი იქნება.



49 წლის მამაკაცი, მძღოლი

უგულავას საქციელი მხოლოდ წინასაარჩევნო პიარია, თუმცა მოქალაქეების ნაწილმა ალბათ დაიჯერა, რომ უშუალო ადამიანია. ის, რომ ხორცი დაჭრა, ჩემთვის საკმარისი არ არის, რომ ხმა მივცე. არ მჯერა მისი გულწრფელობის.



ნანა ნადირაძე, 51 წლის, დიასახლისი

აინტერესებს, რომელ სპეციალობაში რა ხდება და იმიტომ იქცევა ასე. მოსიწჯა, რა როგორ კეთდება. ხალხთან ურთიერთობა სულ აქვს და მერი რომ გახდება, მერეც ექნება. არ ვიცი, ხალხი მას უშუალობის გამო მისცემს თუ არა ხმას, მაგრამ მე, პირადად, აქამდეც კარგი შთაბეჭდილება მქონდა და უკეთესი რაღამ უნდა შემიქმნას?



45 წლის მამაკაცი, პურის მცხოვრელი

აფერისტია გიგი უგულავა. ჩემი თონის წინ ასფალტი რომ დააგეს, მაშინ იყო მოსული და მითხრა, – მე დაგასაქმეო. მაგან როგორ დამასაქმეა? ან რამე შეღავათი გაგვიკეთა? ვინც ჩემთან მოდის, ყველა უკმაყოფილოა უგულავათი. თვალეზზე ეტყობა, რომ თამაშობს. ეგ პურსაც ვერ ჩააცხობს.



71 წლის თამარ ფირცხელია, დოცენტი

იაფფასიანი კამპანიაა. თამაშობს. რუსეთში იყო ასეთი მოძრაობა „გადით ხალხში“. ევროპაშიც და ამერიკაშიც ჰქონიათ მსგავსი პოლიტიკა. იგივე პრინციპით ხელმძღვანელობს უგულავა – ვითომ ქალაქში გავიდა, მაგრამ მის გულწრფელობას მოაზროვნე ადამიანი არ დაიჯერებს.



ქალბატონი მანანა, 50 წლის, ბულალტერი

აღმშენებლობისთვის იქცევა ასე, არ თამაშობს. აქამდეც აქტიური იყო – რაც შეეძლო, აკეთებდა. სიმათლე გითხრათ, ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს ის, რომ ხორცს ჭრის. მისი მხარდამჭერი რომ არ ვიყო, მარტო ამის



64 წლის ქალბატონი, მოცეკვეთი

კარგად მახსოვს, როგორ ჩამოართვეს ბინები პრეზიდენტის სასახლის ადგილას მცხოვრებ ხალხს, როგორ გამოყარეს

„ლიბერალმა“ გამოკითხვა ილია ჭავჭავაძის გამზირზე ჩაატარა, შემთხვევით შერჩევის პრინციპით. რესპონდენტების უმრავლესობამ საკუთარი ვინაობის დასახელებისა და ფოტოს გადაღებისგან თავი შეიკავა.

ჩაბომ სჭიხღება ოჯოზიხიას მეხანე ტაქნოკრატიული მიღბომა

ხელისუფლება შეიძლება დავადანაშაულოთ ზედმეტად ტექნოკრატიულ მიდგომაში, ოპოზიცია კი – ამგვარი მიდგომის ნაკლებობაში.

გიორგი ცხადაია



არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში გამართული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას ქართველ პოლიტიკოსებს შორის შესაბამისი კვალიფიკაციის და ცოდნის არქონა უშლის ხელს. რა როლი შეუძლიათ შეასრულონ ტექნოკრატებმა, ანუ შესაბამისი ბიუროკრატიული და სპეციალური უნარების მქონე პოლიტიკოსებმა, მაგალითად – სამართლის, საჯარო პოლიტიკის, პოლიტიკური ეკონომიკის ან რომელიმე ტექნიკური დარგის სპეციალისტებმა პოლიტიკურ სცენაზე?

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ დღეებში, როდესაც ზვიად გამსახურდიას მთავრობა შეიქმნა, საჯარო პოლიტიკის ექსპერტიზას და ბიუროკრატიულ უნარებს მინიმალური ყურადღება ენიჭებოდა. ის ადამიან-

ები, რომლებიც იმდროინდელ პოლიტიკურ ელიტას წარმოადგენდნენ, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ იდეოლოგიური ნიშნით იყვნენ შერჩეულნი. მოარული აზრია, რომ მათ უმრავლესობას სახელმწიფოს მართვის ბევრი მთავრობაში, მართალია, ტექნოკრატიულ და ბიუროკრატიულ ელიტას მეტი ადგილი ეკავა, მაგრამ ყველა აღიარებდა, რომ არაკომპეტენტურობა, მუშაობის მოძველებული მეთოდები, არაორგანიზებულობა და სამუშაო ეთიკის არქონა იმდროინდელი ადმინისტრაციის სერიოზული პრობლემა იყო. სააკაშვილის ხელისუფლებაში ტექნოკრატიისკენ მიდრეკილება იმითი გამოიხატა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი გამუდმებით უსვამს ხაზს სამთავრობო პოსტებზე წარდგენილი

ადამიანების მენეჯერულ უნარებს.

„კარგი მენეჯერობის“ შესახებ ამგვარი წარმოდგენები სწორედ შევარდნადის პერიოდში ჩამოყალიბდა, როდესაც დღევანდელი მთავრობის წევრების ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობდა და საჯარო პოლიტიკის სფეროს სწავლობდა. არასამთავრობოების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა სახელმწიფოს კონკრეტული დარგის პოლიტიკის კვლევა და შემდეგ მთავრობისთვის შესაბამისი რეკომენდაციების გაცნობა.

ახლანდელი ხელისუფლების მეორე ნაწილი, მაგალითად თავად მიხეილ სააკაშვილი, უშუალოდ შევარდნადის მთავრობაში მუშაობდა და პირადად ჰქონდა შეხება საკუთარი და მომიჯნავე უწყების გაუმართავ მუშაობასთან. ამრიგად, შევარდნადის ადმინისტრაციის უუნარობამ და არაკომპეტენტურობამ ხელი შეუწყო ისეთი წარმოდგენის ჩამოყალიბებას, რომ თუ ხელისუფლებაში „კარგი მენეჯერები“ მოვიდოდნენ, სახელმწიფოს წინაშე მდგარი პრობლემების უმრავლესობა მოგვარდებოდა. სააკაშვილის გუნდი ამომრჩეველს არწმუნებდა და არწმუნებს, რომ მას სწორედ უცხოეთში განათლებამიღებული, ენერგიული და შრომისმოყვარე მენეჯერები, ანუ ტექნოკრატები სჭირდება, რომლებიც სახელმწიფოს წინაშე მდგარ პრობლემებს მოაგვარებენ. აღნიშნული წარმოდგენა, კითხვაზე, თუ რა როლი ენიჭებათ ტექნოკრატებს პოლიტიკაში, ერთ რადიკალურ პასუხს იძლევა: გამოდის, რომ ტექნოკრატების როლი პოლიტიკაში გადამწყვეტია.

ახლა საპრისპირო რადიკალურ

შემთხვევასაც მივუბრუნდეთ: უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული არასაპარლამენტო ოპოზიციის დიდი ნაწილი აქამდე ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საკუთარი პარტიის წევრების ტექნოკრატიული და მენეჯერული უნარების დემონსტრირებას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ წარსულში იყო გამონაკლისებიც, მაგალითად, „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერის – დავით გამყრელიძის სლოგანი „ექიმი, მენარმე, ლიდერი“, ან რესპუბლიკელების სლოგანები განათლებულ და კვალიფიცირებულ გუნდზე. ამ სლოგანებმა თავის დროზე არ გაამართლა და ქართულ არასაპარლამენტო ოპოზიციას, რესპუბლიკელებს თუ არ ჩა-

ოპოზიციის ერთი ნაწილი ცდილობს ამ დანაკლისის შევსებას, ხოლო მეორე ნაწილი თითქმის არანაირ ყურადღებას არ აქცევს საკუთარი კომპეტენციებისა და განათლების დემონსტრირებას. ამომრჩეველს ყოველთვის აინტერესებს იმ კანდიდატის პროფესიული უნარები და განათლება, რომელსაც ხმას აძლევს. ოპოზიციის გარკვეული ჯგუფები ცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ საქართველოში ამომრჩეველს არ აქვს იმისი უნარი, რომ ერთმანეთისგან გაარჩიოს კვალიფიცირებული და არაკვალიფიცირებული კანდიდატები. მაგალითად, რატომ მოელიან ირაკლი ალასანიასგან უფრო მეტს,

მთავრობა – მთლიანი მოსახლეობის წინაშე. მაგალითად, იმისათვის, რომ სამინისტრო იყოს წარმატებული, მინისტრი და მისი ადმინისტრაციის მოხელეები ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეების მიმართ. პასუხისმგებლობასთან ერთად მნიშვნელოვანია პასუხის გაცემის უნარი, ანუ კომუნიკაცია მოქალაქეებთან, მათი ინტერესების და საყვედურების გათვალისწინება, რესურსების სამართლიანი განაწილება და კეთილსინდისიერი მუშაობა. მაშინ, როდესაც ამომრჩეველების მთავარი სადარდებელი ხელისუფლების არასამართლიანი და არაკეთილსინდისიერი ქმედებებია, სახელმწიფოს წინაშე

■ ჯერჯერობით ოპოზიციამ ვერ მოახერხა, ხელისუფლების მიდგომას თავისივე იარაღით – ტექნოკრატიზმის დემონსტრირებით შეებრძოლოს. თუ ოპოზიცია ამას მთავრობის ნეგატიურ კრიტიკას შეუთავსებს, ამან შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს.

ვთვლით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში თითქმის არ მიუმართავთ ამგვარი რიტორიკისთვის. პირიქით, ოპოზიციის ლიდერები ყოველთვის აპელირებდნენ თავიანთი კეთილი განზრახვებით და არასდროს საუბრობდნენ საკუთარ მენეჯერულ უნარებზე. ოპოზიცია ფუნდამენტურ შეცდომას უშვებდა, როცა თითქმის სრულ იგნორირებას უკეთებდა პოზიტიურ რიტორიკას – საკუთარი პოტენციალის და პროექტების დემონსტრირებას და მხოლოდ ნეგატიური რიტორიკით, ანუ ხელისუფლების კრიტიკით იყო დაკავებული. მაისის მუნიციპალური არჩევნებისთვის მზადებამ პოზიტიური რიტორიკის მნიშვნელობა დაგვანახა. მაგალითად, „ქრისტიან-დემოკრატებმა“ წარმატებით შეძლეს თავიანთი კანდიდატის გია ჭანტურიას ტექნოკრატიად და „საქმის მცოდნე“ პოლიტიკოსად წარმოჩენა. სხვათა შორის, ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაზე ამომრჩეველებთან ერთმა ამომრჩეველმა ტელეკამერის წინ განაცხადა, რომ იგი გია ჭანტურიას ენდობა, რადგან სჯერა მისი განათლებისა და კვალიფიკაციის. გია ჭანტურია ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ყოფილი პრეზიდენტი. საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ

ვიდრე სხვა ოპოზიციური კანდიდატისგან? იმიტომ, რომ ალასანიას აქვს პროფესიული მუშაობის გამოცდილება და კარგი რეზიუმე. რატომ გამოირჩეოდა თავის დროზე შევარდნაძის მთავრობაში მიხეილ სააკაშვილი? იმიტომ, რომ იგი, მთავრობის სხვა ყველა წევრზე თუ არა, სრულ უმრავლესობაზე მაინც ბევრად კვალიფიცირებული იყო. ამომრჩეველი ამ დეტალებს დიდ ყურადღებას აქცევს. მაშინ, როდესაც ოპოზიციას ტექნოკრატიული მიდგომის ნაკლებობის გამო ვაკრიტიკებთ, ხელისუფლება შეიძლება დავადანაშაულოთ ზედმეტად ტექნოკრატიულ წარმოდგენებში პოლიტიკურ პროცესებზე. „კარგი მენეჯერობა“ სრულიად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მთავრობის წევრმა წარმატებით იმუშაოს. მთავრობა კერძო ბიზნესი არ არის და არც მისი წევრები არიან კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ დანიშნული მენეჯერები. ამისი ახსნა თითქოს ზედმეტია, მაგრამ მთავრობას კერძო კომპანიისგან ის განასხვავებს, რომ კერძო კომპანია უმთავრესად საკუთარ თავთან არის პასუხისმგებელი (სხვათა შორის, დღეს ეს მოსაზრებაც სადავოა, თუ გავითვალისწინებთ გარემოს დაცვის ფაქტორს), ხოლო

მდგარი პრობლემების მხოლოდ „კარგი მენეჯერებისთვის“ გადაბარება სიტუაციას ვერ გამოასწორებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ბოლო ხანებში ქართულ პოლიტიკაში გამოიკვეთა ორი რადიკალური ტენდენცია, რომელთაგან ერთი მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური პარტიის თუ ბლოკის კეთილსინდისიერებასა და კეთილმოზილურ მიზნებზე აკეთებს აქცენტს – ეს არის არასაპარლამენტო ოპოზიცია, რომელიც ხშირად აცხადებდა, რომ მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უსამართლობა მოისპობა და სისტემა უფრო დემოკრატიული გახდება. მეორე მხრივ, ხელისუფლება, რომელიც ყოველთვის განსაკუთრებით უსვამს ხაზს საკუთარ „მენეჯერულ შესაძლებლობებს“ და პრობლემებისადმი ტექნოკრატიულ მიდგომას. საქმე ის არის, რომ ჯერჯერობით ოპოზიციამ ვერ მოახერხა, ხელისუფლების მიდგომას თავისივე იარაღით – ტექნოკრატიზმის დემონსტრირებით შეებრძოლოს. თუ ოპოზიცია ამას მთავრობის ნეგატიურ კრიტიკას შეუთავსებს, ამან შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს იმ თვალსაზრისით, რომ მას უფრო მყარი და თავის თავში დარწმუნებული ელექტორატი შესძინოს. **■**

"საფეხბუხთო დიპლომატიის" დასახელები

სომხეთსა და თურქეთს შორის დაწყებული ურთიერთობის ნორმალიზების პროცესი ჩიხშია. ფეხბურთშიც და დიპლომატიამაც თურქეთმა გაიმარჯვა.

თათულ ჰაკობიანი, ფონდ სივილიტას ექსპერტი-კონფლიქტოლოგი, ერევანი



მოსხუცი ქალბატონი დაღუპული თურქი ჟურნალისტის ჰრანტ დინქის პლაკატით ხელში სომხეთის გენოციდის მსხვერპლთა მემორიალზე, ერევანი, 24 აპრილი 2010

ფოტოგრაფი: ნიკოლოზი

22 აპრილს პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა სომხეთის პარლამენტს თურქეთთან ხელმოწერილი ორი ოქმის რატიფიკაციის პროცესის შეწყვეტისაკენ მოუწოდა. ამ ოქმებს ორივე მხარემ გასული წლის ოქტომბერში მოაწერა ხელი.

სომხეთის პრეზიდენტმა თავის სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, რომ თურქეთის მიერ ოქმების რატიფიკაციის და განხორციელების „გონივრული ვადა“ ამოიწურა.

ამ განცხადებიდან ორ დღეში – 24 აპრილს სომეხი ერი გენოციდის მსხვერპლთა დღეს აღნიშნავდა. ხოლო, ვიდრე ამ განცხადებას გააკეთებდა, სარგსიანს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ჰქონდა – 10 დღით ადრე ვაშინგტონში იგი პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯებ ტაიპ ერდოღანს შეხვდა. ხოლო ამ გამოსვლამდე ორი დღით ადრე სარგსიანი მოსკოვში ჩავიდა და რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს ესაუბრა. „ერთი წლის მანძილ-

ზე თურქეთის მაღალჩინოსნები წინაპირობებს აყენებენ. თურქეთმა დროის გაჭიანურებისა და პროცესის ჩაგდებისთვის ყველაფერი გააკეთა. თურქეთი წინსვლისთვის მზად არ არის. ურთიერთობათა ნორმალიზების დღევანდელ ფაზას ამოწურულად მივიჩნევთ“, – განაცხადა სომხეთის პრეზიდენტმა.

პრეზიდენტი სარგსიანი მანამდეც არაერთხელ დაიმუქრა, რომ თურქულ-სომხურ შეთანხმებებს გააუქმებდა, თუ ანკარა „გონივრულ ვადებში“ არ მოახდენდა მათ რატიფიკირებას. მეორე მხრივ, თურქეთის ლიდერებმა, მათ შორის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა, ნათლად განაცხადეს, რომ შეთანხმებას მხარს არ დაუჭერდნენ, ვიდრე ყარაბაღის კონფლიქტი აზერბაიჯანისათვის დამაკმაყოფილებელი გზით არ მოგვარდება.

გასული წლის ოქტომბერში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის თანდასწრებით ხელ-

მოწერილი ოქმები სომხეთსა და თურქეთს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისა და, 1993 წელს აზერბაიჯანისადმი სოლიდარობის მიზნით, ანკარის მიერ ჩაკეტილი საზღვრების გახსნისაკენ მოუწოდებს.

1991 წელს თურქეთმა სხვა დანარჩენ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად სომხეთის დამოუკიდებლობაც ცნო. მაგრამ 1992 წელს ანკარას სომხეთთან, სხვა დანარჩენი რესპუბლიკებისგან, მათ შორის საქართველოსა და აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, დიპლომატიური ურთიერთობები არ დაუყარებია, რადგან თურქეთმა ოფიციალურ ერევანს გენოციდის აღიარების მცდელობაზე ხელის აღება და სომხეთსა და თურქეთს შორის არსებული საზღვრების საჯაროდ აღიარება მოსთხოვა.

„სომხეთმა ოქმზე საკუთარი ხელმოწერა არ უნდა გამოითხოვოს, რადგან ჩვენ ურთიერთობათა ნორმალიზების არსებული შესაძლებლობის შენარჩუნება გვსურს, რადგან ჩვენ მშვიდობა გვინდა. პროცესის გაგრძელებაზე უნდა დაფიქრდეთ მაშინ, როცა დაგწმუნდებით, რომ ანკარაში ამისთვის მზად არიან“, – განაცხადა სარგსიანმა თავის სატელევიზიო გამოსვლაში.

„პარლამენტიდან ოქმების გამოთხოვნით სომხეთმა დაადასტურა, რომ მთელი ერთი წლის განმავლობაში მშვიდად უცქერდა, თუ როგორ უყენებდა თურქეთი წინაპირობებს, როგორ იყენებდა თურქეთი მთელ პროცესს თავის სასარგებლოდ. სომხეთის ხელისუფლება კი გვეუბნებოდა, რომ ეს პროცესი სომხეთის დიდი წარმატება და უპრეცედენტო დიპლომატიური გამარჯვებაა“, – განაცხადა სომხეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ვართან ოსკანიანმა, რომელიც სომხეთის ექს-პრეზიდენტის, რობერტ კოჩარაიანის ახლო მოკავშირეა.

სომხეთ-თურქეთის პროცესზე ექს-

პრეზიდენტის აზრი საჯაროდ ცნობილი არ არის. არსებობს ინფორმაცია, რომ კორჩარანი სარგსიანის „ფეხბურთის დიპლომატიის“ წინააღმდეგი იყო, მაგრამ სარგსიანის საჯაროდ გაკრიტიკება არ სურდა, რათა მისი შიდა პოზიციები არ დაესუსტებინა. როგორც კორჩარანი ადრე განაცხადა, თვითონ რომ ყოფილიყო პრეზიდენტი, 2008 წლის 6 სექტემბერს ფეხბურთის მატჩის საყურებლად თურქეთის პრეზიდენტს აბდულა გიულს სომხეთში არ დაპატიჟებდა.

სარგსიანის განცხადების შემდეგ ერდოლანმა და თურქეთის სხვა მაღალჩინოსნებმაც დაუყოვნებლივ განაცხადეს, რომ ანკარა სომხეთთან სამშვიდობო ოქმების განხორციელებით კვლავ დაინტერესებულია. „ჩვენ არაერთხელ დავადასტურეთ, რომ დაინტერესებულნი ვართ ოქმების კეთილსინდისიერად აღსრულებით; ასევე არაერთხელ განემარტეთ, თუ როგორ შეიძლება დავაჩქაროთ რატიფიკაციის პროცესი და რეგიონში საყოველთაო მშვიდობას მივაღწიოთ“, – თქვა ერდოლანმა.

2008 წელს, „ფეხბურთის დიპლომატიის“ დანაშაულის შემდეგ აზერბაიჯანი ანკარაზე ზენოლას ცდილობდა, რათა ამ უკანასკნელს სომხურ-თურქულ შეთანხმებასთან ყარაბაღის კონფლიქტი დაეკავშირებინა. აზერბაიჯანის გაბრაზებამ პიკს მიაღწია 2009 წლის 10 ოქტომბერს, ციურისში სომხეთ-თურქეთის ოქმების ხელმოწერის შემდეგ.

სავარაუდოდ, ბაქოს ხელისუფლების ნაქეზებით, ბაქოში, თურქეთის საელჩოს წინ ერდოლანის პორტრეტები დაწვეს და ოფიციალურმა პირებმა ქალაქში ყველა თურქული დროშა ჩამოხსნეს. ამის შემდეგ პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხმადალა განაცხადა თურქეთის გავლით გაზის ექსპორტის შემცირების შესაძლებლობის შესახებ, თუ თურქეთი ფასის მნიშვნელოვან ზრდას არ დათანხმდებოდა.

სომხეთის ხელისუფლება მთელი წლის განმავლობაში უარყოფდა, რომ სომხეთ-თურქეთის პროცესში პრობლემები იყო და ყველა კრიტიკის საპასუხოდ ამტკიცებდა, რომ სომხური მხარისთვის ყველაფერი კარგად მიდის.

ქვეყნის ყველაზე დიდმა ოპოზიციურმა ალიანსმა, სომხეთის ეროვნულმა კონგრესმა, რომელსაც სათავეში პირველი პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი უდგას, სომხურ-თურქული ოქმების პარ-

ლამენტის მიერ რატიფიკაციის გაყინვას სარგსიანის საგარეო პოლიტიკის „გაკოტრება“ უწოდა.

ოპოზიციამ გაიმეორა თავისი პრეტენზია, რომ სარგსიანმა თურქეთთან დაახლოების პოლიტიკა წამოიწყო, რათა, სომხების გენოციდის აღიარების ხარჯზე, თავისი საერთაშორისო ლეგიტიმურობა განემტკიცებინა (სარგსიანის გაპრეზიდენტებას წინ უძღოდა ერევანში ოპოზიციის მომხრეებსა და სამართალდამცავებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება, რომლის დროსაც 9 ადამიანი დაიღუპა).

მეორე ოპოზიციური ჯგუფი ნაციონალისტური „დამნაცუტუნის“ პარტიის მეთაურობით სომხეთის მთავრობას მოუწოდებს, ოქმები საერთოდ გააუქმოს. „აუცილებელია საბოლოო ნაბიჯის გადადგმა და ხელმოწერის გამოხმობა და ყველა სამიშროების აღმოფხვრა. იურიდიულად, ოქმები ჯერ კიდევ გაუქმებული არ არის. სომხეთს არ ყოფნის გამბედაობა, განაცხადოს, რომ სომხეთ-თურქეთის ამჟამინდელი პროცესი მკვდარია“, – განაცხადა დამნაჰების პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, გირო მანოიანმა. დამნაჰებმა, თურქეთთან ურთიერთობების გამო, მანამდეც მკაცრად გააკრიტიკეს სომხეთის მთავრობა და სომხეთის მმართველი კოალიციიდან გამოვიდნენ.

მმართველი რესპუბლიკური პარტიის სპიკერმა, ედუარდ შარმაზანოვმა კრიტიკა უარყო: „ამ გამოსვლით პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ სომხეთს ნებისმიერ ფასად არ უღირს თურქეთთან ურთიერთობების ნორმალიზება“.

იმ დროს, როცა სომხეთში საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი სომხურ-თურქული პროცესების გამო ორადაა გაყოფილი, ხოლო გავლენიანი სომხური დიასპორა სარგსიანის „ფეხბურთის დიპლომატიას“ აკრიტიკებს, აშშ და ევროპა თურქულ-სომხური დაახლოებისა და სარგსიანის გაბედული ნაბიჯების მხარდაჭერას განაგრძობენ. სარგსიანმა აღიარა, რომ მან სომხეთის მიერ ხელმოწერილი ოქმები აშშ-ს, რუსეთის და რიგი ევროპული ლიდერების მოთხოვნით არ გამოიხმო.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ამტკიცებს, რომ ნორმალიზაციის პროცესი არ ჩაშლილა. საფრანგეთის საელჩოს მიერ ერევანში გაკეთებული განცხადება კი სომხეთსა და თურქეთს დიალოგის „შენარჩუნებისა“ და „ოქმების შესრულებაზე ზრუნვისკენ“ მოუწოდებს. **■**



„ჩირალდნების მარში“

სომხეთი აღიარების მოცოდინში

უკვე 45 წელია, რაც ყოველ 24 აპრილს ციციერნაკაბერდში ერთი და იგივე სურათი მეორდება.

მაია ნიკლაური, ერევანი

წვიმიანი, მოღუშული ამინდია. ციციერნაკაბერდისკენ მიმავალი გზები იკეტება. მთის ფერდობისკენ ფეხით მიუყვება ათასობით ადამიანი. უხმოდ მიდიან და ყველას ხელში ორი ყვავილი უჭირავს – თეთრი და წითელი.

ეს სურათი აქ 45 წელია, ყოველ 24 აპრილს მეორდება.

ერევნის გარეუბანში – ციციერნაკაბერდში „1915 წლის სომხეთის გენოციდის მსხვერპლთა მემორიალი“. 24 აპრილი კი დაღუპული 1,5 მილიონი ადამიანის ხსენების დღე.

სომხეთი საუკუნეზე მეტია, იბრძვის, რომ მსოფლიომ, პირველ რიგში კი თურქეთმა, მე-20 საუკუნის დასაწყისში მომხდარი სისხლიანი მოვლენები სომეხი ხალხის გენოციდად შეაფასოს.

წვიმა სულ უფრო ძლიერდება, გზაზე წყლის ნაკადები მდინარესავით მოედინება. მატულობს ციციერნაკაბერდის აღმართისკენ უხმოდ მიმავალთა რიცხვიც. ათასობით გამლლილი მუქი ფერის ქოლგა კიდევ უფრო დრამატულს ხდის ამ პროცესს. მათ შორის არიან სომხური დიას-



ერევანი, 23 აპრილი 2010
სამხედროები სომხური გენოციდის მსხვერპლთა მემორიალთან, 24 აპრილი 2010

პორის წარმომადგენლები. „გენოციდის დღეს“ ისინი ისტორიულ სამშობლოში ჩამოდნან, რომ ამ მემორიალთან ორი ყვავილი მიიტანონ.

მემორიალთან უზარმაზარი რიგია. სომხეთის ეროვნული ნაკრების ფორმაში გამონწყობილი მოჭიდავეთა ნაკრების წევრებს დროშები და თაიგულები უკავიათ. საკუთარ რიგს ელოდებიან ერთ მწკრივად დაწყობილი სკოლის მოსწავლეები. სამხედროების მთელი არმიაა.

ამ რიგში, როგორც წესი, 95 წლის წინდელ ამბებზე ლაპარაკობენ. პრეზიდენტ სარგსიანის მიერ ორი დღით ადრე, 22 აპრილს გაკეთებულ განცხადებასაც ამ კონტექსტში განიხილავენ. აქ ამბობენ, რომ სარგსიანის გადაწყვეტილება თურქეთთან მოლაპარაკების შეწყვეტის თაობაზე სწორი ნაბიჯი იყო. „პრეზიდენტმა ეროვნული სიამაყე გაგვიძაფრა“, – ამბობს რიგში მდგომი შუა ხნის ქალბატონი.

პრეზიდენტი სარგსიანი ციკერნაკაბერდზე კათალიკოს გარეგინ მეორესთან და უცხოელ დიპლომატებთან ერთად მივიდა. „ის ჩვენს შორისაა“, – ღიმილით თქვა მედლებით დახუნძლულ სამხედრო ფორმაში გამონწყობილმა მოხუცმა მერიჟან ტომასიანმა.

ციკერნაკაბერდი 44-მეტრიანი სვეტისა და წრიულად დაწყობილი 12 ქვის ფილისგან შედგება. სვეტი სომხეთის ხელმეორედ გაერთიანების სიმბოლოა. ქვის ფილები კი – 1915 წელს სომხეთ-თურქეთის დაპირისპირების შედეგად დაკარგულ ტერიტორიებს ნიშნავს. აქ მარადიული ცეცხლი ანთია და ზამთარ-ზაფხულ ყვავილები დევს.

თუმცა, 24 აპრილი ის დღეა, როცა ყვა-

„ჯანაჩუმ! (ალიარება,!)“, „მაჰ თურქერინ! (სიკვდილი თურქებს!)“, – ამ შეძახილებით ასობით ენერგიული ახალგაზრდა ერევნის ქუჩებში დადის.

ვილების ღობე სიმალეში 1 მეტრს აჭარბებს.

ვალის მოხდის შემდეგ მემორიალს ყველა ტოვებს.

ერთი ქალბატონი არ იძვრის ადგილიდან. იმის დასტურად, რომ „სომხების გენოციდი“ მხოლოდ სომხების ტრაგედია არ არის და ის თურქეთის ტკივილიცაა, შავოსან მოხუცს ხელში თურქი ჟურნალისტის, წარმოშობით სომეხი, ჰრანტ დინქის ფოტო უკავია წარწერით – „1 500 000 + 1“.

„დინქი გენოციდის უკანასკნელი მსხვერპლია. 3 წლის წინ სტამბოლში თურქებმა მოკლეს“, – გვიყვება 79 წლის ქალბატონი ჟურნალისტზე, რომელიც თურქულ-სომხური გაზეთის AGOS-ის რედაქტორი იყო და ორი ქვეყნის დაძაბულ ურთიერთობაზე წერდა, – „დიდი ხნის წინ ჩემი შვილი ყარაბაღის კონფლიქტს შეენირა, მაგრამ დინქის სიკვდილით შვილი მეორედ მომიკლეს!“

ქალბატონი ამბობს, რომ სომხებს თურქებისგან მხოლოდ ერთი რამ უნდათ: „ჯანაჩუმ!“ ეს სომხურად ალიარებას ნიშნავს. „სინანული და გენოციდის ალიარება“, – ამბობს იგი.

სომხებისთვის გლოვის დღე ციკერ-

ნაკაბერდზე არ სრულდება. 24 აპრილს ერევანში ვერსად გაიგონებთ მუსიკის ხმას. ქალაქის რესტორნებსა და ბარებში ადგილობრივი არხებია ჩართული, სადაც მთელი დღე 1915 წლის მოვლენების ამსახველ ქრონიკებს უშვებენ, ან ტრადიციული სომხური სამგლოვიარო მუსიკა ისმის.

ლამის კლუბები არ მუშაობენ. ცენტრალურ ARM-TV-ზე ციკერნაკაბერდის მთა და „გენოციდის მემორიალი“ პირდაპირ ეთერშია ჩართული. სხვა არხებზე გენოციდისადმი მიძღვნილი ფილმებიც გადის.

„1915 წელს თურქებმა ცნობილ სომეხ მხატვარს არმილ გორკს დედა თვალწინ მოუკლეს. 12 წლის გორკი თავის დასთან ერთად ბათუმიდან გემით ნიუ-იორკში, მამასთან გაემგზავრა“, – ტელეკომპანია „C1“ ცნობილი მხატვრის თავგადასავალს და თვითმკვლელობის ტრაგიკულ ისტორიას გადმოსცემს.

სომეხი ჟურნალისტები მიყვებიან, რომ 1915 წელს თითოეულმა სომეხმა ოჯახის ერთი წევრი მაინც დაკარგა. აქ 95 წლის შემდეგაც ახსოვთ მათი ისტორიები. ეს ისტორიები კარგად იცან ახალგაზრდებმაც, რომლებიც ამ თარიღთან დაკავშირებით ერევანში ყველაზე ხმაურიან და აგრესიულ აქციას მართავენ. აქცია „ჩირალდნების მარში“ „გენოციდის ოფიციალურ დღეს“ წინ უსწრებს და 23 აპრილს ღამით იმართება. მისი ორგანიზატორი ოპოზიციური პარტია „დამანაკუტოუნია“.

„ჯანაჩუმ, ჯანაჩუმ! (ალიარება, ალიარება!)“, „მაჰ თურქერინ! (სიკვდილი თურქებს!)“, – ამ შეძახილებით ასობით ენერგიული ახალგაზრდა ერევნის ქუჩებში დადის. ხელში ანთებული ჩირალდნები, ეროვნული დროშები და სანთლები უჭირავთ. ქუჩაში გამვლელები მათ დანახვაზე ჩერდებიან. მარშის კულმინაციაა დაღუპულთა მემორიალზე თურქული დროშის დანვა. სწორედ ამის გამო, ზოგიერთი სომეხი მასში მონაწილეობაზე უარს ამბობს.

„ძალიან მინდა, რომ თურქებმა გენოციდი აღიარონ, მაგრამ თუ ჩვენი მხრიდან ასეთ აგრესიას დაინახავენ, არა მგონია, ეს გააკეთონ“, – ამბობს ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ნარე სკადი და რამდენიმე მეგობართან ერთად „ჩირალდნების მარშს“ გვერდს უვლის.

„ჩირალდნების მარში“ მთელ ღამეს გრძელდება. აქა-იქ ფანჯრებთან ერევნელები ანთებული სანთლებით დგანან. ისინი მომიტინგეებს ეხმიანებიან – „ჯანაჩუმ!“ – იმეორებენ მათთან ერთად. **ლ**

ხუსუდი ბაბზისი

უკრაინული ოპოზიცია, ტიმოშენკოს მეთაურობით, ხელისუფლებას ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფაში ადანაშაულებს და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით კამპანიას იწყებს. მედვედევი-იანუკოვიჩის პაქტმა უკრაინა გაურკვეველი დროით კვლავ ააფორიაქა.

ანასტასია ობრაზცოვა, კიევი

ვიქტორ იუშჩენკომ ხელისუფლებაში ყოფნის ხუთი წლის განმავლობაში ზედმეტად გაანებივრა უკრაინელები – ისინი უბრალოდ გადაეჩვივნენ იმას, რომ ქვეყნისთვის საბედისწერო გადაწყვეტილებების მიღება ასე სწრაფად და თავხედურადაც შეიძლება. მისმა შემცველმა ვიქტორ იანუკოვიჩმა სულ რაღაც 50 დღეში ჩამოაყალიბა საპარლამენტო კოალიცია და მინისტრთა კაბინეტი, დანიშნა ყველა მხარის გუბერნატორი, თავისი წინასაარჩევნო დაპირებები განკარგულებით გაამყარა და მამნივე გაურკვეველი დროით გადადო მათი შესრულება (ანუ, თითქმის ერთი წლით არის გადადებული კორუფციასთან ბრძოლა). სასამართლოს გადაწყვეტილებით, უკრაინის გამირის ნოდება ჩამოერთვა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლებს – რომან შუხევიჩსა და სტეპან ბანდერას. გენერალურმა პროკურატურამ კი საქმეები აღძრა ოპოზიციის ლიდერის – იულია ტიმოშენკოს მინისტრების წინააღმდეგ.



ვიქტორ იანუკოვიჩი და ვლადიმირ პუტინი

ეს იანუკოვიჩის და მისი გუნდის „ნაღვანის“ სრული ჩამონათვალი არ გახლავთ, მაგრამ, ხარკოვში ხელმოწერილი „იანუკოვიჩი-მედევედვის პაქტის“ ფონზე, ყველაფერი დანარჩენი ფერმკრთალდება. ორი პრეზიდენტის ხარკოვში შეხვედრისას ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტი ყირიმში არა 2017 წლამდე, არამედ – 2042 წლამდე დარჩება. სანაცვლოდ კი, უკრაინამ რუსულ გაზზე ფასდაკლება მიიღო.

უკრაინის პრეზიდენტის ამ უპრეცედენტო წინდახედულებამ (ამ ხელშეკრულების გახანგრძლივების აუცილებლობა მხოლოდ 2016 წელს თუ დადგებოდა) ქვეყნის შიგნით სერიოზული კონფლიქტი გამოიწვია.

ხელისუფლების არგუმენტები

ხარკოვის შეთანხმებათა აუცილებლობის მთავარ არგუმენტად უკრაინის ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკის კატასტროფულ მდგომარეობას ასახელებს. მათი თქმით, ქვეყანა ამ უკიდურეს ზღვრამდე „ნარინჯისფერმა ხელისუფლებამ“ მიიყვანა. კატასტროფაში ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ დასახელდა ასევე იულია ტიმოშენკო, რომელმაც შარშან რუსეთთან გაზზე შეთანხმებას მოაწერა ხელი უკრაინისთვის „კაბალური“, „ქვეყნის ეკონომიკისთვის მომაკვდინებელი“ პირობებით.

პრეზიდენტი და პრემიერი ხალხს არწმუნებენ, რომ ეს ახალი პირობები უკრაინას მიმდინარე წელს დაახლოებით 3 მილიარდი დოლარის დაზოგვაში დაეხმარება, გაისად კი – 4 მილიარდის. ათ წელიწადში დაზოგილი თანხა კი თითქმის

40 მილიარდს შეადგენს. ეს საშუალებას იძლევა, რომ მოსახლეობას წლევანდელი გაზისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების გადასახადები წლის ბოლომდე არ გაუძვირონ. ხელისუფლება მოლაპარაკებათა დადებით მხარედ მიიჩნევს იმასაც, რომ დროთა განმავლობაში რუსეთი შავი ზღვის ფლოტის არენდის გადახდას ნაღდი ფულით დაიწყებს – 2017 თუ 2021 წლიდან. ჯერჯერობით კი – სევასტოპოლის მაცხოვრებლებს სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფს და ამით მათ „შიმშილით ამოწყვეტისგან“ დაიხსნის. რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი მიხაილ ნენაშვი ანამორჩევლებს იმასაც კი დაჰპირდა, რომ მათი ფლოტი უკრაინულ მეზღვაურებს სომა-ლელი მეკობრეებისგან დაიცავს. ალბათ ამომრჩეველი ასეთ დაპირებას ტაშით უნდა შეხვდეს.

შიდა აუდიტორიაზე კი ინჟუკოვიჩის ის განცხადება გათვლილი, როდესაც მან თქვა, რომ უკრაინას ძველებურად ევროპაში სურს დამკვიდრება, ხოლო საკუთარ ტერიტორიაზე რუსული ფლოტის ყოფნას მხოლოდ და მხოლოდ კოლექტიური უსაფრთხოების ევროპული სისტემის ფორმირების კონტექსტში განიხილავს. გარდა ამისა, პრეზიდენტის თქმით, „შავი ზღვის ფლოტი უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტი გახდება შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის“.

უკრაინის ხელისუფლების წარმომად-

ქვეყნის სუვერენიტეტს. (გამოკითხვა ჩატარებულია კომპანია Research&Branding Group-ის მიერ 23-25 აპრილს უკრაინის ყველა რეგიონსა და ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში).

ოპოზიციის არგუმენტები

ინჟუკოვიჩმა და მედვედევმა შეუძლებელი გააკეთეს – გააერთიანეს უკრაინის ოპოზიცია. უმაღლეს რადაში ტიმოშენკოს ბლოკი და „ნაშა უკრაინა“ ერთობლივად ცდილობდნენ, პარლამენტის სპიკერ ვლადიმირ ლიტვინისა და კოალიციისთვის

დებლობის გარანტი. არსებობს გარდამავალი მდგომარეობები, სადაც ნათქვამია, რომ შესაძლებელია შავი ზღვის ფლოტის განლაგების შესახებ ხელშეკრულების დადება და რატიფიცირება. მაგრამ თუკი ის ხელშეკრულება უკვე 1997 წელსაა ხელმოწერილი, რა საჭირო იყო ახალი შეთანხმება?“

დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა კონსტიტუცია – ამაზე საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია პასუხის გაცემა. ოღონდაც, ამაში გასარკვევად მისთვის მიმართვის უფლება აქვთ – პრეზიდენტს,



ვლადიმირ ლიტვინი უკრაინის რადაში, 27 აპრილი 2010

როგორც ამბობენ, რუსეთის პრემიერის ვლადიმირ პუტინის უკრაინაში ვიზიტისას მხარეები შეთანხმდნენ კიდევ დაახლოებით ათეული ისეთი ორმხრივი შეთანხმება გააფორმონ, რომელთა ფონზეც, ფლოტიც კი არაფრად გამოჩნდება. საქმე ეხება ატომური ენერგეტიკის სფეროში ორმხრივი ურთიერთობის გაფართოებას, გაზის ერთობლივ ტრანსპორტირებას და უკრაინის საავიაციო საწარმოების რუსეთის ავიაკორპორაციასთან შერწყმას.

გენლებს ასევე მიაჩნიათ, რომ, ვიდრე რუსული ფლოტი ყირიმში იმყოფება, რუსეთი ნახევარკუნძულის კუთვნილების საკითხს არ წამოწევს. „ნარინჯისფერების“ ხელისუფლებაში ყოფნისას უკრაინელებს დროდადრო აზინებდნენ, რომ „არაკეთილმეზობლური“ პოლიტიკით უკმაყოფილო ჩრდილოელმა მეზობელმა, შესაძლოა, ყირიმში სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ვარიანტი გაითამაშოს. ბევრს ამის სჯერა და ემინია. სხვათა შორის, თუკი უკრაინის უმაღლესი რადას მიერ ხარკოვის შეთანხმების რატიფიცირების შემდეგ ჩატარებულ სხვადასხვა სოციოლოგიურ გამოკითხვას ვენდობით, უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის შავი ზღვის ფლოტის დარჩენის გახანგრძლივებას უკრაინელთა თითქმის 60% ემხრობა. მხოლოდ 30%-ია დარწმუნებული, რომ ეს გადაწყვეტილება საფრთხეს უქმნის

ხელი შეეშალათ ხარკოვის შეთანხმების რატიფიცირებაში. „ნარინჯისფერებმა“ ხალხი ქუჩაში გაიყვანეს – მოწოდებით, რომ ხელისუფლებისთვის უფლება არ მიეცათ, „თავიანთი სპონსორებისთვის უკრაინა ნანილ-ნანილ მიეყიდათ“.

ოპოზიციის მთავარი ლოზუნგია – ხარკოვის შეთანხმება უკრაინის სუვერენიტეტს ზღუდავს. მისი ხელმოწერით პრეზიდენტმა უხეშად დაარღვია კონსტიტუცია და საკუთარ უფლებამოსილებას გადაამეტა, – მიაჩნია უკრაინის პირველ პრეზიდენტს, ლეონიდ კრავჩუკს: „არადა, კონსტიტუციის მე-17 მუხლში პირდაპირ წერია – ჩვენს ქვეყანაში აკრძალულია უცხოური სამხედრო ბაზების განლაგება. არსებობს 102-ე მუხლიც, რომელშიც ნათქვამია, რომ პრეზიდენტი არის უკრაინის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკი-

პრემიერ-მინისტრს ან საპარლამენტო უმრავლესობას, და სხვას არავის, მათ შორის – არც ოპოზიციას. ასე რომ, მთავარი კანონის განმარტების მოთხოვნით, ექს-პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოსა და 50 სახალხო დეპუტატის სახელით წარდგენილი განცხადება სასამართლომ უკვე უარყო.

რაც შეეხება ეკონომიკას. 2017 წლიდან 2042 წლამდე რუსეთს, მისი ფლოტის ბაზირების სანაცვლოდ, უკრაინისთვის წელიწადში 1,2 მილიარდი დოლარი უნდა გადაეხადა. მაგრამ, როგორც პრეზიდენტმა ინჟუკოვიჩმა განმარტა, ნაღდი ფულით მხოლოდ 100 მილიონს გადაიხდის. დანარჩენი კი უკვე გაზის გადასახადის მნიშვნელოვნად გაიფუტება. სწორედ ამან უნდა შეადგინოს, ხელისუფლების გამოთვლით, ის ხსენებული 40 მილიარდი „ნაღდი“ დოლარი. ასე რომ,

უკრაინა როგორც აქამდე ვერ იღებდა შავი ზღვის ფლოტის ბაზირებისთვის გადასახადს, ისე ვერ მიიღებს მომავალშიც.

იაფი გაზი ასევე მითია. გაზის ფასის განსაზღვრის ფორმულა – 450 დოლარი 1000 კუბმეტრში – არ შეცვლილა. საეჭვოა, დღეს ვინმემ ითავოს იმის პროგნოზირება, თუ რა ელირება გაზი მსოფლიო ბაზარზე თუნდაც ერთ-ორ წელიწადში, არათუ – ათწლეულების შემდეგ. და თუკი გაზის კონტრაქტების გადახედვა შესაძლებელია, ფლოტთან დაკავშირებული კონტრაქტების დენონსირება პრაქტიკულად არარეალურია.

ყირიმში რუსული ფლოტის დარჩენა შეუძლებელს ხდის უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივასაც. ეს ნატოში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა დიმიტრი როგოზინმაც კი აღიარა. მან აღნიშნა, რომ ალიანსის წევრობის გეგმა მხოლოდ იმ ქვეყანას შეუძლია მიიღოს, რომლის ტერიტორიაზეც არ არის განლაგებული უცხო ქვეყნის ბაზა ან ჯარი.

და ბოლოს, ოპოზიციის უკანასკნელი არგუმენტი: „გაზი ფლოტის სანაცვლოდ“ – უკრაინისა და რუსეთის ხელისუფლებებს შორის შემდგარი ბოლო გარიგება სულაც არ გახლავთ. როგორც ამბობენ, რუსეთის პრემიერის ვლადიმირ პუტინის უკრაინაში ვიზიტისას მხარეები შეთანხმდნენ კიდევ დაახლოებით ათეული ისეთი ორმხრივი შეთანხმება გააფორმონ, რომელთა ფონზეც, ფლოტიც კი არაფრად გამოჩნდება. საქმე ეხება ატომური ენერგეტიკის სფეროში ორმხრივი ურთიერთობის გაფართოებას (ხმელნიცკის ატომური სადგურის ორი ახალი ბლოკის მშენებლობაში რუსეთის მონაწილეობას, უკრაინისთვის ელექტროენერჯის მიწოდებას, ევროპაში ელექტროენერჯის ექსპორტს), გაზის ერთობლივ ტრანსპორტირებას (გაზსატრანსპორტო კონსორციუმის შექმნა) და უკრაინის საავიაციო სანარმოების სრულიად რუსეთის ავიაკორპორაციასთან შერწყმას. „ინაუკოვიჩი ფაქტობრივად მთელ უკრაინულ ეკონომიკას და ენერგეტიკას კრემლს გადასცემს“, – ნათქვამია ტიმოშენკოს ბლოკის განცხადებაში.

რა იქნება შემდეგ?

ამგვარად, გაერთიანებული ოპოზიციის მიერ პარლამენტში ნასროლ კვერცხებსა და შაშხანებს ხარკოვის შეთანხმების რატიფიცირებაში კოალიციისთვის ხელი არ

შეუშლიათ. არც საკონსტიტუციო სასამართლოს იმედი არსებობს. სამაგიეროდ, 26 აპრილს უმაღლესი რადას კედლებთან დამონტაჟებულ სცენაზე ერთმანეთის მხარდამხარ იდგნენ იულია ტიმოშენკო, იური ლუცენკო, ანატოლი გრიცენკო და ოლეგ ტიაგინბოკი (ოპოზიციური პარტიების ლიდერები).

მხოლოდ ვიქტორ იუშჩენკო არ იდგა მათ გვერდით, მეტიც – მან საჯაროდ განაცხადა უარი ტიმოშენკოსთან გაერთიანებაზე. და მაინც, მომხდარის შეფასებაში ის ტიმოშენკოსადმი სოლიდარულია. მთელი ოპოზიცია ერთად აპირებს, მიაღწიონ უმაღლესი რადას რიგგარეშე არჩევნებს და ახალი პარლამენტის მიერ ხარკოვის შეთანხმების დენონსაციას.

დასავლეთი უკრაინის რიგი საოლქო საბჭოები, მათ შორის – ლვოვისა და ტერნოპოლის, ხალხს უფრო რადიკალური ქმედებებისკენ მოუწოდებენ – დაიწყოს ინაუკოვიჩის იმპიჩმენტის პროცედურა კონსტიტუციის დარღვევისთვის. მათ მხარს უჭერენ ოპოზიციური პარტიების ყირიმის განყოფილებებიც.

უმაღლეს რადაში უკვე დარეგისტრირებულია ორი დადგენილების პროექტი – შავი ზღვის ფლოტთან დაკავშირებით უკრაინასა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების მიუღებლობის შესახებ, და ასევე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე. ამ კომისიამ უნდა დადგინოს, იყო თუ არა რაიმე დანაშაულებრივი ქმედებები პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის წევრთა მხრიდან ხარკოვის შეთანხმების დადებისას. ამავედროულად, წინასწარი ინფორმაციით, ოპოზიციონერებმა უარყვეს წინადადება პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით, მოქმედი კონსტიტუციის ფარგლებში მისი განხორციელების არარეალურობის გამო.

პარალელურად, იულია ტიმოშენკო უკრაინის რეგიონების გარშემო ტურნეში გაემგზავრა. ის ცდილობს, საზოგადოება „ხელისუფლებასთან საბრძოლველად“ განაწყოს. ყველას, ვინც გულგრილად არ აღიქვამს ხარკოვის შეთანხმება, 11 მაისს ქუჩებში გასასვლელად მოუხმობენ.

ხელისუფლებას მოსახლეობის ზედმეტი პოლიტიკური აქტიურობა სულ არ სჭირდება. ერთი მხრივ, ფლოტსა და გაზზე დისკუსიებით გართული ადამიანები ეკონომიკურ კრიზისზე ნაკლებს ფიქრობენ, მეორე მხრივ – რეგიონების

პარტიას რეიტინგის დაკარგვა ემოქრება, არადა რეიტინგი საჭიროა, რადგან უკვე ორ წელიწადში უკრაინაში უნდა ჩატარდეს მორიგი საპარლამენტო არჩევნები, რომლის მოგებასაც, ბუნებრივია, გეგმავს რეგიონების პარტია.

ამიტომ გაჩნდა განცხადებები ოპოზიციის წინააღმდეგ. მაგალითად იმის თაობაზე, რომ იულია ტიმოშენკო სულაც არ გახლდათ შავი ზღვის ფლოტისთვის არენდის გაგრძელების წინააღმდეგი, რაც ვლადიმირ პუტინმა დაადასტურა, თუმცა თავად ტიმოშენკომ უარყო. ამის შემდეგ პრემიერმა ნიკოლაი აზაროვმა ტიმოშენკოს მთავრობა ასი მილიარდი გრივნის მიტაცებაში დაადანაშაულა.

უკრაინაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ პროკურატურამ უკვე 30 სისხლის სამართლის საქმე აღძრა ტიმოშენკოს კაბინეტის წევრებზე. ტიმოშენკოს მომხრეები, თავის მხრივ, ლაპარაკობენ პოლიტიკურ დევნაზე.

უკრაინაში ბევრს არ სჯერა, რომ ინაუკოვიჩი გენერალური პროკურატურის დახმარებით ტიმოშენკოს გისოსებს მიღმა „ჩასმას“ აპირებს. პოლიტოლოგ ვადიმ კარასავეის აზრით, ევროპასა და აშშ-ში ეს, პოლიტიკური რეპრესიების დასაწყისად აღიქმება. უკრაინაში კი, ტიმოშენკოს დევნით მხოლოდ მისი დაცემული რეიტინგი იხიერებს. ზუსტად ასე იყო ცხრა წლის წინათ, როდესაც იულია ტიმოშენკო მილიარდი დოლარის მიტაცების ბრალდებით ციხეში მოხვდა. „თუკი მანამდე ტიმოშენკოს საეჭვო, კორუპტირებულ პოლიტიკოსად მიიჩნევდნენ, ციხე მისთვის „გამათეთრებელი“ პროცედურა აღმოჩნდა, და „გაზის პრინცესა“ „მიადანის პრინცესად“ აქცია“, – აღნიშნავს კარასავეი.

არც იმის დავინწყება ღირს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ტიმოშენკო ინაუკოვიჩთან ხმათა სულ რაღაც 3%-ით დამარცხდა. ესე იგი, მას ხალხის „ბარიკადებზე“ დაყენება შეუძლია.

ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ პოლიტიკური კომენტატორები დარწმუნებულები იყვნენ, რომ „მეორე მაიდან“ უკრაინაში არ მოხდებოდა. დღეს კი იგივე ანალიტიკოსები უკვე საზოგადოებაში გაჩენილ ბზარზე და რევოლუციურ განწყობებზე ლაპარაკობენ. განმეორდება თუ არა ისტორია, ამის თქმას დღეს ვერავინ ბედავს. ერთი კი ცხადია – უკრაინელებს ისლა დარჩენიათ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე მხოლოდ იოცნებონ. **■**

არჩევნები დიდ ბრიტანეთში

სამნი ერთ ნაპში

პრემიერ-მინისტრობის სამივე კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიაში მთავარი საკითხია ემიგრაციის კონტროლი.

ნათია აბრამია, სპეციალურად „ლიბერალისთვის“, ლონდონიდან



გორდონ ბრაუნი

■ ბრაუნი ამაყოფს ლეიბორისტული მთავრობის მიერ შემოტანილი ქულების სისტემით, რომლის მიხედვითაც, ვიზას მხოლოდ ის უცხოელები იღებენ, ვისაც უმაღლესი განათლება და მაღალანაზღაურებადი სამსახური აქვს. ლეიბორისტები ელექტორატს სისტემის კიდევ უფრო გამკაცრებას ჰპირდებიან.



დევიდ კემერონი



ნიკ ქლეგი

ვინ გახდება ბრიტანეთის შემდეგი პრემიერ-მინისტრი, განსაკუთრებით ალღელებთ ქვეყანაში მყოფ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს. სამეფოში მცხოვრები უცხოელების სტატუსის მომავალს გორდონ ბრაუნი, დევიდ კემერონი ან ნიკ ქლეგი გადაწყვეტენ.

ემიგრაციის კონტროლი ამ არჩევნებში მთავარ საკითხად იქცა – ამომრჩევლები თითოეულ კანდიდატს იმის მიხედვით აფასებენ, რას სთავაზობს

ის ქვეყანას ამ პრობლემის დასაძღვად.

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციასთან დაკავშირებით ლიდერებს განსხვავებული ხედვა აქვთ, სამივე კანდიდატი თანხმდება, რომ ქვეყანამ ბრიტანელები უცხოელებისგან უნდა დაიცვას, მათ შორის – ევროკავშირის მოქალაქეებისგანაც. ასეთი ადამიანების რაოდენობა კი ევროკავშირის გაფართოებასთან ერთად უფრო და უფრო იზრდება.

ბრიტანელი პოლიტიკოსების მიმართ ნდობა დიდი ხნის წინ შეირყა, მაგრამ რამდენიმე თვის წინ მომხდარმა ე.წ. „ხარჯების სკანდალმა“ ბრიტანელებს მთავრობისა და პარლამენტის წევრებზე შეხედულება რადიკალურად შეუცვალა.

ჟურნალისტურმა გამოძიებამ დაადგინა, რომ ლეიბორისტული და კონსერვატორული პარტიის ბევრი წევრი მათთვის გამოყოფილ თანხას, რომე-

ლიც, წესით, სამუშაო მივლინებებსა და ხარჯებს უნდა ფარავდეს, პირადი მიზნებისთვის იყენებს.

ექსპერტების ნაწილი სწორედ ამას უკავშირებს აქამდე ორი დიდი პარტიით დომინირებულ პოლიტიკაში ლიბერალ-დემოკრატების შემოჭრას. ნიკ ქლეგი ამომრჩეველს ხშირად ახსენებს, რომ მისი პარტიის არც ერთ წევრს არ „დაუქირავებია“ საკუთარი სახლი, არ გაურემონტებია შვილის ბინა, საპარლამენტო ოფისის ნაცვლად, ინტერნეტით არ შეუძენია პორნო ფილმები და შემდეგ საკუთარი ხარჯები მოტყუებით სახელმწიფო ხაზინიდან არ დაუფარავს, როგორც ეს, მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრმა გააკეთა.

ეგზიტპოლების დახმარებით ბრიტანელებს საშუალება აქვთ ონლაინ რეჟიმში ადვენონ თვალი პარტიების რეიტინგებს. ბოლო მონაცემებით, კონსერვატორები ლიდერობენ 34 პროცენტით, ლეიბორისტებს მხარს 28 პროცენტი უჭერს, ლიბერალ-დემოკრატებს – 27, ხოლო სხვა დანარჩენ პარტიებს – 11.

ბრიტანეთის ისტორიაში პირველი სატელევიზიო დებატების სამივე ტური დასრულდა. ახლა ბრიტანეთის პოლიტიკური რეალითი შოუ უკვე გადამწყვეტ ფაზაში შედის. აქამდე პრაიმათიმში რიგითი ინგლისელი იმ გადაცემებს უყურებდა, რომელთა მონაწილეებს შორის შეჯიბრის შედეგად ვლინდებოდა საუკეთესო მხარეული, ნიჭიერი მომღერალი, ყველაზე კრეატიული მებაღე ან დიასახლისი. ახლა ყველაფერი გადაფარა სხვა შოუმ, რომლის ფინალისტსაც დაუნიგ სტრიტის 10 ნომრის გასაღები გადაეცემა.

გორდონ ბრაუნი –

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი

ლეიბორისტები, მე-13 წელია, ბრიტანეთს მართავენ. ისინი ცდილობენ, ამომრჩეველი დაარწმუნონ, რომ ერასის ომისა და ტონი ბლერის არა-პოპულარული გადაწყვეტილების გამო, მთავრობა არ უნდა შეიცვალოს, რადგან, გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში, მოქმედი პრემიერ-მინისტრის გამოცვლა არ ღირს. ბრაუნი გამოცდილი ეკონომისტი, მაგრამ არა-ქარიზმული პოლიტიკოსია. მართალია,

წინასაარჩევნოდ გარდაცვლილი შვილი გაიხსენა და საღამოს ეთერში ატირდა, მაგრამ მას მაინც უხეში და ხისტი ადამიანის იმიჯი აქვს.

ბრაუნი ამაყობს ლეიბორისტული მთავრობის მიერ შემოტანილი ქულების სისტემით, რომლის მიხედვითაც, ვიზას მხოლოდ ის უცხოელები იღებენ, ვისაც უმაღლესი განათლება და მალა-ლანაზლაურებადი სამსახური აქვს. ის ამბობს, რომ ამ ფილტრის მეშვეობით გაერთიანებულ სამეფოში მხოლოდ კვალიფიცირებული პროფესიონალები და ინვესტორები ჩამოდიან. ლეიბორისტები ელექტორატს სისტემის კიდევ უფრო გამკაცრებას ჰპირდებიან, რომ ბრიტანეთში ფეხის მოკიდება მარტო იმ უცხოელებმა შეძლონ, რომლებიც ქვეყნის ბიუჯეტს მაღალი გადასახადებით აავსებენ.

დევიდ კემერონი –

კონსერვატორული პარტიის ლიდერი

კონსერვატორები, 13 წელია, უშედეგოდ ცდილობენ, მმართველი პოზიციების დაბრუნებას. მანამდე იყო მარგარეტ თეტჩერის მემარჯვენე პოლიტიკის შედეგად გამოწვეული უმუშევრობა, ფოლკლენდის ომი, ირლანდიაში სიტუაციის გამწვავება, ფუნტის ვარდნა და ჯონ მეიჯორთან დაკავშირებული სკანდალები. ქვეყნის მთავარი კონსერვატორი ცდილობს, ეს ყველაფერი საკუთარი ახალგაზრდული, ენერგიული და თანამედროვე იმიჯით გადაფაროს. ოქსფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მდიდარ ოჯახში გაზრდილი დევიდ კემერონი პარლამენტში ველოსიპედით დადის. მაგრამ გარემოს დამცველების მოხიბვლა კემერონმა ვერ შეძლო. როგორც BBC-მ აღმოაჩინა, როცა კემერონი ველოსიპედით მიდის, უკან მანქანა მიჰყვება – დაცვის წევრებს მისი პიჯაკი მოაქვთ. კონსერვატორების ლიდერს არც ის მოუწონეს, რომ მისმა მეუღლემ ორსულობა წინასაარჩევნო კამპანიას დაამთხვია. მოკლედ, მრავალი მცდელობის მიუხედავად, ის მაინც ქვეყნის მდიდარ და კონსერვატორულ ფენას წარმოადგენს. მისი ამომრჩეველი კონსერვატორული პარტიის ერთგულია – მათი რაოდენობა არც იზრდება და არც მცირდება.

დევიდ კემერონის პარტია თვლის, რომ ემიგრაცია უზრალოდ უნდა შეიზღუდოს და ყოველწლიურად მხოლოდ ლიმიტირებული რაოდენობის ვიზები უნდა გაიცეს. ანუ ეს ინიციატივა მათ შეეხებათ, ვინც ინგლისში საცხოვრებლად გადმოსვლას მომავალში გეგმავს. ხოლო ის ემიგრანტები, ვინც უკვე ქვეყანაში მუშაობენ, მოქალაქეობას ადვილად ვეღარ მიიღებენ და, სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში, ქვეყნის დატოვება მოუწევთ.


ნიკ ქლეგი –
ლიბერალ-დემოკრატული პარტიის ლიდერი

ქლეგი ბრიტანელი ობამა არ არის, ის შეძლებულ ოჯახში გაიზარდა, კერძო სასწავლებელი და შემდეგ კემბრიჯის უნივერსიტეტი დაამთავრა. პრივილეგირებული განათლებითა და წარმატებული კარიერით ის დანარჩენ კანდიდატებს ჰგავს. სტუდენტობისას მოთხილამურეთა მწვრთნელი იყო და ჩოგბურთის გუნდის კაპიტანი. შემდეგ მუშაობდა ევროპულ და საერთაშორისო სტრუქტურებში. საგარეუდოდ, 90-იან წლებში თბილისშიცაა ნამყოფი, როგორც TACIS-ის და TRACECA-ს კონსულტანტი. ამასთან ერთად ნიკ ქლეგი სრულიად ახალი ტიპაჟია ბრიტანულ პოლიტიკაში. ჰყავს ჰოლანდიელი დედა, ნახევრად ინგლისელი მამა, რუსი არისტოკრატების შთამომავალი ბებია, ესპანელი ცოლი – ქლეგი, ინგლისურის გარდა, 4 სხვა ენაზეც თავისუფლად საუბრობს. მისთვის ლიბერალური ღირებულებები პოლიტიკური მანიფესტით არ შემოიფარგლება.

ნიკ ქლეგი და ლიბერალ-დემოკრატები სავიზო სისტემის რევიონულ მოდიფიცირებას ემხრობიან. მათი აზრით, ემიგრანტების დახარისხება რაიონების მიხედვით უნდა მოხდეს. ანუ უცხოელმა ლონდონში არ უნდა იმუშაოს, რადგან დედაქალაქი ადგილობრივი უმუშევრებით საესეა და, ამ შემთხვევაში, ის ბრიტანელი მოქალაქეების კონკურენტი ხდება. ლიბერალ-დემოკრატების აზრით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა ან კუძული უნდა დატოვონ, ან საცხოვრებლად ქვეყნის იმ ნაწილში გადავიდნენ, სადაც ბაზარზე ამა თუ იმ პროფესიის ადამიანების ნაკლებობაა. □

ახალი წიგნი

თანამედროვე
ქართული პროზა



”ლიტერატურული ექსპრესი”
ექსპერიმენტული მატარებელია,
რომელიც ევროპის სხვადასხვა
ქალაქს სტუმრობს, მგზავრები კი
ევროპელი, მათ შორის, ქართველი
მწერლებიც არიან. მოგზაურობის
ორგანიზატორების აზრით,
ლიტერატურული ექსპრესის
თითოეულ მგზავრს ქალაქიდან
ქალაქში უთავბოლო ხეტიალი
შთაგონებას მოუტანს. ასეცაა:
ზოგისთვის ეს მატარებელი ახალი
წიგნის დასაწერი იმპულსი ან უკვე
დაწერილის პოპულარიზაციის
საშუალება ხდება, ზოგისთვის კი -
საკუთარი ცხოვრების გადაფასება
ან უბრალოდ, მშვენიერი ქალის
დევნა ...



**ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა**

მის: აღმაშენებლის 150
ტელ: 910 954, 911 165

www.sulakauri.ge

ფასი 12.00

ჩონჩხი 5 პრეზიდენტის ნასვნი

კულტურული მემკვიდრეობის ყოფილი ძეგლი – „იმელი“ ჯერ კიდევ მაშინ გაინირა, როცა პრეზიდენტის ბრძანებითა და კანონის ორმაგი დარღვევით, ის პირველად გაიყიდა.

ნათია ახალაშვილი

B | S | T The Black Sea Trust
for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

სტატია დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების German Marshal Fund-ის პროექტის The Black Sea Trust-ის მიერ. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოსატყვევებს German Marshal Fund-ის, The Black Sea Trust-ის და მისი პარტნიორების შეხედულებებს.

ამ შენობას „ძველი დიდების“ ნიშნად სამი რამ შემორჩა – ორი დიდი ხის კარი ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრიდან, და ერთი დიდი ქალი – შენობის შუაში.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა სართულზე სამშენებლო ნაგავია მოფენილი, აქა-იქ კიდევ შეხვდები ნივთებს იმ ეპოქებიდან, რომლებიც ყოფილმა „იმელის“ შენობამ გამოიარა. ერთ სართულზე მთასავით დახვავებული ძველი ნიგნები ყრია, მეორეზე – კარტოთეკის ბარათები, სხვაგან – სახედაზიანებული ბიუსტი, რომელიც ედუარდ შევარდნაძეს წააგავს. იქვეა ძველი, უციფერბლატო ტელეფონი და ხის ჩუქურთმებიანი სავარძელი; ვიდუკასეტები, ამობრუნებული ქოთნიდან ამოსული ყვავილი, შენობის მოსაპირკეთებლად გამოყენებული საფლავის ქვები და ახლა უკვე გაშიშვლებულ სვეტებზე – ამ ქვების წარწერების ანაბეჭდები.

სახურავახილი „იმელი“ დანგრევის პირასაა. გარე და აქა-იქ შემორჩენილი შიდა კედლები დაზარალებულია, იატაკი აყრილია, ბევრ ადგილას აღარ არის სართულშუა გადახურვა, მოხსნილია ფანჯრები და მოსაპირკეთებელი ქვები. მარცხენა, ოთხსართულიანი ფლიგელი კი საერთოდ აღარ არსებობს.

პერიოდულად „იმელთან“ საპროტესტო აქციები იმართება, სადაც ურბანისტებით, არქიტექტორებით და უბრალოდ აქტივისტებით დაკომპლექ-

ტებული ვგუფი „იმელის“ ძეგლის სტატუსის აღდგენასა და შენობისთვის პირვანდელი სახის დაბრუნებას ითხოვს.

თუმცა, ეს, სავარაუდოდ, უკვე შეუძლებელია. რუსთაველის გამზირის №29-ში მდებარე შენობის ახლანდელი მფლობელი კომპანია „დაბი-ვგუფი საქართველოს“ დირექტორი გიორგი სეთურიძე აცხადებს, რომ შენობის დანგრევა გარდაუვალია. მას ზურგს საინჟინრო-საპროექტო კომპანიის ტექნიკური დასკვნაც უმაგრებს, რომლის მიხედვითაც, „იმელის“ ძველი კარკასი საერთოდ ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და ის უნდა დაიშალოს. თუმცა, „იმელის“ დანგრევის ოფიციალური ნებართვის გაცემაზე უარს ამბობს მერია. გიორგი სეთურიძე ვარაუდობს, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტი უარის თქმით, უბრალოდ, „თავს იზღვევს“. რუსთაველის გამზირზე გადმოკიდებული უზარმაზარი ბანერი კი კვლავაც საზეიმოდ იუნყება, რომ 2012 წელს აქ Kempinski-ს სასტუმროს ვიზილავთ.

ამ გაურკვეველ სიტუაციაში, როცა უკვე ზედმეტად დაზიანებული „იმელი“ თითქმის ყოველგვარი ჩარევის გარეშე, თავისით ინგრევა, შენობის გადარჩენის ერთადერთი შანსილა არსებობს – კეთილი ნება გამოიჩინოს მფლობელმა კომპანიამ და ინვესტიცია ძეგლის აღდგენაში ჩადოს. თუმცა, მსგავსი კეთილი ნება „იმელის“ მიმართ დღემდე არ გამოუჩენიათ არც მის ახლანდელ და არც

მის ძველ მფლობელებს.

„იმელი“ მაშინ გაინირა, როცა 2006 წელს, ყოველგვარი ტენდერისა და საზოგადოებრივი დისკუსიის გარეშე, პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის წესით კომპანია Capital Vostok-ს გადაეცა.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ყოფილ შენობაში Capital Vostok-მა 2006 წელს Kempinski-ს აშენება გადაწყვიტა. Capital Vostok-ის საქმეებს საქართველოში მისი შვილობილი კომპანია, უძრავი ქონების საინვესტიციო ფირმა Award-ი ახორციელებდა. მაშინ Award-ში ამბობდნენ, რომ Capital Vostok ბრიტანულ-შვეიცარიული კომპანიაა, რომელიც შავი ზღვის რეგიონში სასტუმროების და პირველი კლასის საოფისე ფართების ქსელის განვითარებას აპირებს.

2006 წლის 9 დეკემბერს თბილისში Kempinski-ს სასტუმროს აშენების შესახებ კონტრაქტის ხელმოწერას თავად საქართველოს პრეზიდენტი – მიხეილ სააკაშვილიც ესწრებოდა. პრეზიდენტი მაშინ იმედოვნებდა, რომ საქართველოში სასტუმროების 5 ახალი დიდი ქსელის შემოსვლა ქვეყანაში „ბევრად მეტ ტურისტსა და მოგზაურს“ ჩამოიყვანდა. თუმცა, 4 წლის შემდეგ ამ სასტუმროებიდან მხოლოდ ერთია დასრულებული. დანარჩენების ნაცვლად კი, ჯერ კიდევ გამოშენებული, გაურკვეველი მომავლის მქონე შენობები დგას, ანდა – გათხრილი დიდი ორმოები.



„იმელის“ შენობის გაპარტახებული დერეფანი, თბილისი, აპრილი 2010

ფოტო მარიამ ქორიანიძე

თუმცა, დღეს რომ „იმელი“ ინგრევა, ეს ორმაგი კანონდარღვევაა, რადგან 2006 წელს, მაშინ, როცა „იმელი“ გაიყიდა, ის ჯერ კიდევ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი იყო. მაშინდელი კანონმდებლობით კი, ძეგლის სტატუსის მქონე შენობის გასხვისება იკრძალებოდა.

„იმელისთვის“ ძეგლის სტატუსის მოხსნა მხოლოდ ორი მოტივით იყო შესაძლებელი: თუ ძეგლი ისე განადგურდებოდა, რომ შეუძლებელი იქნებოდა მისი პირვანდელი სახით აღდგენა, ან თუ მოხდებოდა უხეში ჩარევა, რაც ძეგლს იმ მახასიათებლებს დაუკარგავდა, რომელთა გამოც მას სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. „იმელი“ კი, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ უცვლელი სახით იდგარუსთაველზე, არც ერთ ამ პირობას არ პასუხობდა.

ძეგლის სტატუსი ცნობილი არქიტექტორის, ალექსეი შჩუსევის მიერ აგებულ შენობას მხოლოდ უკანონოდ გაყიდვის შემდეგ მოუხსნეს – 2007 წლის ივნისში. ბრძანებას ხელს კულტურის მინისტრი გიორგი გაბაშვილი აწერდა.

ფორმალური იყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაც, რომელზეც, წესით, მინისტრს სტატუსის მოხსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე სპეციალისტების რეკომენდაციები უნდა მოესმინა. არქიტექტორებისა და ხელოვნებათმცოდნეების უმრავლესობა ძეგლის სტატუსის მოხსნას წინ აღუდგა. მდგომარეობა სხდომაზე იმდენად დაიძაბა, რომ კენჭისყრის პროცედურა საერთოდ ჩაიშალა. არქიტექტურის ისტორიკოსი მაია მანია, რომელიც სხდომას ესწრებოდა, ამბობს, რომ მისი და მისი კოლეგების პროტესტმა „იმელი“ ვერ გადაარჩინა. გადაწყვეტილება სტატუსის მოხსნის შესახებ კენჭისყრის გარეშე მიიღეს. გადამწყვეტი როლი თბილისის მერმა გიგი უგულავამ ითამაშა. საბჭოს მეორე წევრი, არქიტექტორი კოკა ამირეჯიბი უგულავას სიტყვებს იხსენებს: „იმელს“ ძეგლის სტატუსი უნდა მოეხსნას“.

„ყველა ექსპერტი სტატუსის შენარჩუნების მომხრე იყო და, „იმელი“ რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი აღარ არის, ეს, ალბათ, მთავრობის გადამწყვეტილება იყო“, – ამბობს დღეს კოკა ამირეჯიბი.

სასტუმროს მშენებლობის პროცესს კიდევ ერთი უკანონობა უკავშირდება – „იმელის“ მეზობლად, თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლის დანგრევა. მაშინვე გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს ადგილი სასტუმროსთვის გახდა საჭირო. დღეს ეს ეჭვი დადასტურებულია, მინის ნაკვეთი, რომელზეც სახლი იდგა, ჯერ Capital Vostok-მა შეიძინა, მათგან კი – „დაბი ჯგუფმა“.

„იმელის“ სტატუსის შენარჩუნების გამო დაწყებულმა საპროტესტო ტალღამ, უკვე თითქმის ერთი წელია, მიმართულება შეიცვალა. ამოცანა ერთდროულად გართულდა და გამართვიდა კიდევ, და დღის ნესრიგში „იმელის“ ფიზიკური გადარჩენის საკითხი დადგა.

2009 წლის სექტემბრის მინისტრის დროს დაზიანდა შენობის უკანა მარცხენა ფლიგელი. „დაბი-ჯგუფმა“ უსაფრთხოების მიზნით, მაგრამ მაინც უნებართვოდ, მთელი ფლიგელი ჩამოშალა.

გიორგი სეთურიძე აცხადებს, რომ როცა მათ შენობა Capital Vostok-ისგან იყიდეს, ის უკვე ძალიან რთულ მდგომარეობაში იყო. „მძიმე მემკვიდრეობა გვერგო. ჩვენ რომ მივედით, შიგნით ფაქტობრივად ყველაფერი დანგრეული იყო. ვიდრე Capital Vostok აქაურობას იყიდდა, ამ შენობაში საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა გადმოსულიყო და უკვე მიმდინარეობდა რემონტი. მერე Capital Vostok-მა რომ შეუშვა საქმის წინ ნასაგდებად მუშები, მათ მოლეკულებად დაშალეს შენობა. კიბის უჯრედებიც კი აღარ არის შიგნით. ახლა ჩვენ მხოლოდ ამ ნანგრევებისაგან ვნმენდთ მას“, – ამბობს გიორგი სეთურიძე.

თუმცა, მის ნათქვამს არ ეთანხმებიან არქიტექტორები და ხელოვნებათმცოდნეები. მათი თქმით, შენობის ნგრევის პროცესი ახლაც გრძელდება და მაგალითისთვის იხსენებენ ისტორიულ მრგვალ დარბაზს, რომელიც ჯერ კიდევ სამი თვის წინ უკეთეს მდგომარეობაში იყო, დღეს კი მისგან ფაქტობრივად აღარაფერია დარჩენილი.

კოკა ამირეჯიბი „იმელზე“ ამბობს, რომ ეს ძეგლი ღირებულია არა მარტო წინა ფასადით, არამედ მთლიანად. „ბოლო ბიძგი დარჩა და წინა ფასადი დაარჩება რუსთაველზე, დანარჩენი დაინგრევა. „დაბი ჯგუფი“ დაგვიპირდა,

რომ გადახურავდა შენობას, მაგრამ პირობა არ შეუსრულებიათ. მაშინ, როცა უზარმაზარი თანხები იხარჯება ქალაქში ბევრად უფრო ცუდად დასაბუთებულ პროექტებზე, ასეთ ფონზე ძეგლის დაკარგვა დიდი დანაშაულია“, – ამბობს ის.

გარდა იმისა, რომ „დაბი ჯგუფმა“ მერიისგან მთლიანი შენობის ან მისი ნაწილის დემონტაჟის უფლება ვერ მიიღო, ჯერჯერობით არც არქიტექტურული პროექტია შეთანხმებული. არ გაცემულა არც მშენებლობის ნებართვა.

მიუხედავად ამისა, Kempinski-ის ოფიციალურ ვებგვერდზე თბილისში სასტუმროს გახსნის თარიღად კვლავაც 2012 წელია მითითებული და იქვე, ისევე ის ფოტოა გამოკიდებული, რომელზეც სასტუმროს ჯერ კიდევ Capital Vostok-ისეული პროექტია გამოსახული. Kempinski-ის აღმოსავლეთ ევროპის კოორდინატორი, ჰელენა გორბუნოვა კი „ლიბერალთან“ მიმონერაში აღნიშნავს, რომ „დაბი ჯგუფი საქართველოსთან“ თანამშრომლობის შესახებ საბოლოო შეთანხმება ხელმოწერილი ჯერ არ არის.

არ არსებობს არც სასტუმროს პროექტი. გიორგი სეთურიძე აცხადებს, რომ მალე სასტუმროს პროექტზე მუშაობას კომპანია Atkins-თან ერთად დაიწყებენ, რომელიც დუბაის ცნობილი ცათამბავენის ბურჯ-ალ-არაბის პროექტის ავტორია. „დაბი ჯგუფს“ ამ სასტუმროს მშენებლობისთვის 160-მილიონიანი ინვესტიცია აქვს გათვალისწინებული. მართალია, სასტუმრო, წესით, უკვე დასრულებული უნდა იყოს, მაგრამ საქართველოში ინვესტორებისთვის ვალდებულებების შესრულების ვადებმა სამი წლით გადაინია. ასე რომ, „იმელის“ საკითხიც სრულიად „კანონიერად“, შესაძლოა, 3 წლის განმავლობაში ისევ გადაუჭრელი დარჩეს, თუკი უკვე ნახევრად დანგრეული შენობა ამ დრომდე საერთოდ გაძლებს.

გამოდის, რომ სამი გრანდიოზული პროექტისგან Intercontinental-ის, Hayatt-ისა და Kempinski-სგან თბილისში ჯერ მხოლოდ სახელი რჩება. თუ სად აშენდება სასტუმრო – „იმელში“ თუ „იმელის“ ნაკვალავზე, Kempinski-სთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში – ეს საკითხი, ვინრო აქტივისტთა წრის გარდა, არავის აღელვებს. ■

ყველაზე ბუნებრივი საქმე საქართველოს წინააღმდეგ

საქართველოში ბოლო წლების ალბათ ყველაზე გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოშია და ვერდიქტს ელოდება. სასარჩელო საქმე 25091/07 „გურამ გირგვლიანი და ირინა ენუქიძე საქართველოს წინააღმდეგ“ სტრასბურგში 27 აპრილს გაიჩნა. მოსარჩელე მხარე საქართველოს მთავრობას ევროკონვენციის მე-4 მუხლის დარღვევაში ადანაშაულებდა. მოპასუხე მხარე ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ ხელისუფლება არაფერ შუაშია, რადგან 2006 წლის 26 იანვარს დანაშაული პოლიციის თანამშრომლებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს არ ჩაუდენიათ.

კობა ლიკლიკაძე, სტრასბურგიდან, სპეციალურად „ლიბერალისთვის“



გურამ გირგვლიანი, დავით ჯანდიერი და შალვა შავგულიძე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოზე, 27 აპრილი 2010

სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ, ბელგიელმა მოსამართლე ფრანსუაზ ტულენმა მხარეების მოსმენის და ხანმოკლე კითხვა-პასუხის შემდეგ ღია სასამართლო სხდომა დასრულებულად გამოაცხადა. სათითაოდ ჩამოართვა ხელი ჯერ მოსარჩელე მხარის ადვოკატს დავით ჯანდიერს, შემდეგ კი საქართველოს მთავრობის ინტერესების დამცველს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, თინა ბურჯაიანს, აუდიტორიას გაუღიმა და ნელი ნაბიჯით დატოვა დარბაზი. ასე დას-

რულდა სასამართლო სარჩელის განხილვა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა სასამართლოში, რომელსაც სანდრო გირგვლიანის ოჯახი სამ წელიწადს ელოდა. გურამ გირგვლიანისა და ირინა ენუქიძის პირველი სარჩელი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში განსახილველად 2007 წლის ივნისში შევიდა. ორ თვეში, 2007 წლის აგვისტოში ქალბატონი ირინა ენუქიძე მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. თუმცა, ევროპულმა სასამართლომ სარჩელი

ოფიციალურ წარმოებაში 2008 წლის 17 მარტს მიიღო პირვანდელი სახელწოდებით „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“. ირინა ენუქიძე და გურამ გირგვლიანი სასამართლოს მიმართავენ თხოვნით, საქართველო დამნაშავედ ცნოს ევროკონვენციის ოთხი მუხლის დარღვევაში. ეს მუხლებია: სიცოცხლის უფლების, სამართლიანი სასამართლოს უფლების, წამების აკრძალვისა და დაცვის ეფექტური ზომების უფლებების დარღვევა. მაგრამ, ვიდრე სასარჩელო განცხადე-

ბა ევროპის სასამართლოში წესდებით განსაზღვრულ პროცედურას გადაიდა, საქართველოში ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. 2009 წლის 5 ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 ნოემბრის შეწყალვის აქტის საფუძველზე, საპატიმროდან გაათავისუფლეს სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულები – გერონტი ალანია, ავთანდილ აფციაური, მიხეილ ბიბილოვი და ალექსანდრე ლაჭავაძე. მანამდე 2007 წლის 8 აგვისტოს კი უზენაესმა სასამართლომ მათ 6 თვით შეუმცირა სასჯელი.

27 აპრილს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში გამართულ ზეპირ მოსმენაზე სანდრო გირგვლიანის მოსამართლე შეეკითხა თინა ბურჯალიანს, საქართველოს მთავრობის ინტერესების დამცველს, თუ რატომ შეინჯალა მსჯავრდებულები ხელისუფლებამ ნელინადნახევრიანი პატიმრობის შემდეგ და რამდენად ხშირად მიმართავს ხელისუფლება მკვლელობაში

საძლებლობა ჰქონდათ, მოეხმინათ როგორც თინა ბურჯალიანის 45-წუთიანი გამოსვლისათვის, რომელიც ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ მოსარჩელე მხარის მოთხოვნები არარელევანტურია და რომ პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს ხელისუფლებას, რადგან მკვლელობის ჩადენის დროს ალანია, აფციაური, ბიბილოვი და ლაჭავაძე არ ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას და მოქმედებდნენ მხოლოდ პირადი მოტივით. საკუთარი არგუმენტების გასამტკიცებლად თინა ბურჯალიანი იშველიებდა საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში კარგად ცნობილ შემთხვევებს, როდესაც პოლიციელებმა უშუალოდ მოვალეობის შესრულების დროს გადააჭარბეს ძალას და დახოცეს მოქალაქეები.

გურამ გირგვლიანის და ირინა ენუქიძის ადვოკატმა დავით ჯანდიერმა კი წარმოადგინა მტკიცებულებები სანდრო გირგვლიანის მკვლელობის სასამართლო გამოძიებიდან, მონშეთა

ლისუფლებებისგან მოსარჩელე მხარე ითხოვს მორალური დანაკლისის ასანაზღაურებლად. დიდი არაფერი, მაგრამ ისე მოხდა, რომ იმ მომენტისათვის ერთადერთი ჟურნალისტი აღმოჩნდა დარბაზში.

სასამართლოს სხდომა 10 წუთში განახლდა თინა ბურჯალიანის გამოსვლით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ერთი წლის წინათ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულები შეინჯალეს იმიტომ, რომ, სხვა შეწყალვებულების მსგავსად, სამხედრო წოდება ჰქონდათ. ბურჯალიანმა კვლავ გაიმეორა, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობა მოხდა პირადი მოტივით და მოსარჩელე მხარე არ უნდა ედავებოდეს ხელისუფლებას. „საქართველოს ხელისუფლება განიცდის სანდრო გირგვლიანის მკვლელობას, და სასამართლო ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ დაზარალებულებს სამართლიანი სასამართლოს უფლება ჰქონოდათ, შესთავაზა მათ გარკვეული თანხაც მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, მაგრამ მათ ამაზე უარი თქვა“, – დასძინა თინა ბურჯალიანმა. მოპასუხე მხარის ეს მტკიცებულება მაშინვე მიიგერია მოსარჩელე მხარის ადვოკატმა დავით ჯანდიერმა, რომელმაც სასამართლოს მიუთითა მონშეთა ჩვენების იმ ნაწილზე, სადაც საუბარი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ „ემელ-ის“ ჯიპზე, რომლითაც სანდრო გირგვლიანი და ლევან ბუხაიძე 2006 წლის 27 იანვარს გაიტაცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, რათა მათთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო ანგარიში გაესწორებინათ.

აი, სულ ეს იყო. მთელი ამ საზარელი დანაშაულის შესახებ მომზადებულ სარჩელზე მოპასუხე მხარისა და მოსარჩელის ადვოკატების ზეპირი დაპირისპირება მხოლოდ 2 საათს გაგრძელდა. სხდომის ოქმებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სულ მალე გამოაქვეყნებს; გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ფრანსუაზ ტულკენი, ბელგიელი მოსამართლე გამოაცხადებდეს საბოლოო ვერდიქტს საქმეზე „გირგვლიანი და ენუქიძე საქართველოს წინააღმდეგ“. □

■ მთელი ამ საზარელი დანაშაულის შესახებ მომზადებულ სარჩელზე მოპასუხე მხარისა და მოსარჩელის ადვოკატების ზეპირი დაპირისპირება მხოლოდ 2 საათს გაგრძელდა. სხდომის ოქმებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სულ მალე გამოაქვეყნებს.

მსჯავრდებულების გათავისუფლების პრაქტიკას. სერბიის წარმომადგენელი კი დაინტერესდა იმით, გამოიყენეს თუ არა პოლიციელებმა სამსახურებრივი მობილური კამერის საშუალებები, ტრანსპორტი და ტაბელური იარაღი 2006 წლის 26 იანვარს, როდესაც კაფე „შარდენში“ მომხდარი სიტყვიერი კონფლიქტის შემდეგ სანდრო გირგვლიანი ოქროყანის ტყეში წაიყვანეს. იგივე მოსამართლე დაინტერესდა იმით, თუ რა იღონა შინაგან საქმეთა სამინისტრომ მას შემდეგ, რაც სანდრო გირგვლიანის მეგობარი, ლევან ბუხაიძე მძიმედ ნაცემი ფორთხვით მივიდა პოლიციის ქვეგანყოფილებაში და მომხდარის შესახებ განაცხადა.

ამ შეკითხვების შემდეგ სასამართლო სხდომაზე 10-წუთიანი შესვენება გამოცხადდა. მანამდე მოსამართლეებს შე-


ჩვენებიდან, დამოუკიდებელ მედიაში გასული სიუჟეტებიდან, რომელთა თანახმად, საქართველოს ხელისუფლება თავდაპირველად ცდილობდა დაემალა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტი, შემდეგ აეცილებინა მკაცრი სასჯელი მკვლელებისათვის, შეექმნა მათთვის სასაბურთო პირობები საპრობილემო, ხოლო 2009 წლის ოქტომბერში ციხიდან გაეთავისუფლებინა ისინი, საქართველოს პრეზიდენტის შეწყალვის აქტის საფუძველზე.

ამ ათწუთიანი შესვენებისას რადიო „თავისუფლებას“ პირდაპირ ეთერში ჩავერთე: მთავარი ინფორმაცია, ცოტაოდენი კონტექსტი, სარჩელის შინაარსი, მონაწილე მხარეების პოზიციები და მოსამართლეების შეკითხვები. ვახსენე 300 ათასი ევრო. ეს კომპენსაციის ის ზომია, რომელსაც საქართველოს ხე-

სნხაფი სიხვილი

ერთი შეხედვით უვნებელი ანტიდეპრესანტისგან, რომელიც აფთიაქებში იაფად იყიდება, ქართველი ნარკომანები ხელოვნურ ნარკოტიკს ამზადებენ. ცოტამ თუ იცის, რომ პირველივე ინექციას შესაძლებელია ფატალური შედეგი მოჰყვეს.

მარიკა ქოჩიაშვილი



შენიშვნა: ვაცნობიერებთ, რომ ეს მასალა შესაძლებელია არასრულწლოვანებისთვის ხელმისაწვდომი აღმოჩნდეს. ამიტომ, „ლიბერალი“ შეგნებულად არ ასახელებს იმ პრეპარატის სახელწოდებას, რომლის შესახებაც სტატია დაიწერა.

უბრალოდ თქვი – არა! მე მას ვაჯობებ! ის ჩემს ტვინს ალბობს! მე შემიძლია ვიყო მე, როცა უარს ვიტყვი მასზე! – ეს ამერიკული ანტინარკოტიკული სლოგანებია და ამ ნაცვალსახელში ხან კანაფს, ხან ჰეროინს და ხანაც ჰაშიშს გულისხმობენ.

იმ სამედიცინო პრეპარატზე, რომლის შესახებაც არის ეს სტატია, მსგავსი სლოგანის მოგონება არავის უფიქრია. რადგან მას მთელ მსოფლიოში მხოლოდ დანიშნულებისამებრ მოიხმარენ, ანუ როცა დეპრესიას ებრძვიან. გამოწვევის მხოლოდ საქართველო და რუსეთია.

„არაფერია იმაზე სასიამოვნო, ვიდრე ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა“, – წერია იმ ფრანგული ფარმაცევტული კომპანიის კალენდარზე, რომელმაც ანტიდეპრესანტის წარმოება 1987 წელს დაიწყო.

კომპანიის ფარმაცევტების მტკიცებით, 12.5-მილიგრამიანი ანტიდეპრესანტის დღეში 1-3 ტაბლეტი უებარი საშუალებაა როგორც მსუბუქი შინაგანი აღზნების, ისე მძიმე დეპრესიის სამკურნალოდ. ამ პრეპარატს სხვა ანტიდეპრესანტებთან შედარებით ნაკლები გვერდითი მოვლენა ახასიათებს. მაგალითად, უძილობასა და ლამის კომარებს ინვევს, თუკი, პაციენტი ტაბლეტს გვიან საღამოს მიიღებს. სამაგიეროდ, სხვა ანტიდეპრესანტებისგან განსხვავებით, არ ინვევს სექსუალურ დისფუნქციას და მის მომხმარებლებს არც წონის მატების პრობლემა ექმნებათ.

საქართველოში ეს პრეპარატი 2003 წლიდან იყიდება. თუმცა 3 წელიწადში გაიკვია, რომ დეპრესიასთან ბრძოლის უსაფრთხო და ეფექტური საშუალებით ქართველებმა ძვირად ღირებული ნარკოტიკები ჩაანაცვლეს. ნარკომანებმა აღმოაჩინეს, რომ მაშინ, როცა შავ ბაზარზე ერთი ტაბლეტი სუბუტექსი დაახლოებით 500 ლარი ღირს, აფთიაქში დაახლოებით 40 ლარად ნაყიდი პრეპარატით წარმოუდგენელი „კაიფის“ მიღწევა შეიძლებოდა. ეს „ცოდნა“ საქართველოში, სავარაუდოდ, რუსეთის გავლით გავრცელდა, სადაც, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, სუროგატი ნარკოტიკის მომხმარებელთა რიცხვი დრამატულად იზრდება.

სხვა მედიკამენტებისგან განსხვავებით, რომლებსაც ხელოვნური ნარკოტიკის მისაღებად იყენებენ, ამ პრეპარატისგან ნარკოტიკი ყოველგვარი ქიმიური მინარევების გარეშე მზადდება და გაცილებით უფრო სწრაფად ანგრევს ორგანიზმს, ვიდრე იგივე ჰეროინი და კოკაინი.

„შეიძლება ათეულობით წელი გავიდეს, ვიდრე სუფთა ნარკოტიკების მომხმარებლებს ინტელექტუალური დეგრადაცია, მეხსიერების პათოლოგიები და დეპრესია შეაწუხებთ. ამ პრეპარატის შედეგები კი გაცილებით მძიმეა. მის მიღებას მალევე შეიძლება მოჰყვეს სიბრმავე და კიდურების სისხლძარღვების თრომბოზი“, – ამბობს ნარკოლოგი ირა ამნიაშვილი.

ორი კვირის წინ ანგიოქიურგმა დავით დევიძემ ამ სუროგატი ნარკოტიკის ერთ-ერთ მომხმარებელს თითები მოჰკვეთა. დევიძის თქმით, პაციენტი კიდევ იოლად გადარჩა, რადგან წამლის ჭარბი დოზისგან მთლიანად ხელის ამპუტაციის საფრთხე იდგა. მისი თქმით, ეს წამალი იმდენად სწრაფად მოქმედებს, რომ ხელის ან ფეხის ამპუტაციის საშიშროება პირველივე ან მეორე ინექციის შემდეგ

ჩნდება. ექიმთან დაგვიანების შემთხვევაში, ინტოქსიკაცია ისე სწრაფად მიმდინარეობს, რომ შესაძლებელია, ლეტალური შედეგიც მოჰყვეს.

საქართველოში არ არსებობს ამ პრეპარატის მომხმარებელთა ოფიციალური სტატისტიკა, რადგან მათ არც ერთი ნარკოლოგიური კლინიკა ცალკე არ აღრიცხავს. ეს ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიცაა, რადგან წამალზე დამოკიდებულები ერთდროულად რამდენიმე ტიპის ნარკოტიკს მოიხმარენ. ერთადერთი სახელმწიფო ნარკოლოგიური კლინიკის მონაცემები კი, იმის შესახებ, რომ 3 წლის განმავლობაში მკურნალობა ამ კონკრეტულ სუროგატ ნარკოტიკზე მათთან არ ასახავს. პრობლემის მასშტაბურობას მხოლოდ ის ადასტურებს, რომ, ნარკოლოგების საერთო შეთანხმებით, 2006 წლიდან დღემდე მომხმარებელთა რიცხვი საქართველოში სტაბილურად მალაღია.

ქართველმა ნარკომანებმა ანტიდეპრესანტი პირველად მაშინ „აღმოაჩინეს“, როცა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ ფართომასშ-

მკურნალობის შემდეგ, უკვე რვა თვეა, ნარკოტიკს აღარ იღებს. დღეს ამბობს, რომ თუკი ოდესმე ცდუნებას ისევ ვერ გაუძლებს, ანტიდეპრესანტს ახლოს არ გაეკარება. მის მეგობარს ორი კვირის წინ სწორედ ამ ნარკოტიკის მოხმარების გამო ფეხი მოჰკვეთეს.

მზარდ პრობლემაზე სახელმწიფოს პირველი რეაქცია ის იყო, რომ ანტიდეპრესანტის გაყიდვა ჩვეულებრივ აფთიაქებს აუკრძალეს და, ჯანდაცვის მინისტრის №22/6 ბრძანების თანახმად, 2006 წლის 30 ნოემბრიდან ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების ნუსხაში გადავიდა. მას შემდეგ ეს პრეპარატი მხოლოდ ფორმა №2 რეცეპტის საფუძველზე, მხოლოდ ფსიქოტროპულ აფთიაქებში იყიდება.

თუმცა, პრეპარატი ნარკომანებისთვის მაინც ხელმისაწვდომი დარჩა. ვაკეში, ერთ-ერთ ფსიქოტროპულ აფთიაქში, სადაც ჟურნალისტთან ოფიციალურად საუბრისას აცხადებენ, რომ ხსენებულ პრეპარატს არავითარ შემთხვევაში ურეცეპტოდ არ გასცემენ, 2 კვირის წინ ეს „ანტიდეპრესანტი“ ურე-

ხდა იქნებ უღირთ კიდევ.

„აფთიაქებში იმიტომ მუშაობენ ფარმაცევტები და არა ფიზიკოსები, რომ მათ გაყიდული წამლით მოსახლეობას არ უნდა აენონ. როცა გამყიდველი აცნობიერებს, რომ უმრავლეს შემთხვევაში პრეპარატს ყიდის როგორც ნარკოტიკს, ამით შეგნებულად სჩადის დანაშაულს. შეგნებული დანაშაული კი უფრო მკაცრად უნდა ისჯებოდეს. უნდა არსებობდეს ჯარიმა, ორმაგი ჯარიმა და შემდეგ ლიცენზიის ჩამორთმევა“, – ამბობს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, აკაკი გამყრელიძე.

ამ ანტიდეპრესანტს ლიცენზია საქართველოში 2012 წლამდე აქვს. მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლობით ოფისში ზუსტ რიცხვებს ვერ ასახელებენ, მაგრამ აცხადებენ, რომ მედიკამენტის არამიზნობრივი გამოყენების გამო, საფრანგეთის სათავო ოფისმა საქართველოში მისი ექსპორტი 5-ჯერ შეამცირა. 2012 წლის შემდეგ კომპანია, სავარაუდოდ, თვითონვე იტყვის უარს მის შემოტანაზე. ორგანიზაცია შიშობს, რომ პრეპარატის არამიზნობრივად გამოყენებამ, მის იმიჯზე უარესად არ იმოქმედოს.

თუმცა, გამყრელიძის აზრით, ქართული მხარე ამ გადაწყვეტილებას არ უნდა დაელოდოს. მისი თქმით, შესაძლოა, პრეპარატის რეგისტრაციის გაუქმების საკითხი სამინისტრომ 2-3 თვეში განიხილოს და მალევე მისი იმპორტი საერთოდ შეწყვიტოს.

„რაკი მისი არამიზნობრივი გამოყენების ფაქტები არსებობს, ამ საკითხის დაყენების უფლება გვაქვს. ეს არ არის პირველი მოთხოვნის პრეპარატი იმ თვალსაზრისით, რა თვალსაზრისითაც გამოდის. არსებობს ძალიან ბევრი მსგავსი ანტიდეპრესანტი, რომელსაც ჩვენი ავადმყოფები ვერ გამოიყენებენ, როგორც ნარკოტიკს“, – აცხადებს გამყრელიძე.

თუმცა, ეს გადაწყვეტილება ნაკლებად იმოქმედებს ნარკოტიკების შავ ბაზარზე, რომლის არსებობასაც სახელმწიფო სტრუქტურებშიც ადასტურებენ. ლიცენზიის შეწყვეტის შემდეგ ქართველ ნარკომანებს მაინც ექნებათ შესაძლებლობა, ეს პრეპარატი შავ ბაზარზე შეიძინონ. ამიტომ, სანქციების გამკაცრების პარალელურად, სუროგატი ნარკოტიკების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვაც საჭიროა. **□**

■ მაშინ, როცა შავ ბაზარზე ერთი ტაბლეტი სუბუტექსი დაახლოებით 500 ლარი ღირს, აფთიაქში 40 ლარად ნაყიდი პრეპარატი წარმოუდგენელი „კაიფის“ მიღწევა შეიძლება.

ტაბიანი ანტინარკოტიკული კამპანია დაიწყო, რის შედეგადაც ქვეყანაში ნარკოტიკის რაოდენობა შემცირდა და ფასიც გაიზარდა.

ორი წლის წინ 24 წლის ს.-მ, რომელიც ნარკოტიკს 14 წლიდან მოიხმარდა, ეს პრეპარატი პირველად სწორედ იმიტომ გასინჯა, რომ სხვა ნარკოტიკი ვერ იშოვა. „რომ გავიღვიძე, ძალიან ცუდად ვიყავი. ლომკა მქონდა და ახლობელმა ეგ გამიკეთა. აზრზეც არ ვიყავი, რა შედეგი მოჰყვება ამას“, – ამბობს ს., რომელიც მანამდე ძირითადად ძვირადღირებულ ნარკოტიკებს მოიხმარდა. „კვირაში 3000 დოლარზე მეტს ვხარჯავდი წამალში. ხან ეს იყო, ხან სხვა ნარკოტიკი. მეკიდა, რას ვიკეთებდი“, – ამბობს ს. ცოტა ხნის წინ ს.-მ ნარკოლოგიურ კლინიკაში მკურნალობის კურსი ჩაიტარა, მაგრამ მის გადაგვარებულ ლვიდლს ველარაფერი უშველეს. ს.

ცეპტოდ შევიძინეთ. „დედაჩემისთვის მიწა, ექიმმა გამოუწერა და რეცეპტი სახლში დამრჩა, იქნებ ისე მომიყოლიო?!“ ... და მოგვყიდეს.

დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ჯანდაცვის სამინისტროს ინსპექციის განყოფილება აფთიაქებს პირველად 3000 ლარით აჯარიმებს და პრეპარატის კონფისკაციას ახდენს. მეორე ჯერზე კი ჯარიმა უკვე 6000 ლარია. კანონის დამრღვევი აფთიაქების წინააღმდეგ უფრო მკაცრი სანქცია ვერ არ არსებობს.

2009-2010 წლის მონაცემებით, ინსპექციამ, გაცემის წესის დარღვევის გამო, 18 აფთიაქი დააჯარიმა და ამ პრეპარატის 16 284 ტაბლეტის კონფისკაცია მოახდინა.

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თითო ნარკომანს ეიფორიული მდგომარეობის შესანარჩუნებლად დღე-ღამეში დაახლოებით 300 ლარის პრეპარატი სჭირდება, აფთიაქებს ამ ჯარიმის გადა-

ნარკომანია, როგორც კრიმინალი

დეფექტური ნახოვოციხა

ვერც სასჯელითა და ვერც ჯარიმით სახელმწიფო ვერ აღწევს დასახულ მიზანს – შეამციროს ქვეყანაში ნარკომომხმარებელთა რიცხვი.

ნათია გულიაშვილი



ახალგაზრდა ბიჭის მამამ ვერ იშოვა 2 ათასი ლარი, რომელიც ნარკომანი შეილის ციხიდან დახსნისთვის იყო საჭირო, ამიტომ ბიჭი ერთი წლით ციხეში ჩასვეს. თუმცა, ერთწლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ ნარკოტიკის გამოყენების გამო ის ქუჩის ნარკოტესტირების დროს ისევ დააკავეს და დღეს სასჯელს მეორედ იხდის.

ახლანდელი კანონის მიხედვით, ნარკომომხმარებელს პირველ ჯერზე 500 ლარით აჯარიმებენ, ერთი წლის განმავლობაში, თუკი მეორედაც დააკავეს, ჯარიმა 2 ათას ლარამდე იზრდება და, ვინც ვერ გადაიხდის, 1-წლიანი პატიმრობა ემუქრება.

ეფექტურია თუ არა სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მომხმარებელს მაღალ ჯარიმებს უწესებს და სისხლის სამართლის კოდექსით ასამართლებს მათ?

ხელისუფლების ოფიციალური არგუმენტის მიხედვით, ნარკომანებისთვის დანესებული მკაცრი სადამსჯელო ზომები მომხმარებელს ნარკოტიკებზე უარის თქმისკენ უბიძგებს და ამავე დროს მუშაობს, როგორც პრევენცია ახალგაზრდებში.

თუმცა, ახლახან ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ქუჩის ნარკოტესტირების პროცედურაზე დახარჯული თანხები, დრო და ადამიანური რესურსი არაეფექტური და არასწორია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ალტერნატივა ჯორჯიას“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2006 წლიდან – ანუ მას შემდეგ, რაც ნარკოტიკების მოხმარებაზე ჯარიმა გაიზარდა, ხოლო ნარკოტესტირების ჩატარება შსს-ს ერთ-ერთ ქვედანაყოფს დაევალა, 12-ჯერ გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი, ვინც ყოველწლიურად ქუჩიდან ტესტირებაზე აჰყავთ. ეს ნიშნავს იმას, რომ ბოლო წლებში საშუალოდ 50 ათასი ადამიან-

ნი დააკავეს ქუჩაში ნარკოტესტირების გამო.

„საეჭვო გარეგნობა“ საკმარისი მიზეზია იმისთვის, რომ ნებისმიერი გამგელელი ნარკოტესტირებაზე აღმოჩნდეს. ხოლო იმას, თუ რა გარეგნული ნიშნების მიხედვითაა ესა თუ ის ადამიანი საეჭვო, პოლიცია ინდივიდუალურად, ერთი თვალის შევლებით ადგენს.

სტატისტიკის მიხედვით, ცხადი ხდება, რომ ქუჩის ტესტირების ეს მეთოდი არ ამართლებს, რადგან „საეჭვო გარეგნობის“ მოქალაქეების უმრავლესობას ნარკომანია არ უდგინდება, ხოლო ვისაც უდგინდება, ჯარიმის გადახდის შემდეგ მაინც უბრუნდება ნარკოტიკს:

2008 წელს შემონიშნული 43 029 ადამიანიდან დადებითი მხოლოდ 19302 პასუხი იყო. მათგან 1605 ადამიანი კი იმავე წლის განმავლობაში, ნარკოტიკის განმეორებით მოხმარების გამო, კიდევ ერთხელ დაიჭირეს და ერთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. სასჯელალსრულების დაწესებულებას მათი შენახვა 8 მილიონი ლარი დაუჯდა, მთლიანად ტესტირებასა და შემდგომ სამართლებრივ პროცედურებზე კი 18 მილიონი ლარი დაიხარჯა. დაახლოებით ამდენივე თანხა შევიდა ბიუჯეტში ჯარიმებიდან, რომლის 84,5% ნარკოტიკის მოხმარებელმა არა საკუთარი სახსრებით, არამედ ოჯახის წევრების, მეგობრების, სესხის, ქონების გაყიდვის და ზოგ შემთხვევაში კრიმინალური საქმიანობით ნაშთი ფულით დაფარა.

რიცხვების ამ კასკადის ფონზე, ყველაზე საინტერესო უშუალოდ გამოკითხული ადამიანების პასუხებია: თბილისში, გორში, ზუგდიდში, რუსთავსა და თელავში 2008 წელს გამოკითხული 500-მდე ადამიანიდან, კითხვას – დაანება თუ არა მან ნარკოტიკების მოხმარებას თავი ტესტირების თუ სასჯელის მოხდის შემდეგ – მხოლოდ 36-მა უპასუხა დადებითად. მომდევნო კითხვაზე – „რამდენი ხნით?“ – პასუხები ასე გადანაწილდა: გამოკითხულთა ნახევარი ნარკოტიკს 3 თვეში მიუბრუნდა, მეორე ნახევარი კი თავს რამდენიმე თვე კიდევ იკავებდა, მაგრამ შემდეგ ცდუნებას ვეღარ გაუძლო. „თავშეკავების“ ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი, რაც გამოკითხულთა შორის ერთადერთმა ადამიანმა დაასახელა, 11 თვე იყო.

„ფაქტობრივად, ერთი წლის შემდეგ,

იმ დახარჯული რესურსის სანაცვლოდ, რაც სახელმწიფომ ამ პროცედურაში ჩადო, შედეგად მიიღო წული“, – ამბობს „ალტერნატივა ჯორჯიას“ წარმომადგენელი, დავით ოთიაშვილი.

კვლევაში მონაწილე მეორე ორგანიზაციის, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენლის, ვანო ცერცვაძის თქმით კი, არც ერთი ლონისძიება, რომელსაც სახელმწიფო მმართველს, არ ემსახურება მთავარ მიზანს – შეამციროს ნარკოტიკების მოხმარებელთა რიცხვი. „კვლევის შედეგები უკვე გვაძლევს საშუალებას, მთავრობას წარუდგინოთ არგუმენტირებული მონაცემები, რომლებიც აჩვენებს, რომ ნარკომანიასთან ბრძოლისთვის გამოყოფილი თანხა არაეფექტურად იხარჯება“, – ამბობს ცერცვაძე.

არასამთავრობოები სახელმწიფოს სთავაზობენ, ის 8 მილიონი ლარი, რაც ციხეში მყოფი 1600 ნარკომანის შენახვაზე იხარჯება, ჩანაცვლებით თერაპიასა და პრევენციას მოახმარონ. ამ შემთხვევაში, ფული უშედეგოდ არ დაიხარჯება და არც მოხმარებლის კრიმინალიზება მოხდება, რაც მას ვერც ნარკოტიკებისგან ათავისუფლებს და დამატებითი დანაშაულის ჩადენისკენაც უბიძგებს.

მკურნალობაზე ორიენტირებული პოლიტიკის აუცილებლობაზე კიდევ ერთი რიცხობრივი მაჩვენებელი მიუთითებს: თუ დღეს საქართველოში 1000 მოსახლეზე გადავანაწილებთ 4000 პრობლემურ მოხმარებელს, გამოვა, რომ შეფარდებითი მაჩვენებელი ორჯერ უფრო მაღალი გვაქვს, ვიდრე – ევროპაში. ევროპის ქვეყნებში მკურნალობის ხარჯები ერთ მოხმარებელზე, საშუალოდ, 2000 ევროა. საქართველოში კი, მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის ბიუჯეტში ამ მიმართულებით დაფინანსება ყოველ წელს იზრდება, მკურნალობის ხარჯი ერთ წამალდამოკიდებულზე, საშუალოდ, 10 ევროს ვერ სცდება.

„ბუნებრივია ჩვენ სახელმწიფოსგან არ და ვერ მოვითხოვთ, გაუფტოლდეთ ევროპულ მაჩვენებელს, რომელსაც 200-ჯერ ჩამოვრჩებით. მაგრამ სწორედ ასეთი შეზღუდული რესურსების პირობებშია საჭირო, ვნახოთ, რამდენად ხარჯეფექტურადაა გადანაწილებული ეს მწირი სახსრები“, – ამბობს ოთიაშვილი.

მომდევნო ეტაპზე ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად არასამთავრობოთა კვლევის ადრესატები პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტი, ფინანსთა, სასჯელალსრულების და შინაგან საქმეთა სამინისტროები გახდებიან.

ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი, ამირან გამყრელიძე, რომელიც კვლევის შედეგების პრეზენტაციას ესწრებოდა, არასამთავრობოებს ურჩევს ამ უწყებებთან ინდივიდუალურ მოლაპარაკებებს და, კვლევაზე დაყრდნობით, სამოქმედო გეგმის ნათლად ჩამოყალიბებას.

„რამდენიმე წლის წინ, მეტადონის პროგრამის დამტკიცება, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნარკომანიი ყოველთვის დამნაშავე არაა და მან შეიძლება იმკურნალოს, დიდი გარღვევა იყო არა მარტო საქართველოს, არამედ პოსტსაბჭოთა მენტალურ სივრცეშიც. თუმცა, ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ არის ის კულტურა, როცა არასამთავრობოები პოლიტიკურად მნიშვნელოვან საქმეებს წყვეტენ. ნარკომანიის წინააღმდეგ გამოყოფილი თანხების გადანაწილება ის საკმაოდ რთული პოლიტიკური საკითხია და მისი გადაწყვეტა მხოლოდ პოლიტიკურ დონეზე შეიძლება“, – აცხადებს გამყრელიძე. მისი თქმით, ახლა, როცა ერთ მხარეს ჯანმრთელობის სამინისტრო დგას, მეორე მხარეს კი – შსს, და უხეშად რომ ვთქვათ, გვაქვს მდგომარეობა – ვინ ვის მოერევა, მთავარია, არასამთავრობოებმა ჯანდაცვის სამინისტროს პირველი პირების დაინტერესება შეძლონ, რათა მათ შემდეგ მინისტრთა კაბინეტში საკითხი დამაჯერებელი არგუმენტებით განიხილონ.

არასამთავრობოებს რომ პოზიცია ჯერ კიდევ გასამყარებელი აქვთ, ამას ისიც ადასტურებს, რომ მათ მიერ შემუშავებული კანონპროექტი, რომელიც ნარკოპოლიტიკის დეკრიმინალიზაციას, სისხლის სამართლის მუხლით მოხმარებელთა დასჯის გაუქმებას და დაბალსაჯარიმო ტარიფებს ითვალისწინებს, წელიწად-ნახევარზე მეტია, პარლამენტის განსახილველ „თაროზეა შემოდებული“. კიდევ ერთ მსგავსი შინაარსის კანონპროექტსაც, რომლის ინიციატორიც თავად პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელია, ზემოხსენებულ თაროზე, ზემოხსენებულ კანონპროექტთან ერთად ედება მტვერი. □

ქვეყნის საერთაშორისო რეკლამა

CNN-ის იცუზია - საქართველოს ჯაღოსნუხი ბახდასახვა

CNN-ის ეთერში საქართველოს შესახებ გასული სიუჟეტები, რაც ქვეყნის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად, ხელისუფლების რეკლამად იქცა.

ანა მალინოვსკა



ეთერ პერანგში, კოსტიუმსა და შავ სპორტულ ფეხსაცმელში გამოწყობილი CNN-ის წამყვანი და ჟურნალისტი ჯიმ ქლენსი პირდაპირ ჩართვამდე სახეზე სწრაფად ისევას პუდრს, რამდენიმე წამი და, ქლენსის მოდუნებული გამომეტყველება ეცვლება, კამერის წინ ენერგიულად პოზირებს და მთელ მსოფლიოს საქართველოს მთავრობის წარმატებებზე, ქართველ ახალგაზრდებსა და რუსეთ-საქართველოს ომზე უყვება.

25 ჩანთითა და ტექნიკით დატვირთული CNN-ის გადამღები ჯგუფი საქართველოში 2 კვირას მუშაობდა. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში კი, ქლენსიმ CNN-ის მიერ მომზადებული ათამდე სიუჟეტი სასტუმროს ვერანდიდან პირდაპირ ეთერში გადასცა.

ამ ვერანდიდან ქვეყანა მომხიბვლელი ჩანს. „საქართველოს სასწაულებრივი ტრანსფორმაცია“, „გაცოცხლებული ბათუმი“, „ძღვევამოსილი პატრიარქი“, „ტურიზმი კლდეში ნაკვეთ ქალაქში“ – ასე დაასათურა CNN-მა ორ კვირაში

აღმოჩენილი 21-ე საუკუნის საქართველო.

„ბათუმი სასწაულის მომსწრე ხდება ... მშენებლობის ბუმი, გაჰყავთ ახალი საკანალიზაციო არხები, ინტერნეტი, შეიქმნა სამუშაო ადგილები, ახალგაზრდები მომავალს იმედის თვალთ უყურებენ“ – აღნიშნავს ჯიმ ქლენსი „ბათუმის“ შესახებ სიუჟეტში.

CNN-ის გადამღებ ჯგუფს საქართველოში არ დაუწყია ნეგატიური ამბებისა და პრობლემების ძებნა. მოვლენების სიღრმისეულ ანალიზს გადაცემის ფორმატიც არ ითვალისწინებს. iList სამოგზაურო მიმოხილვის ტიპის გადაცემა და ინოვაციაზე, ინდუსტრიასა და ბიზნეს გარემოს განვითარების ტენდენციებზე აკეთებს აქცენტს. ისევე, როგორც ცნობილი სატელევიზიო არხი Travel Channel მოგზაურობს, მაგალითად, ინდოეთში, აღწერს იქაურ ღირსშესანიშნაობებს და არ ინტერესდება იმით, თუ რამდენი ადამიანი იხოცება შიმშილით, ასევე iList, წინასწარ განსაზღვრული ფორმატის გამო, არ ეძებს მწვავე თე-

მებს, ქვეყანას მხოლოდ პოზიტიური რაკურსით წარმოაჩენს და, საქართველოს შემთხვევაში, საინტერესო თემების შერჩევისას სტერეოტიპული წარმოდგენებით ხელმძღვანელობს. მაგალითად, ქართული ქეიფი CNN-ზე ამ ნიშნით მოხვდა.

ეს ფორმატი წინასწარვე განსაზღვრავს ჟურნალისტიკის სამუშაოს, აწესებს ჩარჩოს, რომლის იქითაც რეპორტიორს გახედვა უბრალოდ აღარ სჭირდება. ხოლო ის ფაქტი, რომ iList იმ ქვეყნების თანდაფინანსებით იქმნება, რომელსაც აშუქებენ, ამ გადაცემებს კომერციულ პროდუქტად აქცევს.

საქართველოს შესახებ iList-ის ციკლიც ხელისუფლებამ დააფინანსა, თუმცა, კონკრეტულად რა თანხა დაჯდა ქვეყნის რეკლამირება პოპულარულ საერთაშორისო არხზე, ამას არც ერთი სახელმწიფო უწყება არ ახმაურებს.

iList-ის ავტორები ამბობენ, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ, იმისდა მიუხედავად, თუ ვინაა დამკვეთი. ჯიმ ქლენსის თქმით, თემებს თავად არჩევენ, ქვეყნის წარმომადგენლებისგან გარკვეულ რჩევებს ითვალისწინებენ, მაგრამ სიუჟეტების შინაარსობრივი დეტალები წინასწარ არ თანხმდება.

მიუხედავად ამისა, ასეთი ფორმატი ნებისმიერი ქვეყნისთვის მაინც რეკლამირების საუკეთესო საშუალებაა. საქართველოს ხელისუფლებამ კი ეს შანსი საკუთარი თავის რეკლამირებისთვისაც გამოიყენა. სიუჟეტები ქართული ღვინისა და ძველი ხელნაწერების შესახებ აშკარად ქვეყნის კულტურულ ღირსებებს წარმოაჩენს. თუმცა, როდესაც ეთერში გადის ინტერვიუ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, რომელიც გაჩახჩახებუ-

ლი თბილისის ფონზე ქვეყნის „სასწაულებრივ ტრანსფორმაციაზე“ საუბრობს, ძალაუფლებურად იხატება ქვეყნის იდეალიზირებული სურათი, რომლის შექმნა ხელისუფლების ინტერესებში შედის. სააკაშვილის ეს შეფასება iList-ის წამყვანმა სიუჟეტის სათაურად აქცია.

ამავე ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს წარმატების დასტურად აღნიშნა, რომ „საქართველოში უფრო მეტი ახალგაზრდა ბრუნდება, ვიდრე ქვეყნიდან მიდის“. სწორედ ამის შემდეგ დაინტერესდა CNN საქართველოში განათლების თემით. თუმცა ამ საკითხის პრობლემურ მხარეებს არ შეხებია. iList-ის სიუჟეტში ოთხი ახალგაზრდას საუბრიდან გაირკვა, რომ სამს სწავლის გაგრძელება საზღვარგარეთ უნდა, ორს კი იქ დარჩენა და მუშაობაც აქვს გადა-


პრემიერ-მინისტრის მრჩეველი თამარ კოეზირიძე „ლიბერალთან“ ინტერვიუში (№27).

საქართველომდე CNN-ის ობიექტივში ბაჰრეინი მოხვდა. სიუჟეტებში ყურადღება გაამახვილეს მარგალიტების ინდუსტრიაზე, ქალებზე, რომლებიც ტაქსის მძღოლებად მუშაობენ, ავიაკომპანიებზე, რომლებიც ბიზნესს გაფართოებას ცდილობენ, ნავთობის ბიზნესზე, ეკონომიკაზე, რომელმაც კრიზისს თავი დააღწია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბაჰრეინი არის ქვეყანა, რომელიც ვითარდება და ცდილობს, სპარსეთის ყურის სხვა, მასზე მდიდარ ქვეყნებს გაუწიოს კონკურენცია.

ერთ-ერთ სიუჟეტში აშშ-ს ელჩი ბაჰრეინში იმასაც აცხადებს, რომ ეს ქვეყანა გზაჯვარედინია დასავლეთსა

ცემათა ციკლს საფრანგეთის შესახებ. არხის ოფიციალურ ვებგვერდზე საფრანგეთიდან წასული ემიგრანტები ამტკიცებენ, რომ ცხოვრება საფრანგეთში ისეთი მშვენიერი არაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. CNN-ის ჟურნალისტმა ატიკა შუბერტმა საფრანგეთი საკუთარ მაყურებელს ლიონის ბიბლიოთეკაში უნიკალური ხელნაწერების დიგიტალიზაციის, პოპულარული საფეხბურთო გუნდის „მარსელისა“ და ფრანგი შეფ-მზარეულების შესახებ მომზადებული სიუჟეტებით გააცნო. თუმცა, ბაჰრეინისა და საქართველოსგან განსხვავებით, ფრანგულ iList-ში ნაკლებად საიმჯო სიუჟეტებიც გვხვდება: გაირკვა, რომ მარსელში გრანდიოზული მეჩეთის აგებას მონინაღმდეგეები ჰყავს, ფრანგ მუსლიმებს არ მოსწონთ ადგილი, სადაც წინათ სასაკლაო იყო, ახლა კი მეჩეთი აშენდება. სიუჟეტში ზოგი მუსლიმი ამბობს, რომ გრანდიოზულ ტაძარს საფრანგეთის ხელისუფლება „კოსმოპოლიტის“ სტატუსის მოსაპოვებლად გამოიყენებს.

iList-ის მსგავსად, ქვეყნების პორტრეტებს წარმოადგენს CNN-ის მეორე პროექტიც Eye on, რომელსაც რიგ შემთხვევებში ასევე ჰყავს სპონსორები. შარშან მაისში ამ გადაცემის ფოკუსში რუსეთი მოექცა. ავტორი ეცადა, წარმოეჩინა ისიც, თუ როგორ ვითარდება რუსეთი და რა გავლენა აქვს მას მსოფლიოზე და ისიც, თუ რა პრობლემები აქვს ქვეყანას: კავკასიური წარმოშობის ხალხის მიმართ ქსენოფობიისა და ნაციონალიზმის ფარული ტენდენციები, უმუშევრობა, შიდსისა და ტუბერკულოზის მაღალი მაჩვენებელი, კრიზისში მყოფი ეკონომიკა და დაშლილი ჯანდაცვის სისტემა – აი, ამ საკითხებზეც გაამახვილა ყურადღება Eye on-მა.

iList-ის სამივე ქვეყნის პორტრეტს კი ერთი ხაზი აერთიანებს – ეს არის რეკლამა და არა სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მოპოვებულ ინფორმაციაზე აგებული, ანალიტიკური ჟურნალისტიკა. ალბათ ამიტომაც ვერ აღწერს იგი ქვეყნის რეალურ სურათს. როგორც ერთ-ერთი ბაჰრეინელი CNN-ის ვებ-გვერდზე წერდა, ეს მხოლოდ გარედან დანახული ბაჰრეინია და ალბათ ამიტომაც ჩანს იგი ასეთი მომხიბვლელი. 

iList-ი, წინასწარ განსაზღვრული ფორმატის გამო, არ ეძებს მწვავე თემებს, ქვეყანას მხოლოდ პოზიტიური რაკურსით წარმოაჩენს და, საქართველოს შემთხვევაში, საინტერესო თემების შერჩევას სტერეოტიპული წარმოდგენებით ხელმძღვანელობს.

წყვეტილი. თუმცა ქლენსიმ ორწუთიან დისკუსიაში აქცენტი განათლებიდან ისევ ქვეყნის რეკლამაზე გადაიტანა. მან ახალგაზრდებს სთხოვა, ერთი სიტყვით დაესახელებინათ ის, რითაც ყველაზე მეტად ამაყობენ, როგორც ქართველები.

მიუხედავად იმისა, რომ iList-ის სიუჟეტების ნაწილი ისედაც რეკლამა იყო, პრემიერ-მინისტრის აპარატი მინც ეძებდა გზებს, რომ გადაცემის შინაარსობრივ ნაწილში ჩარეულიყო. ხელისუფლებას არც ის ესიამოვნა, რომ ერთ-ერთ გადაცემაში აქცენტი რუსეთ-საქართველოს ომზე გაკეთდა. სიუჟეტში ნათქვამი იყო, რომ კონფლიქტის მოგვარებას არც ერთი მხარე არ ცდილობს და მის გავლივებს ერთმანეთს აბრალებენ. „ომის პერიოდში და შემდეგაც ახალ ამბებში საკმაოდ ნეგატიური და დრამატული თემები დომინირებდა საქართველოს შესახებ. გვიწოდდა, რაღაც პოზიტიური გასულიყო. რეკლამები ქვეყნის დადებითად წარმოჩინებას ემსახურება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ გავრცელდეს მესიჯი – საქართველო ისევ არსებობს და განვითარებას და რეფორმებს განაგრძობს“, – აცხადებდა

და აღმოსავლეთს შორის და მისი ბიზნესგარემო აშშ-ს სტანდარტებს აკმაყოფილებს, „ამიტომ ბიზნესის კეთება აქ იგივეა, რაც ბიზნესის კეთება აშშ-ში“.

ბაჰრეინის შესახებ მომზადებულ სიუჟეტებთან დაკავშირებით CNN-ის ოფიციალურ ვებგვერდზე, მაღლიერებით სავსე კომენტარებთან ერთად, მალე გაჩნდა გადაცემის მიმართ კრიტიკული შენიშვნებიც:

„ნუ დაგავინწყდებათ, რომ ბაჰრეინში პოპულარული გადაცემა Big Brother ეთერში გასვლიდან რამდენიმე დღეში მოხსნეს. ნურც ბაჰრეინის ღარიბი უბნები და ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნით გამართული საპროტესტო აქციები დაგავინწყდებათ. რატომ არაა ეს აღნიშნული თქვენთან?“ – გააკრიტიკა გადაცემა საკუთარი ქვეყნის შესახებ ბაჰრეინის ერთ-ერთმა მოქალაქემ.

იქვე იყო ასეთი კომენტარიც: „ეგ მართალია – მარგალიტის ბრწყინვალეობა შეუძლია ადამიანების შელახული უფლებები გადაფაროს, ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება, არა, CNN?“

უკმაყოფილო მკითხველების კომენტარები მოჰყვა iList-ის პირველ გადა-

პრესის ბავრსელება

ბავრსელების თავისუფლება

თბილისის მერიისგან რამდენიმეწლიანი უშედეგო დაპირების შემდეგ საქართველოს პრესის ასოციაციამ ბექდური მედიის დისტრიბუციის პრობლემების მოგვარება თავად გადაწყვიტა.

ანიტა თვაური



ფოტო: ბავრსელება

„იმ ადგილას, საიდანაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე პრესის ჯიხური აგვალებინეს, ახლა ჰამბურგერების ჯიხური დგას“, – ამბობს სადისტრიბუციო ქსელის „პლანეტა ფორტეს“ დამფუძნებელი მერაბ ჩანჩალაშვილი, რომელიც, უკვე 15 წელია, სადისტრიბუციო ქსელს უძღვება. 1995 წელს დაარსებულმა კომპანიამ სამ წელიწადში ჯიხურების რაოდენობა 30-მდე გაზარდა. მალე მერიისგან 100 ჯიხურის დადგმის ნებართვაც მიიღო, მაგრამ გამუდმებული პრობლემების გამო, ამდენი სავაჭრო ობიექტი ვერ განათავსა. ჩანჩალაშვილის თქმით, ბექდური მედიის დისტრიბუციის პრობლემები წლების განმავლობაში არ გვარდებოდა.

პრობლემების გადაჭრას მიზნად ისახავს ახალი კანონპროექტი, რომელიც საქართველოს პრესის ასოციაციამ 23 აპრილს წარადგინა. „ეს კანონი არის მცდელობა, რომ შეიქმნას ბექდვითი მედიის გავრცელებისთვის მაქსიმალურად ხელმეწყობი პირობები, რათა არც ერთ თვითმმართველობის ორგანოს არ მიეცეს საშუალება, შეზღუდოს ბექდ-

ვითი პროდუქციით ვაჭრობა“, – ამბობს კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი ვახტანგ ხმალაძე. მისი თქმით, პრესის დისტრიბუციის წინაშე მდგარი მთავარი პრობლემა ისაა, რომ დღევანდელი კანონმდებლობა თვითმმართველობას განუსაზღვრელ უფლებებს ანიჭებს.

„პლანეტა ფორტეს“ ხელმძღვანელი მერაბ ჩანჩალაშვილი ამბობს, რომ პრობლემას – ხან ახალი მერი, ხან მერიის მიერ ჯიხურის ტერიტორიის გაყიდვა, ხან კი საბაჟოს ხელმძღვანელის ცვლა იწვევდა. „მიუხედავად იმისა, რომ პრესა გათავისუფლებული იყო დღგ-სგან, საბაჟოზე გვებგრავდნენ, ჩვენ კი კანონების გარჩევის დრო არ გვექონდა, რადგან პრესა მალფუჭებადი პროდუქტია და დიდ ზარალს ვნახავდით“, – ამბობს მერაბ ჩანჩალაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ განსაზღვრავდა ჯიხურების განთავსების ზუსტ ადგილებს, „პლანეტა ფორტეს“ ხელმძღვანელობას მერია ჯიხურების გადატანის მოთხოვნას ასე უხსნიდა – „მერია ასე თვლის საჭიროდ“. ამგვარი არაარგუმენტირებული

გადაწყვეტილების თავიდან ასაცილებლად კანონპროექტში შევიდა მუხლი, რომლის მიხედვითაც, თვითმმართველობამ უნდა დაადგინოს ადგილები, სადაც ჯიხურის დადგმა ნებადართული არ იქნება.

მართალია, დღეს ბექდური მედიის გამავრცელებლები დროებით გათავისუფლებულნი არიან სალარო აპარატისა და ნებისმიერი სახის მოსაკრებლისგან, მაგრამ კანონპროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ ეს კანონითაც გამყარებული უნდა იყოს, რათა მუდმივი ხასიათი მიიღოს.

სალარო აპარატებთან დაკავშირებით პრესას პრობლემა 2006 წლის თებერვალში შეექმნა, როდესაც თბილისში საგადასახადო დეპარტამენტმა რამდენიმე ჯიხურს, სალარო აპარატის უქონლობის გამო, ჯარიმა დააკისრა. სადისტრიბუციო ქსელების ხელმძღვანელები პრობლემის მოგვარებამდე იძულებულნი გახდნენ, ჯიხურები დაეხურათ. აღმოჩნდა, რომ საგადასახადო კოდექსი, რომელიც პრესის გამავრცელებელ სტენდებსა და მაგიდებს ათავისუფლებდა სალარო აპარატის ვალდებულებისგან, არაფერს ამბობდა პრესის ჯიხურებზე. მაშინ „პლანეტა ფორტეს“ ხელმძღვანელს დაახლოებით რვა ათასი ლარის ჯარიმის გადახდა მოუწია. მოგვიანებით კანონში ცვლილებები შევიდა და ჯიხურების მფლობელებმაც შედარებით ამოისუნთქეს.

თუმცა, ერთი წლის შემდეგ პრობლემა კვლავ წარმოიშვა. 2007 წლის ივნისში თბილისის მერმა, გიგი უგულავამ გადაწყვიტა, რომ გარე ვაჭრობა თბილისის ცენტრალურ ქუჩებს ამახინჯებდა. სხვა გარე სავაჭრო ობიექტებთან ერთად თბილისის ცენტრალური ქუჩის დატოვება პრესის ჯიხურებსაც მოუხდათ. მერაბ ჩანჩალაშვილს ხან მერია აფრთხილებდა, – ჯიხური უნდა აიღოთ,

ხან ჯიხურის მეზობლად მცხოვრები მოქალაქეები ატყობინებდნენ, – ამნეთი არიან მოსულეები და თქვენს ჯიხურს იღებენო. „დღეს 18 ჯიხური, როგორც ჯართი, ისე ყრია ქალაქის სხვადასხვა კუთხეში, ფილარმონიიდან დანყებული, ავლარმონი მეტრომდე ყველა ჯიხური აგვალბინეს. შეგვპირდნენ, დროებითა და პრობლემას მალე მოვაგვარებთო“, – ამბობს მერაბ ჩანჩალაშვილი.

ვიდრე, ჯიხურების მფლობელები პრობლემის მოგვარებას ელოდნენ, თბილისის ცენტრალურ ქუჩებში ახალი საგაზეთო ჯიხურები ჩაიდგა. დღეს საქართველოს პრესის ასოციაციის წევრები ამბობენ, რომ 2009 წელს ტენდერში გამარჯვების გარეშე ბაზარზე კომპანია „უაიდ დისტრიბუშენის“ გამოჩენამ მონოპოლიის საშიშროება შექმნა. მათი ეჭვის საფუძველი ის გახდა, რომ „უაიდ დისტრიბუშენი“ ერთადერთი სადისტრიბუციო კომპანიაა, რომელმაც ცენტრალურ ქუჩაზე ჯიხურის დადგმის უფლება მოიპოვა. მაშინ პროტესტის ნიშნად საგამომცემლო სახლმა „კვირის პალიტრამ“, გაზეთმა „რეზონანსმა“, „ალია ჰოლდინგმა“ და გაზეთმა „მთელი კვი-

რა“ საკუთარი პროდუქციის ახალ ჯიხურებში შეტანაზე უარი თქვეს.

„ტენდერისა და გამჭვირვალობის გარეშე კომპანია „უაიდ დისტრიბუშენისთვის“ ამ უფლებების მინიჭება ეჭვს ბადებს, რომ მისი არსებობა ხელისუფლების და კონკრეტულად მერიის ინტერესებშია“, – ამბობს დღეს მედიაექსპერტი ზვიად ქორიძე.

თუმცა, სინამდვილეში, 2008 წლის 9 დეკემბერს დარეგისტრირებულ სადისტრიბუციო კომპანია „უაიდ დისტრიბუშენს“ მერიის ტენდერში არ გაუმარჯვია, რადგან ჯიხურების განლაგებისთვის ტენდერი მერიას არც გამოუცხადებია. სამაგიეროდ, გამოცხადდა ტენდერი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გარე რეკლამის განთავსების შესახებ, რომელიც კომპანია „აუთდორ.ჯი“-მ მოიგო. „უაიდ დისტრიბუშენმა“ კი „აუთდორ.ჯი“-სთან ერთად მოამზადა ჯიხურების პროექტი, რომლებიც გარეგნულად სარეკლამო კონსტრუქციის ფუნქციას ითავსებდა. მერიამ ეს პროექტი დაამტკიცა. ასე დარეგისტრირდა სარეკლამო ლაითბოქსებად „უაიდ დისტრიბუშენის“ ჯიხურები, სადაც დღეს გაზეთები, თამბაქო და ლატარიის ბილეთები იყიდება.

კომპანია „უაიდ დისტრიბუშენის“ 70%-იანი წილის მფლობელი ოფორულ ზონაში, ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული კომპანია Blackstyle Management incorporation-ია, რომელიც ამავდროულად „აუთდორ.ჯი“-ს საკონტროლო წილის მფლობელიცაა. „უაიდ დისტრიბუშენის“ იურისტის, თენგიზ კირთაძის განცხადებით, კომპანია სხვა

გამავრცელებელ ქსელებს პრობლემებს არ უქმნის – „თბილისში დღეს დაახლოებით 80-90 მოქმედი ჯიხური გვაქვს და მონოპოლისტი ბაზარზე ნამდვილად არ ვართ“.

2009 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული საქართველოს პრესის ასოციაციას, სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლებსა და მერიას შორის შეხვედრა რამდენჯერმე გაიმართა. თბილისის ვიცე-მერი, მამუკა ახვლედიანი სადისტრიბუციო კომპანიებს დაჰპირდა, რომ დედაქალაქში განთავსებულ პრესის გამავრცელებელ ძველ ჯიხურებს ლიცენზია კიდევ 10-15 წლით გაუგრძელებოდათ. სანაცვლოდ, მათ ძველი ჯიხურები ახალი და ლამაზი დიზაინით უახლოესი სამი წლის განმავლობაში უნდა შეეცვალათ. მერიას პრესის გამავრცელებლებს იმასაც დაჰპირდა, რომ უახლოეს მომავალში დამატებითი ჯიხურების დადგმაც შეეცხადებდა კონკურსს.

ასეთი კონკურსი დღემდე არ გამოცხადებულა. პრესის გამავრცელებლებმა ვერც მონოპოლიზაციის საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭირო სამართლებრივად მონესრიგებული გარემოს შექმნის გარანტიები მიიღეს.

სწორედ ამიტომ ჩაიღო ახალ კანონპროექტში მუხლები, რომელთა მიხედვითაც, ბექდური პროდუქციის გამავრცელებელი სტენდებისა და ჯიხურების განთავსებისთვის ნებართვის აღება აღარ უნდა იყოს საჭირო. ყველას თანაბარ პირობებში ჩასაყენებლად კი თვითმმართველობამ ქალაქის იერსახის შესაფერისი 5 სახის ესკიზური ვარიანტი უნდა შეიმუშაოს. გამავრცელებლები თავად აირჩევენ ერთს. კანონპროექტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობა ვალდებულია, უკვე არსებული სტენდებისა თუ ჯიხურების გადაკეთების მოთხოვნის შემთხვევაში, ბექდური პროდუქციის გამავრცელებლებს გადაკეთებისთვის გაღებული ხარჯებიც აუნაზღაუროს.

საქართველოს პრესის ასოციაციის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ ამ კანონის მიღება პრესის გავრცელებისთვის თავისუფალ და კონკურენტულ გარემოს გარანტიებს შექმნის. სადისტრიბუციო ქსელ „პლანეტა ფორტეს“ ხელმძღვანელი მერაბ ჩანჩალაშვილი კი მიიჩნევს, რომ პრობლემა კანონის არმესრულებამია და არა – მის გაუმართაობაში. **□**

ვიდრე, ჯიხურების მფლობელები პრობლემის მოგვარებას ელოდნენ, თბილისის ცენტრალურ ქუჩებში ახალი საგაზეთო ჯიხურები ჩაიდგა.



ფოტო: მარსა ოქრობაძე

ჩამოხბენის ხვიხა დღე



ნინა კვირას ამინდი ისეთი ვერ გამოვიდა, უქმეებზე რომ უყვართ ინგლისელებს, რახან გაზაფხულია, მოდი ბალახზეც გავგორდეთ და თვითმფრინავებისგან დაობლებულ ლონდონის ცას ვუყუროთო. თუმცა, ნვიმა არ წამოსულა და ესაც კარგი იყო, რადგან ნვიმა ხელს შეუშლიდა ლონდონის ყველაზე სახალხო სპორტული ღონისძიების მონაწილეებს. შეუშლიდა, თორემ კი არ გააუქმებდა, ნვიმებშიაც ურბენიათ.

გინო ახვლედიანი, ლონდონი

მოკლედ, გასულ კვირას ჩვეული ხალისითა და ხმაურობით ჩატარდა ლონდონის მარათონი, როგორც იტყვიან მსოფლიოს ერთადერთი მარათონი, რომელიც აღმოსავლეთ ნახევარსფეროში იწყება და დასავლეთში კი მთავრდება.

ცხადია იმიტომ, რომ სარბენი მარშრუტი გრინვიჩს იქით იწყება და გრინვიჩს აქეთ კი მთავრდება.

წლებანდელი მარათონი გამოდგა დიდებული და საერთოდ მარათონი იმით არის კარგი, რომ მასში ყველას შეუძლია მონაწილეობა, ვინც კი ჯანზეა და იმგვარადაა ალტყინებული, რომ ეს 42 კილომეტრი და 195 მეტრი გაირბინოს.

ხელს ამნაირი ლამის 36 ათასი აღმოჩნდა და იმათ შორის პირველად იყო სამეფო ოჯახის შვილი, იორკის პრინცესა ბეატრიკის, ვინაც ოცდაათოთხმეტი კაცისგან შემდგარ ე.წ. ცოცხალ მუხლუხოში ჩაბმულმა უნია ფინიშს. ეს ცოცხალი მუხლუხო ამორტიზაციის მქონე თოკებით ერთმანეთს გადაბმული მოყვარულების ჯგუფი იყო, რომლებიც ერთი ტემპით აპირებდნენ სირბილს და ასეც მოხდა – მუხლუხო ხუთი საათის თავზე მიადგა ფინიშს. თუმცა, როგორც იტყვიან, მთავარი მონაწილეობაა, თორემ გამარჯვებული, ეთიოპიელი ცვაგაიე კებედე ბერდქეიჯ სტრიტზე ბოლო სამასი მეტრის გასარბენად ბარე სამი საათით ადრე შევარდა და მოლზეც.

კებედე პირველი ეთიოპიელი გამოდგა, ვინც ლონდონის მარათონზე კენიელთა შვიდწლიანი ბატონობა დაარღვია. ქალთა შორის კი რუსმა ლილია შობუხოვამ გაიმარჯვა, იმას ჩიკაგოს მარათონიც მოგებული აქვს და მთელი ამბავი. ბრიტანელებს ეიმედებოდათ თავიანთი იაპონელი მარა იამაუჩი, მაგრამ ნიუ-იორკის მარათონის მომგებმა ამ დროულმა ქალმა მხოლოდ ათეულს უნია.

იაპონიიდან წამოსული მარა ექვს დღეს მოდიოდა ლონდონამდე, ცნობილ ვულკანის მტვერს გვერდს უქცევდა და ვერც უქცევდა და გვარიანადაც განვალდა გზაში. საერთოდ, მარათონზე ისე იყო, რომ მტვერმა კინაღამ ყველაფერი ჩაშალა. მთელი მსოფლიოდან დაძრული მონაწილენი ინგლისელებმა ესპანეთში მოაგროვეს და იქიდანაა გადმოიყვანეს კუნძულზე.

ისე კი ვულკანურმა მტვერმა არა მხოლოდ მარათონი, ლონდონის წიგნის ბაზრობაც დააზიანა, სადაც ცარიელი სტენდები მრავლად იყო და თვით ტონი ბლერიც კი საკუთარი მემუარების პრეზენტაციაზე ვერ ჩამოვიდა, ისრაელში ჩარჩა.

თუმცა, მარათონმა მაინც ბრწყინვალედ ჩაირბინა. მზე არ ეხმარებოდა, მაგრამ არც ვინმე გალუმპულა. მორბენალთა შორის პირველად იყო მარათონის ახალი სპონსორის „ვირჯინის“ მძლეთამძლე ბოსი სერ რიჩარდ ბრენსონი. სამოცს მიტანებულმა თმანვერსელე-



ბილმა და ჯანიანმა კაცმა მშვენივრად ირბინა.

თავის მეთერთმეტე მარათონს შეუდგა მზარეულთა მეფე გორდონ რამსეი, მაგრამ ამ ჯერზე ვერ დაამთავრა და გზაში მოწყდა მოშეჯიბრებებს.

მოკლედ, კარგი იყო.

ეს მარათონი წამგებანი რამ არ გეგონოთ, ათეულობით მილიონი ფული შემოაქვს ჯერ მარტო საქველმოქმედო მიზნებისთვის.

საერთოდ კი, ლონდონის მარათონისა მარშრუტიც კი საინტერესოა. სარბენი გზა ძირითადად ტემზას მიუყვება და სამხრეთ-აღმოსავლეთი ლონდონის უკიდურეს გარეუბნებში იწყება: სამი სტარტია მოწყობილი ბლექჰითში. ჩარლტონს იქით. ამას რომ გამოივლის, მერე მოადგება ვულიჩის ცნობილ სამხედრო ბარაკებს და გრინვიჩსაც დაუვლის. მერე ჩაუვლის წყალზე მოტივტივე ქათი სარკს, ერთ ძველ გემსა, რომლის ისტორიის მოყოლაც ახლა ძნელია. იქიდან დოკლენდებში შევა და დოკლენდებიდან კი უკვე ისეა, რომ ტაუერის ის განთქმული ხიდიც უნდა გადმოირბინო, რათა უკვე წყალგამოღმა ლონდონში შემოვიდნენ. ამასობაში ნახევარი გზა უკვე გავლილია და მოშეჯიბრენი ლაიმპაუსს ჩაუქროლებენ, თუკი ჩაქროლების თავი აქვთ. მალე განთქმულ ძაღლების კუნძულზეც გაიშლივინებენ, იქიდან კიდევ უკვე შემოხვალ მუშური ლონდონის კლასიკურ გულიგულში, პოპლარში. თუ კარგად გაირჯები, წმ. პავლეს ტაძარსაც ჩაურბენ და ემბარქმენტზე, სანაპირო ქუჩაზე გამოირბენ. და, ბოლოს და ბოლოს, ლანდან აისაც დაინახავ წყლის პირას, რაც იმის ნიშანია, რომ მთავარი უკვე გაგირბენია. მერე უნდა შეუხვიო ბერდქეიჯზე და რბენა კი მოლზე დასრულდება, სულ დაინახავ ზიგ ბენსაც, ბუკინგემის სასახლესაც და კიდევ ათას რამეს.

მოკლედ, ასეთი ამბავია.

მშვენივრად ჩატარდა. აიუჰვედლეუკის ჯინაზე.

აიუჰვედლეუკი ის ვულკანია ისლანდიაში.

მოძე პახი!



კახა თოლორდავა

1213 წლის 8 მაისს, გრაფმა ორლანდო დი კიუზიმ ფრან-ცისკე ასიზელს (ისე, რომ ამ უკანასკნელს მისთვის არაფერი უთხოვია) ლა ვერნას მთა უბოძა საჩუქრად.

„... მისთვის, რომ თვითგვემის და მონანიების მსურველებმა კაცობრიობისაგან მოშორებით აღასრულონ ვალი“. მე ფრან-ცისკე ასიზელი არ ვარ, უფრო ბატონ ბონას თუ შემადარებთ, უტიფრად რომ „სცინცლავს“ იშვიათ ქვას აგული ერისთავს. ამიტომაც, ასევე უტიფრად მინდა მოვითხოვო რაღაც მათგან, ვისაც ამის მოცემა შეუძლია... თავს მხოლოდ იმით ვიმშვიდებ, რომ ის რაღაც მხოლოდ ჩემთვის არ მინდა...

უკანასკნელად ღია ცის ქვეშ ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში, ეგრეთ ნოდებულ „ცხვრის მდელს“ მოღზე მეძინა. ბავშვივით ღრმად და მშვიდად. ჩემ გარშემო სხვადასხვა ასაკის ნიუ-იორკელები ისვენებდნენ, თამაშობდნენ ფეხბურთს, დარბოდნენ, ასეირნებდნენ ძაღლებს, კითხულობდნენ, საუბრობდნენ მობილურით, უსმენდნენ მუსიკას ან ჩემსავით ეძინათ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით, 843 აკრზე გაშლილი ცენტრალური პარკის ენერგეტიკული ვიბრაციები რაღაც უხილავი ძაფებით გვაკავშირებდა ყველა იქ მყოფს ერთმანეთთან. ამის ახსნა ძალიან რთულია, უბრალოდ ერთხელ მაინც უნდა მოხვდეთ იქ, ჩემი სიტყვების სისწორეში რომ დარწმუნდეთ. კარგად მოვლილი და სწორად დაგეგმარებული პარკი დაბურული და გაშლილი სივრცეების თანაბარი მონაცვლეობით, მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ნევროზის მოსახსნელი ეფექტური საშუალებაა, ნებისმიერ ვალიუმსა და ქსანაქსზე უკეთესი. ჰო, იმასაც დავამატებ, რომ იქ არაა არანაირი კარუსელები და სხვა გასართობი „გაჯეტები“, არამედ ხელოვნური გუბეები და ტბები, სასეირნო და სარბენი ბილიკების მთელი ქსელი (ნიუ-იორკის ყოველწლიური მარათონი ცენტრალურ ბაღის ტერიტორიაზეც გადის), საცურაო აუზი ზაფხულში და საციურაო მოედანი ზამთარში, პატარა ზოოპარკი და ამფითეატრი, სადაც ყოველწლიური თეატრალური ფესტივალები ეწყობა. ესაა სივრცე, ზამთარში დათოვლილი, ზაფხულში მწვანედ მოზიბინე, რომელიც „თანახმაა“, შენი აფორიაქება დაიტოვოს, გაფილტროს და შემოქმედებით მუხტად დაგიბრუნოს. მანჰეტენის შუაგულში გაშლილ ცენტრალურ პარკს რომ უახლოვდები, რაღაც უცნაური სიხარულის შეგრძნება გიპყრობს, თითქოს გრძნობ, რომ პარკს შენი ნახვა გაუხარდება! სტატისტიკის მიხედვით, წლის განმავლობაში აქ ოცდახუთ მილიონზე მეტი ადამიანი, ადგილობრივი თუ ჩამოსული შემოდის. სხვათა შორის, ენერგეტიკული თვალ-

საზრისით აბსოლუტურად იგივე ხდება, ვთქვათ, ნიუ-იორკის ზომით ბევრად მომცრო ბრაიანთ პარკში, ლონდონის სენტ-ჯეიმსსა და ჰაიდ პარკებში, სან-ფრანცისკოს გოლდენ გეითში, და ასე შემდეგ. რაც შეეხება თბილისის პარკებს...

როგორც ჩვენი ძმები სომხები აღნიშნავენ, „Тбилиси очень скверный город!“ (ცუდი არაფერი იფიქროთ, ისინი ქალაქში სკვერების რაოდენობასა და ხარისხზე მიუთითებენ!) და ამ თვალსაზრისით თბილისს მართლაც რომ არა უშავს, თუმცა კიდევ ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი. ქალაქის პარკებსაც არა უშავთ – თავისებური ხიბლი აქვთ, ისტორიაც და პენიც, თუმცა ვერც ვაკის პარკი, ვერც მთაწმინდის პარკი და ვერც სხვა რომელიმე პარკი ქალაქში ვერ ახერხებს (ბავშვების კარუსელებზე საქანაოდ წაყვანას არ ვგულისხმობ!) იმას, რაც ცენტრალურ პარკს გამოსდის – ადამიანების მაგნიტივით მიზიდვას და იქიდან „სხვანაირად“ გამოშვებას. თბილისელები რატომღაც უპირატესობას ანიჭებენ უფრო მოუწყობელ და უაზროდ ძვირ კუს ტბის ტერიტორიას და აგრეთვე მოუწყობელ (თუმცა ენერგეტიკულად სრულიად განსაკუთრებულ) და დაუდასტურებელი ჭორების ბურუსით მოცულ ყოფილი იპოდრომის ტერიტორიას. ასეთია ჩემი დაკვირვება... მოკლედ, ხომ მიმიხვდით? პარკი მინდა! ნამდვილი, უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმული, მართლა მაგარი, ძალიან მაგარი ლანდშაფტური არქიტექტორის მიერ დაგეგმარებული და გაშენებული პარკი, სადაც ვერავინ, ვერც ერთი საელჩო, ვერც ერთი ჯიბეგასქელებული ტიპი (სხვათა შორის, ვინაა ან რაა ის, ვინც/რაც ფიზიკის ინსტიტუტის საოცრად ლამაზ ბაღში რაღაცას აშენებს?) ვერც კი გაიფიქრებს რაიმე იდიოტური ნაგებობის ჩადგმას; პარკი, რომელიც ჩვენი ჯიბეებიდან ფულის წაგლეჯაზე კი არ „ინალიჩებს“ რამდენიმე უხეირო „ატრაქციონით“ ან ორლარია-ნი ბორჯომის წყაროს წყლით, არამედ თავის თავზე აიღებს ჩვენს ნევროზებს, დაგვამშვიდებს, კიდევ ერთ შანსს გვაჩუქებს ერთმანეთთან შესახვედრად, სასაუბროდ, ძაღლების მოსაკრებად და, რაც მთავარია, მაგნიტივით მიგვიზიდავს თავისკენ! გეთანხმებით, ასეთი პარკი ძვირი დაჯდება და ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ მისი სარგებლობა ნებისმიერ დახარჯულ თანხაზე მნიშვნელოვანი იქნება... ამის გარანტიას ახლავე გაძლევა...

მომე პარკი, რა!





რადიო „ნაცნობი“ გევატიშებათ

კლუბში „ნაცნობი“

- ტრადიციული ქართული საზარაულო
- სოცხალი მუსიკა



მისამართი: აბანოს ქ. N 3



WWW.LIBERALI.GE

